http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ილია ერთხელ „ვერ მოჰკლეს“, ნუ მოვკლავთ ახლა!

რა უფრო „კმარა“?

ახალი

უნივერსიტეტი

3 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2007 წ. №17 (2062)

დრო ძვირფასია! – პრეზიდენტმა წარმატებულ პირველკურსელებს საათები უსახსოვრა

პირველ ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო წელი დაიწყო

მაკა ლდოკონენი

ჩვენი ქვეყნის უძველეს სასწავლებელში 2007 წლის 1 ოქტომბერს სტუდენტური წლების ათვლა 89-ე თაობამ დაიწყო. ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, დღეს, კიდევ ერთხელ შევახსენეთ უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ სტუდენტებსა და მათ მშობლებს. მათი არჩევანითაც კარგად ჩანს, რომ ისინი თსუ-ს უცხადებენ ნდობას — თავიანთი მომავალი აქ მიღებული განათლებით განსაზღვრონ. მათ სწამთ, რომ თსუ პირველია!

თსუ-ში ახალი სასაწავლო წლის დაწყების ცერემონია, ტრადიციისამებრ, უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა. სწავლის დაწყება სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველკურსელებს, თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ მიულოცა: „ჩვენთვის დიდად საამაყოა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი აირჩიეთ. მინდა დაგარწმუნოთ როგორც სტუდენტები, ასევე მშობლები, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი გაამართლებს თქვენს მოლოდინს. თუ გვსურს ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს, მთელი ძალისხმევა სწავლისკენ უნდა მიმართოთ, ვინაიდან ყველაზე დიდი კაპიტალი, რაც შეიძლება საქართველოს ჰქონდეს - ახალგაზრდული ნიჭი, ენერგია და ინტელექტია. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მონდომებასა და გამოცდილებას არ მოგაკლებენ. გისურვებთ, უნივერსიტეტში გატარებული წლები გამორჩეულად ლამაზი, სრულფასოვანი და სისხლსავსე ყოფილიყოს. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ წარჩინებული სწავლა და მაღალი კვალიფიკაციაა თქვენი მომავალი პროფესიული კარიერის აუცილებელი პირობა“.

თსუ-ის რექტორმა პირველკურსელებს წაუკითხა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვის ტექსტი, რომელშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ის წარმატება, რომელიც აბიტურიენტებმა მოიპოვეს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მათ მთელი მომავალი ცხოვრების მანძილზე სტიმულად გაჰყვებათ იმის განცდა, რომ ნიჭიერება, პატიოსანი შრომა და საქმისადმი ერთგულება სამართლიანად ფასდება ჩვენს ქვეყანაში. გიორგი ხუბუამ უმაღლესი შეფასების მქონე პირველკურსელებს: მარიკა ტეფნაძეს, მიხეილ ნადარეიშვილს, ირინე ურუშაძეს, ნინო აბესაძეს, ანა გაბესკირიას, თათია გოგალაძეს, ალექსანდრე აბრამიშვილს, დავით თვალჭრელიძეს, ირაკლი ქსოვრელსა და ვალერიან კვარაცხელიას პრეზიდენტისგან გამოგზავნილი სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

მე-2 გვერდზე

სტუდენტური Press კლუბი

ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების არჩევა ახალგაზრდების პრაგმატულობის მანიშნებელია
მე-3 გვერდზე

„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ - ოჰ, ეს დაუსრულებელი ტენდერები...
მე-4 გვერდზე

თანამშრომლობის რა პერსპექტივები ჩამოიტანა თსუ-ის რექტორმა ბოლონიიდან
მე-5 გვერდზე

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა
მე-6 გვერდზე

პარლამენტის კარი სტუდენტებს დასაძმებისთვის გაუღეს
მე-9 გვერდზე

გერმანული კედლის ბზარის გაჩენამ მსოფლიოს ყური დააცქვეტინა
მე-11 გვერდზე

შეძლებენ თუ არა ფიზიკოსები ბოლო დროს აღმოჩენილი უცნაური ფენომენის – სამყაროს აჩქარების ახსნას
მე-13 გვერდზე

კრედიტების მიხედვით გადასახადი ძალაში დარჩა

თსუ-ის რექტორის ბრძანებაში ცვლილება შევიდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას 2007 წლის 5 სექტემბრის ბრძანების (№73/01-01) მე-11 პუნქტში ცვლილება შევიდა: მუხლის ფორმულირებას — „სტუდენტებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვეს შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება მიეცეთ თვითდაფინანსების გზით დაასრულონ სასწავლო პროგრამა მომდევნო — არა უმეტეს ოთხი სემესტრის ვადაში. გადასახადი განისაზღვროს იმ დროისთვის დადგენილი სემესტრული გადასახადის შესაბამისად“, სტუდენტების პროტესტი და საინფორმაციო საშუალებების მხრიდან ცალმხრივი შეფასებები მოჰყვა. უნივერსიტეტის ზოგიერთმა თანამშრომელმა კი ეს გადაწყვეტილება უსამართლობადაც კი შეაფასა. მოკლედ, დარჩენილ საგნებზე გადასახადის რაოდენობამ უკმაყოფილება გამოიწვია, რაც უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და ერთგვარი გარდამავალი პერიოდი დააწესა.

25 სექტემბერს, რექტორის ბრძანებაში შევიდა ცვლილება: „2007-2008 სასწავლო წლამდე სტუდენტებზე არსებული საკრედიტო აკადემიური დავალიანების საფასური განისაზღვროს ცალკეული დისციპლინის კრედიტების რაოდენობაზე გათვლით და 1 კრედიტის საფასური დადგინდეს 25 ლარის ოდენობით. ამ მუხლის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 1 იანვრამდე“.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების უფროსმა პაატა ტურავამ განმარტა, ადრე დადგენილი წესის მიხედვით, სტუდენტი დარჩენილ საგნებზე იხდიდა 1 კრედიტზე 25 ლარის ოდენობის გადასახდს. უნივერსიტეტის საფინანსო განყოფილებამ მიიჩნია, რომ გადასახადის ეს რაოდენობა ერთ სტუდენტზე დახარჯულ თანხას არ ანაზღაურებდა. ამიტომ ბრძანებაში ჩაიწერა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში, ანუ 8 სემესტრში სტუდენტი ვერ მოაგროვებს კრედიტების საჭირო რაოდენობას, უფლება აქვს შეინარჩუნოს სტუდენტის სტატუსი დამატებით ოთხი სემესტრის განმავლობაში და გადაიხადოს სემესტრული გადასახადი. თუმცა ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ბრძანების ამ პუნქტში ცვლილება შევიდა.

პაატა ტურავა:

— უნივერსიტეტს აქვს სემესტრული გადასახადის მოთხოვნის უფლება. აქ, განსხვავებით სხვა უნივერსიტეტებისგან, გადასახადი არ არის დიდი. სხვა უნივერსიტეტებში ვერავინ ვერაფერს მოითხოვს. იქ არსებობს ცალსახა გადაწყვეტილებები და კრედიტი არა 25, არამედ 250 ლარი და მეტიც ღირს. ჩვენგან ყოველთვის რაღაც განსხვავებულს ითხოვენ. ჩვენ ბრძანებაში ცვლილება იმიტომ კი არ შევიტანეთ, რომ ეს პუნქტი უსამართლო იყო, უბრალოდ, რამდენიმე თვით წავედით დათმობაზე. ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ დაგვედგინა ერთგვარი გარდამავალი პერიოდი და ძველი წესი, ანუ კრედიტების მიხედვით გადასახადი, ძალაში დაგვეტოვებინა 2008 წლის 1 იანვრამდე. ამით სტუდენტს საშუალება მივეცით, მომზადებული შეხვდეს ამ ცვლილებას. 2008 წლის 1 იანვრის შემდგომ, თუ მას დარჩება საგანი და 8 სემესტრის განმავლობაში, ანუ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ შეძლებს კრედიტების მოგროვებას, ეცოდინება, რომ დადგენილი 4 სემესტრიდან რამდენი სემესტრიც დასჭირდება, უნდა ანაზღაურდეს არა საგნის კრედიტების რაოდენობის, არამედ სემესტრული გადასახადის მიხედვით.

ამ ცვლილებით ძალაში რჩება რექტორის ბრძანების მე-11 პუნქტი, ოღონდ მისი შესრულების ვადამ 2008 წლის 1 იანვრამდე გადაიწია.

379 სტუდენტიდან მხოლოდ 60-მა სტუდენტმა შეძლო სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლა

სტუდენტთა მობილობა

თსუ-ში ე.წ. გადასაყვანი გამოცდები 12 სექტემბერს ჩატარდა. სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მერაბ სვანაძის თქმით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამის ერთერთი მიზეზი, წელს, ზაფხულში განხორციელებული თსუ-ის ფილიალების რეორგანიზაცია იყო. განცხადებები საქართველოში არსებული თითქმის ყველა აკრედიტებული სასწავლებლიდანაც შემოვიდა. პირველ ეტაპზე 1 600-ზე მეტი განცხადება დამუშავდა. „სტუდენტებს, რომელთა დოკუმენტებიც წესრიგში არ იყო, განხილვის პროცესშივე უარი ვუთხარით“, — აღნიშნა მერაბ სვანაძემ.

თსუ-ის ფილიალებიდან გადმოსულ 1 090 სტუდენტს გამოცდა არ ჩაუტარდა. ისინი შესაბამის ფაკულტეტებზე ავტომატურად ჩაირიცხნენ. მათ შორის, ყველაზე დიდი რაოდენობა (299 სტუდენტი) იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვდა.

საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან 379 სტუდენტის განცხადება შემოვიდა. ყველაზე დიდი კონკურსი, როგორც იურიდიულ, ისე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აღინიშნებოდა. მერაბ სვანაძის თქმით, წერითი გამოცდა სპეციალობებში ობიექტურად ჩატარდა და რაიმე სერიოზულ გართულებას ადგილი არ ჰქონია. სტუდენტებს აპელაციისთვის შედეგების გამოქვეყნებისთანავე შეეძლოთ მიემართათ. ნაშრომები ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა გაასწორეს და პასუხისმგებლებიც თავად იყვნენ. მომჩივან 32 სტუდენტთაგან მხოლოდ ორი დაკმაყოფილდა.

პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებით, ტესტები განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩეოდა, თუმცა სტუდენტებმა ელემენტარულ კითხვებსაც ვერ უპასუხეს და, შესაბამისად, ძალიან დაბალი შედეგები აჩვენეს. 379 სტუდენტიდან მხოლოდ 60-მა სტუდენტმა შეძლო სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლა. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე დიდი კონკურსი იურიდიულ ფაკულტეტზე დაფიქსირდა, თუმცა 110 სტუდენტიდან მხოლოდ 3 სტუდენტი ჩაირიცხა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემოსული 18 განცხადებიდან, კონკურსში 5-მა გაიმარჯვა, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე 51 სტუდენტიდან — 11-მა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 71 სტუდენტიდან — 25-მა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 63 სტუდენტიდან მხოლოდ 4-მა მიიღო დადებითი შეფასება. მედიცინის ფაკულტეტზე 66 კონკურსანტიდან 12 დაკმაყოფილდა.

12 სექტემბერს უნივერსიტეტში შიდა საუნივერსიტეტო გადასაყვანი გამოცდაც ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი კონკურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დაფიქსირდა, თუმცა 89 სტუდენტიდან მხოლოდ 2-მა შეძლო გამოცდის ჩაბარება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადასვლის მსურველთა 163 განცხადებიდან მხოლოდ 1 სტუდენტი ჩაირიცხა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 48 სტუდენტიდან 23 სტუდენტი ჩაირიცხა. იურიდიულ ფაკულტეტზე 19-დან —5; მედიცინის ფაკულტეტზე გადმოსვლის მსურველი მხოლოდ 2 სტუდენტი აღმოჩნდა, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდა.

„მობილობა სტუდენტს საშუალებას აძლევს — შეიცვალოს სპეციალობა. გულდაწყვეტილ სტუდენტებს თებერვალში კიდევ ერთხელ მიეცემათ შანსი, მათთვის სასურველ უმაღლეს სასწავლებელში და ფაკულტეტზე გააგრძელონ სწავლა. ახალი კანონის თანახმად, ეს უკვე შესაძლებელია“, — აღნიშნა სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ სვანაძემ.

შურთხია ბეროშვილი

სხდომა

აკადემიური საბჭოს უახლესი გადაწყვეტილებები

26 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ, სხვა საკითხების განხილვასთან ერთად, ფაკულტეტების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამები დაამტკიცა და უცხო ენაში მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის შედეგები განიხილა.

აკადემიურმა საბჭომ გაითვალისწინა მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული სიტუაცია და ჩაბარების მსურველთათვის, გარდა ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამისა (ამერიკანისტიკა, პრესისა და ტელერადიო ჟურნალისტიკა, ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში), გამსვლელი ქულა უცხო ენაში 40-მდე დასწია.

მიღებულ დადგენილებას აკადემიური საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს გარკვეული პირობით — 2007-2008 სასწავლო წლის დასრულებისას ჩარიცხულმა მაგისტრანტებმა უცხო ენის ცოდნა შესაბამისი პროგრამის მიერ მოთხოვნილ დონეზე უნდა დაადასტურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდებათ მაგისტრანტის სტატუსი.

აკადემიურმა საბჭომ ამ გადაწყვეტილებით გარკვეული შეღავათი გაუწია მაგისტრანტობის მაძიებლებს, რასაც საბჭოს წევრები არგუმენტებით პასუხობენ:

რევაზ გველესიანი:

— 70 ქულიანი ბარიერის დაწევა განაპირობა იმან, რომ კონკურსანტებმა გამოცდაზე ცუდი შედეგები აჩვენეს. მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამსვლელი ქულა 70 იყო. შედეგების მიხედვით 208 კონკურსანტიდან ეს ბარიერი 7-მა დაძლია.

სტუდენტებისათვის ამ დონეების მიხედვით გამოცდის ჩატარება მოულოდნელი აღმოჩნდა. შეიქმნა უხერხული სიტუაცია. უმეტესობა პრეტენზიას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ყველას არ აქვს საშუალება — კერძოდ მოემზადოს უცხო ენაში. მათი აზრით, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით ამ გამოცდის ჩაბარება შეუძლებელი იყო.

აკადემიურმა საბჭომ ისიც გაითვალისწინა, რომ მაგისტრატურაში, სპეციალობის თვალსაზრისით, ძლიერი სტუდენტები აბარებდნენ და მათი კონკურსგარეშე დარჩენა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სამომავლოდ კარგი იქნება, თუ საგამოცდო საკითხები და ტესტების ნიმუშები რამდენიმე თვით ადრე გამოქვეყნდება.

ალექსანდრე შენგელია:

— მაგისტრატურაში მისაღები უცხო ენის გამოცდის შედეგები სავალალო აღმოჩნდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ სურათმა რეალურად გვიჩვენა, როგორ იციან ჩვენმა მაგისტრანტებმა და სტუდენტებმა უცხო ენა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, და იმისთვის, რომ მაგისტრატურაში სწავლა არ ჩაიშალოს, გადაწყდა, ცოტა შერბილდეს ეს მოთხოვნა და მინიმალურმა ზღვარმა დაიწიოს. მიმაჩნია, რომ ეს დათმობა ერთჯერადი უნდა იყოს, რადგან უნივერსიტეტში უცხო ენის კარგი ცოდნა სავალდებულოა.

მარიამ ჩხარტიშვილი:

— უცხო ენის გარეშე მეცნიერებაში მუშაობა შეუძლებელია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, დოქტორანტებმა და მაგისტრანტებმა უცხო ენა სათანადოდ არ იციან. ეს დიდ პრობლემას გვიქმნის სწავლების თვალსაზრისით. მაგალითად, მე ერთერთ სამაგისტრო პროგრამას ვხელმძღვანელობ და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები სწავლობენ, მხოლოდ ერთს შეუძლია სპეციალური ლიტერატურა თავისუფლად იკითხოს.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ასევე, დამტკიცდა ფაკულტეტების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამები. ეს პროგრამები განკუთვნილია ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი. საბჭოს გადაწყვეტილებით, მათ შეუძლიათ დოქტორანტებად გაფორმდნენ, მაგრამ დისერტაციის დაცვამდე (2 წლის ვადაში) უნდა შეძლონ ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა.

დრო ძვირფასია! – პრეზიდენტმა წარმატებულ პირველკურსელებს საათები უსახსოვრა

პირველი ქართული უნივერსიტეტში სასწავლო წელი დაიწყო

პირველი გვერდიდან

თსუ-ის პირველკურსელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამაც მიულოცა და ეროვნული გამოცდების სისტემის სამართლიანობას გაუსვა ხაზი.

„თითოული ჩვენგანისთვის არა მხოლოდ სასიხარულო, არამედ საპატიო საქმეა პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველკურსელებთან შეხვედრა, ვინაიდან თქვენ ქართველი ახალგაზრდობის ის საუკეთესო ნაწილი ხართ, ვინც აბიტურიენტობის დროს საკუთარი ძალისხმევა არ დაზოგა და საუკეთესო შედეგები აჩვენა მათი თაობის წარმომადგენლებს შორის“, — განაცხადა ბელა წიფურიამ.

„სახალხო ბანკის“ ხელმძღვანელმა გიორგი გოგუაძემ, ვისი თაოსნობითაც თსუ-ში პროექტი „წარმატებული სტარტი“ ხორციელდება, აღნიშნა, რომ „სახალხო ბანკს“ ახალი სასწავლო წლის განმავლობაში არა ერთი ინტელექტუალური თუ წამახალისებელი აქცია აქვს დაგეგმილი: „გვსურს, მოვიპოვოთ არა მხოლოდ მომსახურე, არამედ სტუდენტებზე მზრუნველი ბანკის სტატუსი“.

ახალი სასწავლო წლის დაწყების ცერემონიალს საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ. პირველკურსელებს მიესალმენ უნივერსიტეტის ეკლესიის წინამძღოლი მამა კახაბერი, ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოების წარმომადგენელი ლევან ჩოლოყაშვილი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ უმაღლესი შეფასების მქონე პირველკურსელებს: ნანა მუკბანიანს, რატი გელაშვილს, ნიკოლოზ აგლაძეს, მარიამ აჭარაძეს, ნინო გრძელიშვილსა და გვანცა ჭოლიკაურს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სადღესასწაულო ღონისძიების შემდეგ პირველკურსელები შესაბამის ფაკულტეტებზე განაწილდნენ. საზეიმო შეხვედრა გაიმართა თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში, სადაც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტებს შეხვდნენ ჰუმანიტერული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე და პროფესორები: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, მიხეილ ქურდიანი, ასევე, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჰუმანიტარული ფაკულტეტი შეეცდება, ხელი შეუწყოს სტუდენტების პროფესიულ წინსვლას, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სწავლების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს ჩამოყალიბებას.

დღის ბოლოს კომპანია „ჯეოსელმა“ უნივერსიტეტის სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება „ჯეოსტარელების“ კონცერტით და თამაშის — „შავს პლიუს თეთრის“ პრეზენტაციით მიულოცა. რამდენიმე სიმღერა ჯგუფ „ფრანმაც“ შეასრულა, ხოლო „მოძრაობის თეატრის“ მსახიობებმა „ცეცხლოვანი შოუ“ წარმოადგინეს. პირველკურსელებს საგანგებო საჩუქრები „სახალხო ბანკმა“ გადასცა. საღამო სადღესასწაულო ფეიერვერკებით დასრულდა.

ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების არჩევა ახალგაზრდების პრაგმატულობის მანიშნებელია

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები



ერთიანი ეროვნული გამოცდები რომ ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებული რეფორმის ყველაზე წარმატებული მონაპოვარია, ამაზე საზოგადოებაში თითქმის აღარ დაობენ. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მსურველთა კონტინგენტის ღირსეული ნაწილი, რა თქმა უნდა, არჩეულ სპეციალობებზე ჩაირიცხა და კანონით დადგენილი სავალდებულო რეგისტრაციის გავლის შემდეგ სტუდენტის მანდატიც მოიპოვა.

ნათუნა ხატიაშვილი

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ექვსივე ფაკულტეტზე 2964 პირველკურსელი მიიღო. მოპოვებული გრანტების მიხედვით ისინი, უმეტესად, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, იურიდიულ ფაკულტეტებზე გადანაწილდნენ. ახალგაზრდების არჩევანის მიხედვით, თსუ-ში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ყველაზე რეიტინგულია. იურიდიული ფაკულტეტი კი, გასულ წლებთან შედარებით ნაკლებად რეიტინგული გამოდგა, სადაც ახალი სასწავლო წლიდან 409 პირველკურსელი ისწავლის.

თსუ-ის ხელმძღვანელობა უპრეცედენტოს უწოდებს იმ ფაქტს, რომ 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 100%-იანი გრანტი ათასიდან იმ 448 აბიტურიენტმა მოიპოვა, ვინც უმაღლესი განათლების მიღება სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განიზრახა. უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ასევე, განსაკუთრებული აღმოჩნდა ის, რომ აღნიშნული კონტინგენტის ნახევარზე მეტმა (241 პირველკურსელი) არჩევანი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეაჩერა. ბუნებრივ დაინტერესებას იწვევს აღნიშნული მონაცემები, რასაც დარგის სპეციალისტები ქვეყანაში არსებული ზოგადი ფონისა და უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის ანალიზზე დაყრდნობით ხსნიან.

იმ ფაქტს, რომ მთლიანი გრანტების 25% ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოდის, თსუ-ის **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ჯამლეტ ჯანჯღავა** ახალგაზრდების ეკონომიკისა და ბიზნესის მეცნიერებებისადმი განსაკუთრებული ლტოლვის გაზრდას უკავშირებს. მისი აზრით, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, შექმნილი საინვესტიციო გარემო, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის დამყარებული კავშირურთიერთობები მათი პოტენციის რეალიზების საშუალებას იძლევა.— „რაც მთავარია, ახალგაზრდობა მიხვდა, რომ ამ სფეროში შესაძლებელია, მეტი სამუშაო ადგილები იყოს, მეტი წარმატება ჰქონდეთ და მეტად მოახდინონ თვითრეალიზაცია. ამას ხელი არა მარტო გარე ფაქტორებმა შეუწყო, არამედ უნივერსიტეტში განხორციელებულმა რეფორმებმაც,“ — აღნიშნავს დეკანი.

ფაკულტეტზე განხორციელებული რეფორმის ძირითადი სიახლე, რა თქმა უნდა, ევროპული სტანდარტების დონის სასწავლო გეგმაა, რომელიც ჯამლეტ ჯანჯღავას თქმით, ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ და გერმანიიდან მოწვეულმა ექსპერტმა იოხენ ციმერმანმა ერთობლივად შეიმუშავეს.

პრესტიჟული ფაკულტეტის სათანადო დონეზე ჩამოყალიბებას გასულ წელს სხვა სახის ცვლილებებიც დასჭირდა. ოპტიმიზაცია შეეხო 35 სხვადასხვა დუბლირებულ სპეციალობას, რომელთა წაკითხვის საშუალებაც ფაკულტეტს არ ჰქონდა (მაგალითად, ბიზნესის დიპლომატია). დღევანდელი მდგომარეობით და რექტორის ბრძანების საფუძველზე ჩატარებული რეფორმის შედეგად, ფაკულტეტზე არის მხოლოდ ორი მიმართულება: ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება. ამ უკანასკნელს აქვს 8 სპეციალიზაცია, რომელზეც თანამედროვე ქართული ბაზარი ყველაზე დიდ მოთხოვნას აცხადებს.

არჩევანის მიხედვით, მომავალი ეკონომისტების ოპტიმიზმს ჯამლეტ ჯანჯღავაც იზიარებს და აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ნელა, მაგრამ რეალურად მიმდინარეობს, გარკვეულწილად მიღწეულია მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, შენდება უამრავი რამ, შემოდის ინვესტიციები, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები და ახალგაზრდობა მიხვდა, რომ საჭიროა მათი მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

„ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ყველა ექიმი ვერ იშოვის სამუშაოს, ყველა იურისტი ვერ გახდება პროკურორი, მაგრამ ეკონომიკის სფეროში მიღებული ცოდნით, მათ, არჩეულ სპეციალობაში თვითრეალიზაციის შანსი ექნებათ. შემოსულ ინვესტიციას თან მოყვება ფირმები, სადაც დასაქმების მეტი საშუალებაა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ სტუდენტებს ეკონომიკის მიმართულება შევთავაზეთ, მეორე კურსელების უმრავლესობამ ბიზნესის მიმართულება აირჩია, რაც ნიშნავს, რომ მათ სჯერათ ხვალინდელი ბიზნესის. ვეთანხმები, რომ მათი მომავალი უკავშირდება ეკონომიკას. რადგან ამდენი ახალგაზრდა ჩვენთან მოვიდა, ეს უკვე თსუ-ის კონკურენტუნარიანობის გამოხატულებაა, მაგრამ ყველა თუ ვერ გახდება წარმატებული პროფესიონალი, ეს ჩვენი ცუდი მუშაობის შედეგი იქნება,“ — აღნიშნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ჯამლეტ ჯანჯღავამ.

სტუდენტების მხრიდან რეალობის გაცნობიერებას იმედიანს უწოდებს **ეკონომიკის ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი.** მისი ვარაუდით, ახალგაზრდობა მიხვდა, რომ „საკუთარი თავად უნდა ჰქმნას“, ანუ აღარ უნდა იყოს არჩეული, ან დანიშნული პატრონის მომლოდინე — მისი კეთილდღეობისთვის ვინმე ხელს როდის გამოიღებს. ასეთი სფერო, რასაკვირველია, მხოლოდ წარმატებული ბიზნესი და ეკონომიკური საქმიანობაა. „წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა გარკვეული სპეციალობებით შემოფარგლული ცნობიერება პრესტიჟი იყო. ეკონომიკურთან შედარებით, იურიდიულმა და სამედიცინო სპეციალობებმაც დაიხიეს უკან, სწორედ იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის სწრაფვა გაჩნდა. დამოუკიდებელი საფუძვლების მშენებლობა ქართული ბიზნესისთვის გახლავთ პერსპექტივა, რამაც დღევანდელი რეალობა ისევ ეკონომიკური განვითარების გზაზე შეიძლება დააბრუნოს“, — აღნიშნავს ექსპერტი.

საუკეთესოდ მომზადებული ახალგაზრდების ერთ ფაკულტეტზე შესამჩნევი თავმოყრა, სოსო ცისკარიშვილის აზრით, შესაძლოა, წინამორბედთა ბედით დაინტერესების შედეგიც იყოს, რომელთა შორისაც დღეს უმრავლესობა წარმატებული ბიზნესმენია. მისი თქმით, ახალგაზრდა პერსპექტივას, საკუთარ თავში ეძიებს და ოპტიმისტურად უყურებს მომავალს. საინტერესოა არა მხოლოდ ის, რამ განაპირობა არჩევანი, არამედ ისიც, რამდენად ასრულდება იმედები, რომლითაც ისინი უნივერსიტეტში მივიდნენ.

„ეს იმდენად არაგარანტირებული მომავალია, რამდენადაც საღი აზრის გამოვლინება გარემოს მიმართ. ქვეყანაში არის რომელიმე სხვა დარგი უფრო წარმატებული? — არც ეს არის გამზადებული გზა მომავლისკენ. ამჟამად, წარმოებაზე უფრო წარმატებულად საფინანსო ურთიერთობები ჩანს. ჩვენს ქვეყანაში საბანკო სისტემა ნამდვილად გამართულია და, სამწუხაროდ, ეს ერთადერთი სისტემაა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღიარებულიც არის და სამაგალითოც. სწორედ უნივერსიტეტის დამსახურება, ან ჩავარდნა იქნება ის, თუ რამდენი შემორჩება თსუ-ს წარჩინებული სტუდენტებიდან, რამდენი მათგანი დარჩება ბიზნესში — როგორც უნივერსიტეტის გამოზრდილი“, — განაცხადა ექსპერტმა.

ახალი სასაწავლო წელი უკეთესი მომავლის იმედით დაიწყო. „ტრიადას“ წარმატების გარდა, სხვა გზა არა აქვს.

რედაქტორის სვეტი

„ვილივლივე...“-თ და რეგისტრაციაც დაიწყო!

„ფაქტობრივი ისტორია იმდენად წარსულისთვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსთვის.
იგი გვაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ“.

ვაჟა-ფშაველა

ნინო კაკულია

„ილია მოკლეს!“ — „ვერ მოკლესო!“ — ყველამ გულში გავიმეორეთ ვაჟას სიტყვები რამდენიმე დღის წინ ილიას მკვლელობიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე და შემდეგ კი, აქტიურად გავაგრძელეთ ახლადშეძენილი ფოტო-თვალით უნივერსიტეტის ბაღში, შემოდგომის მზის ქვეშ რეგისტრაციასთან და სამართალთან მებრძოლ მშობელთა, შვილთა და შვილიშვილთა ყურება.... თუმცა არც თავისი მოვალეობის შემსრულებელნი თვლემდნენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სპეციალური დანიშნულების პუნქტებში, სადაც ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია „შიგნით ატლასი, გარეთ ათასის“ ფონზე მიმდინარეობდა. სასწავლო დეპარტამენტის მოსაცდელ ოთახში ჯგუფად იდგნენ კითხვებით აღჭურვილი სტუდენტები: — რატომ? როდის? და რისთვის? — ამ შეკითხვებს დეპარტამენტის მოვალეობის შემსრულებელი დასაბუთებულ პასუხებს სცემდა: — რა რისი და ვისი მიზეზით ხდებოდა, რა გადაიდო და გადავადდა... მთავარი ის იყო, თითო სტუდენტს ორის სერთიფიკატი რომ არ დაურიგდა და ორ სტუდენტს ერთი სერთიფიკატი რომ არ დარჩა შუაზე გასაყოფი! სადღაც შეეშალათ, ოღონდ არა უნივერსიტეტში! მერე რა მოხდა! მართლა!...

კარგია, რომ გაირკვა, რომ სტუდენტებს სტუდბილეთები არა რეგისტრაციისას, არამედ სასწავლო პროცესის განახლებისთანავე დაურიგდებათ! ვინც სტუდბილეთის მიღება მოასწრო, უკეთესი იქნება, ამ თემაზე თუ არ ისაუბრებს, რათა გვერდში მდგომს გული არ დასწყვიტოს. გაუგებრობის მხოლოდ რამდენიმე საათი დარჩა! არა, მართლა!

პროცესი თანდათან დარეგულირდა, მშობლების ნაცვლად ასპარეზზე შვილები გამოჩნდნენ — პირველკურსელებს საგნების არჩევის გამბედაობაც კი ეყოთ! ტუტორები გულახდილად ურჩევენ გზის მაძებართ რას დასჯერდნენ და რისი სწავლა აუცილებლად უნდა დაიწყონ. ტუტორი კონსულტანტია, კონსულტანტი — მრჩეველია, მრჩეველი კი ის „კაცია“, ვინც სტუდენტს საგნების შერჩევა-„შეთვალიერებისა“ და უნივერსიტეტში შემოსასვლელი კარის გარდა სხვა „დერეფნებში“ გასასვლელსაც ასწავლის.

რეგისტრაცია გადავადდა. სტუდენტთა მიმღებ პუნქტებში მოცლილობისგან დაღლილი მომსახურე პერსონალი კარებში სტუდენტის გამოჩენას ნატრობს. მაქსიმალისტების თაობამ რეგისტრაცია ბოლო დღისთვის გადადო? დავიძინოთ და რომ გავიღვიძებთ, ეს მერე ვნახოთ... ბოლოს ყველაფერი ერთად შევავფასოთ... მთავარია შეცდომებზე ისწავლონ — სტუდენტებმაც და მათაც, ვინც არ თვლემდა, მაგრამ არც იმდენად ფხიზლობდა, როგორც ეს საჭირო იყო. რატომ? ეს უკვე ინტრიგანული შეკითხვაა და ამიტომ — ჩუუუ...! თუმცა რატომ ჩუუუ?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს ყველაზე მეტმა მოიპოვა 100%-იანი დაფინანსება.

სტუდენტები აქ სასწავლებლად მოდიან და არა იმისთვის, რომ ვინმემ მათ წინაშე თავი იმართლოს, თუ რატომ ვერ წარიმართა სასწავლო პროცესი გვარიანად ისე, როგორც ეს უნივერსიტეტს ეკადრება.

დღეს აღარ გვინდა იმის მტკიცება, რომ სულიერების კერაა უნივერსიტეტი. თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ვთქვათ — სულიერება გვერდზე დაგვრჩება, თუკი ჩვენი უნივერსიტეტი ცოდნის ტაძრად არ იქცევა. რატომ უნდა იყო ჩუმად მაშინ, როდესაც ვინმე ამ იდეას თავისი ინერტულობით (რა მნიშვნელობა აქვს მიზეზს), ფაქტობრივად, ეწინააღმდეგება.

სიახლე

ადმინისტრაციული რეგისტრაცია 6 ოქტომბრამდე გრძელდება!

2007-2008 სასწავლო წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა 2982 პირველკურსელი, რომელთაგან 18 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. 1 ოქტომბრის მონაცემებით, ადმინისტრაციული რეგისტრაცია პირველკურსელთაგან 2916-მა გაიარა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მერაბ სვანაძის თქმით, დარჩენილ 66 პირველკურსელს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად დამატებით მიეცა ვადა 6 ოქტომბრამდე. თუ ისინი ამ დროშიც ვერ შეძლებენ რეგისტრაციის გავლას, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მათ სიას გადასცემს, რის შედეგადაც შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი.

მიმდინარე სასწავლო წლისთვის ადმინისტრაციული რეგისტრაცია ასევე უნდა გაევლო თსუ-ის ყოფილი ფილიალების 1087 სტუდენტს, რომელთაც სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაწყვიტეს. მათგან რეგისტრაცია არ გაუვლია 377-ს. სასწავლო დეპარტამენტის განცხადებით, თუ ისინი 6 ოქტომბრამდე ვერ გაივლიან ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, სტუდენტის სტატუსი შემდეგ აკადემიურ სემესტრამდე შეუჩერდებათ.

„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ – ოჰ, ეს დაუსრულებელი ტენდერები...

როგორ მოვაწყოთ უნივერსიტეტი სწრაფად და ხარისხიანად? სად არის გამოსავალი? არის თუ არა ჩვენს სიტუაციაზე მორგებული ეს შეგონება: — „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი?“ ფაქტია, რომ ჯერ ვზომავთ... როდის გადავჭრით რიგ პრობლემებს, რაც უნივერსიტეტში ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას გულისხმობს, ამას მალე ვნახავთ. ამ ტიპის პრობლემების გადაჭრა რომ საჭიროა, ამაში თავად დარწმუნდებით, როდესაც უნივერსიტეტის კორპუსში საღამო საათებშიც შემოივლით და დერეფნებში ადმინისტრაციის თანამშრომელთა არა ერთ გაღებულ კარს ღამის 12 საათამდეც ნახავთ. მაგრამ მთავარი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მომსახურებაა. „მამაკაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის“-ო, ნათქვამია. მართალია, საკითხი ასე არ დგას უნივერსიტეტში, სადაც აქცენტი უფრო მეტად სულიერ ფასეულობებზე კეთდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კორპუსებში არ არსებობს დანაყრებისთვის საჭირო „კაფეტერია“, რაც ჩვენი გონების დასასვენებლად და თბილი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ესოდენ აუცილებელია.

რაზეა მოთხოვნა? რა გაკეთდა და, ჯერჯერობით, რის ზღვარზე ვდგავართ? ამ თემაზე მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ კრავეიშვილი გვესაუბრა.

შურთხია ბეროშვილი

ახალ სასწავლო წელს თსუ სტუდენტებს მრავალ სიახლეს ჰპირდება. ამაზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და ახლად შექმნილმა შესაბამისმა დეპარტამენტებმა იზრუნეს.

საკმაოდ მოკლე დროის განმავლობაში უნივერსიტეტში ბევრი რამ შეიცვალა: შეიქმნა სამი ახალი, თანამედროვე კომპიუტერული რესურსცენტრი, რომელიც პირველ კორპუსში უკვე ფუნქციონირებს. მეორე და მაღლივ კორპუსებში კი უახლოეს მომავალში ამოქმედდება. ს/ს „მადნეულის“ დახმარებით მაღლივ კორპუსში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია გაიხსნა.ამავე ფაკულტეტზეა ორი რესურსცენტრიც, სადაც სამოცი კომპიუტერი განთავსდება.

ზაფხულის განმავლობაში უნივერსიტეტის თითქმის ყველა კორპუსში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. სამშენებლო ფირმა „რონდო“-ს დახმარებით, წლების მანძილზე დაზიანებული, მაღლივი კორპუსის შენობის სახურავი გადაიხურა. ლოკალური სამუშაოების შესრულებაში „ცენტრ-პოინტიც“ მონაწილეობდა. მეხუთე კორპუსში ბიბლიოთეკა გარემონტდა, ბიოლოგების კორპუსში ფანჯრები და გათბობის სისტემა გამოიცვალა, თუმცა ამ კორპუსში დაზიანებული სახურავის შეკეთება, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა. როგორც მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ კრავეიშვილმა აღნიშნა, ფინანსების სიმცირის გამო სახურავის გადახურვაზე ტენდერი არ გამოცხადდა. „ეს პრობლემა თუ დროზე არ გადაიჭრა, მთელი შრომა წყალში ჩაგვეყრება, ვცდილობთ, ჩვენი რესურსები გამოვიყენოთ“.

თამაზ კრავეიშვილის თქმით, დეპარტამენტის მუშაობას სამშენებლო მასალების უკმარისობაც აფერხებს. უნივერსიტეტის მიერ სამშენებლო ფირმების შესარჩევად გამოცხადებული ტენდერი ჩავარდა. დეპარტამენტი ახლა მეორე ტენდერის შედეგებს ელოდება. „თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მივმართოთ თხოვნით, ნება დაგვრთონ, რომ მასალები ცალკეულ პირთან მოლაპარაკების გზით შევისყიდოთ“, — აღნიშნა მან.

„გაკეთებული საქმე ბევრია, გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი. ამას თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები აქვს. თამაზ კრავეიშვილის თქმით, „დაგეგმილი სამუშაოს ძირითადი ნაწილი დამთავრდა, მაგრამ ჩვენ დეპარტამენტს კვლავ უამრავი საზრუნავი დარჩა. უახლოეს მომავალში პირველ რიგში ვგეგმავთ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის გუმბათის გამაგრებას, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია. მთლიანად უნდა მოხდეს წყალგაყვანილობის სისტემის რეკონსტრუქცია. უძველესი კერამიკული მილები დაზიანებულია, პირველი და მეორე კორპუსის საძირკველი სავალალო მდგომარეობაშია, დანესტიანებულია ნულოვანი სართულები“.

რაც შეეხება აუდიტორიების კეთილმოწყობას, აქაც არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. ზაფხულში ზოგიერთი აუდიტორია დეპარტამენტის ძალებით გარემონტდა, ზოგიერთი — სპონსორების დახმარებით, მაგრამ ამით პრობლემა ბოლომდე ვერ მოგვარდა. ბევრ აუდიტორიაში კვლავ ძველი, დაზიანებული მერხები დგას და არც ოთახებია სახარბიელო მდგომარეობაში.

„ეტაპობრივად ყველა აუდიტორიას მივხედავთ, მერხები მართლაც შესაცვლელია. ამ ეტაპზე ვცდილობთ, ძველი მერხების რკინის რეკონსტრუქციები გამოვიყენოთ და ლამინატის მასალისგან დამზადებული ზედაპირები გადავაკრათ, თუმცა ძირითადი ნაწილი მაინც დასამზადებელი იქნება“, — აღნიშნა კრავეიშვილმა.

უნივერსიტეტის თითქმის არც ერთ კორპუსში არ ფუნქციონირებს კვების ობიექტი. პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს საუზალება არა აქვთ შესვენებაზე შენობაშივე ისადილონ. ეს საკითხი განსაკუთრებით მაღლივ კორპუსში აწუხებთ, რადგან, მოგეხსენებათ, შენობა ქალაქის კაფე-ბარებს მოწყვეტილია. პრობლემის მოგვარებას დეპარტამენტის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში გვპირდება.

ჯერჯერობით, გამოცხადებული ტენდერები მიმზიდველი არ აღმოჩნდა არც ერთი კომპანიისთვის და კერძო პირისთვის. თამაზ კრავეიშვილის თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვების ობიექტის გახსნას კომპანიები რატომღაც წამგებიანად თვლიან. წაყენებული პირობები მათთვის სახარბიელო არ არის, რადგან მოთხოვნები საკმაოდ გამკაცრებულია. კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ უნივერსიტეტის შენობებში კვების ობიექტების გასახსნელად 300 ათასი ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს.

პროგლემა

მითხარი, ვინ არის შენი ტუტორი და გეტყვი – მიდიხარ თუ არა წინ სწორად?

ნინო კაკულია

სწავლების ახალი იდეოლოგიის „მიმღები“ — უმაღლეს სასწავლებლებში საერთო ეროვნული გამოცდებით მოსული ახალი თაობა კიდევ უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე იმ თაობის წინამორბედნი, რომელთაც ეროვნული გამოცდები არ „შეხებიათ“. ეს იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ „საყვარელი პროფესიის“ დაუფლების უფლება დღეს მხოლოდ მათ ეძლევათ, ვინც ღირსეულად გადალახავს მკაცრ ბარიერს და ვისაც შესწევს იმის უნარი, რომ მოხვდეს იქ, სადაც მას სურდა. გამოცდებზე მაღალი ქულების მიღების გარეშე დღეს ხომ უკვე შეუძლებელი ხდება დაეუფლო „რჩეულ პროფესიას“. მისაღები გამოცდების ეს წესი აბიტურიენტს მოტივირებულს ხდის — აჯობოს სხვას, რათა საკუთარი მომავალი შინაგანი მოთხოვნილების იმპულსაციის კვალობაზე წარმართოს. ამ იდეით მოსულ სტუდენტს აქვს პრეტენზია — მიიღოს კვალიფიციური ცოდნა, რაც მას სამომავლო თვითრეალიზაციაში დაეხმარება.

ის კი, ვინც გამოცდებზე ზღვრულ ბარიერს ვერ გადალახავს, იძულებული ხდება მიენდოს დინებას, რომელსაც ცხოვრება თავად სთავაზობს. „სხვა პროფესია მისთვის უცხო და შორეული შეიძლება აღმოჩნდეს, თუკი ვერ მოახერხებს თვითიდენტიფიკაციას. თითოეული სტუდენტის სამომავლო პერსპექტივის უზრუნველყოფის მიზნით, საპასუხისმგებლოა ტუტორების — ანუ კონსულტანტების, მრჩეველების „თანამდებობა“ სასწავლო საგნების არჩევისას. „რჩევა იმას ჰკითხე, ვისაც საკუთარი საქმე შედარებით მაინც კარგად აქვს აწყობილი“-ო!—ნათქვამია. ამ პრინციპით არიან თუ არა შერჩეულნი თითოეული ფაკულტეტიდან ტუტორები, რომელთაც სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესში სტუდენტთა დაკვალიანება ევალებათ, მომავალში შესაფასებელი თემაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ, ამ ეტაპზე, მთავარი — მათი მიუკერძოებლობაა.

„სტუდენტებმა, ფაქტობრივად, უკვე იციან, რა უნდათ! — ასეთია თავად კონსულტანტების აზრი იმ სტუდენტებზე, რომლებმაც აკადემიური რეგისტრაციის გავლის პროცესში კარგად დაამახსოვრეს თავი ტუტორებს. რჩევების მიუხედავად, ზოგი არ ცვლის ოჯახში მიღებულ გადაწყვეტილებას — რა ისწავლოს. კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლას რომ უნივერსიტეტი არ ჭირდება (თუკი მას სპეციალისტი არ უნდა, რომ გამოვიდეს), — ამ № 1 რჩევას თითქმის ყველა იგნორირებას უკეთებს.

რა სპეციალობებს აღარ ირჩევენ სტუდენტები, რომელი საგნები „შემოიდო“ თაროებზე, რა მიმართულებების ტუტორები დარჩნენ გულდაწყვეტილნი მათი სპეციალობის არარეიტინგულობის გამო? — ამ კითხვებზე პასუხები სწორედ აკადემიური რეგისტრაციის მეთვალყურეობისას გამოიკვეთა. აღნიშნულ თემებზე სპეციალურ ანალიზს გაზეთი კიდევ ბევრჯერ შემოგთავაზებთ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი სპეციალობები, დღეს, მართლაც „განსაცდელშია“.

„ვინ არის შენი ტუტორი, აა...?!“

„ვინ არის შენი ტუტორი?!“ — მართალია, ასეთ სახუმარო ინციდენტსაც წავაწყდით უნივერსიტეტის ცუდად დანომრილ აუდიტორიებში ტუტორების მოძებნის ხანგრძლივი პროცესისას, მაგრამ, რაც მთავარია, ნამდვილ ტუტორებს მაინც მივაგენით და მათთან საკმაოდ საგულისყურო დიალოგი შედგა.

ამირან ჩიტალაძე, კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების ტუტორი:

— არის ასეთი მომენტი: ახალგაზრდამ იცის, რომ კომპიუტერის ცოდნა საჭიროა, მაგრამ ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს — კომპიუტერის სწავლასა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებების დაუფლებას.

როდესაც სტუდენტებს ვეკითხებით, როგორ ესმით სწავლების პროცესი — განიხილვენ თუ არა კომპიუტერს როგორც მომსახურებისთვის დამხმარე საშუალებას, თუ მხოლოდ იმ უნარჩვევების შესწავლა სურთ, რაც ამ სპეციალობას სჭირდება. უმეტეს შემთხვევაში ისინი გაუთვითცნობიერებლად ირჩევენ ამ სპეციალობას და მერე, იანვრის სესიების დროს, იმედები უცრუვდებათ. ასეთი სტუდენტების გადანაწილება ფიზიკის, გეოგრაფიის და სხვა მიმართულებებზე გვიხდება.

— ანუ, მსურველი უფრო მეტია, ვიდრე ის, ვინც ამ პროგრამას დაძლევს?

— დიახ, დაახლოებით 40% რჩება. დანარჩენი მიდის.

— როგორც ჩანს, ეს სპეციალობა რეიტინგულია. ამდენი სტუდენტისთვის თუ არის საკმარისი აუდიტორია?

— ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს, როგორც აუდიტორიების, ისე ტექნიკის თვალსაზრისითაც. რადგან სტუდენტთა რაოდენობა დიდია, ხანდახან კომპიუტერთან ერთდროულად ორი ბავშვი ზის.

თამარ კეკელია, ქიმიის მიმართულების ტუტორი

— როგორი ინტენსივობით ირჩევენ ქიმიას სტუდენტები?

— მსურველი ცოტაა...

— ანუ, ქიმია არ უნდათ?

— სხვა საგნებთან შედარებით, ნაკლებად!

— ამას, ალბათ, თავისი მიზეზი აქვს, თქვენ როგორ ხსნით?

— ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობით. სამუშაო ადგილები აღარ არის. ის საწარმოები აღარ ფუნქციონირებს, სადაც ქიმიკოსი შეიძლება დასაქმდეს.

— სტუდენტებზე გავლენას ხომ არ ახდენთ?

— რა თქმა უნდა, არა! ვისაც გადაწყვეტილი აქვს ქიმიურზე სწავლა, იმას ვაკვალიანებთ, თავს არაფერს არ ვახვევთ, მიუხედავად იმისა, რომ გული გვწყდება.

დავით კაკულია, ფიზიკის მიმართულების ლაბორატორიის გამგე

— ფიზიკას ცოტა სტუდენტი ირჩევს?

— თითქმის არ ირჩევენ, ასე გამოდის...

— ეს რისი მიზეზით ხდება, თქვენი აზრით?

— მათ აინტერესებთ, ძირითადად, რომ დასაქმდნენ. როცა ამ მიმართულებას დაამთავრებენ, მომავალში პერსპექტივას ვერ ხედავენ, თუ მართლა ძლიერი მეცნიერი არ გამოვიდა და საზღვარგარეთ არ წავიდა. ასეთი გეგმები თუ აქვს, ამ შემთხვევაში აირჩევს ფიზიკას, თორემ სხვა რეალური გარანტია, რომ „ფიზიკადამთავრებული“ სადმე დაიწყებს მუშაობას, ამ მომენტისათვის ნამდვილად არ არსებობს. შეიძლება იყოს ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ სტუდენტებისათვის ეს ინფორმაცია ხელმიუწვდომელია. კარგი იქნება, საწარმოებიდან მოდიოდეს დაკვეთა, ვთქვათ, 2010 წლისთვის გვჭირდება ამდენი რაოდენობის სპეციალისტი და რომ, ისინი, უნივერსიტეტმა მომიმზადოს — მაშინ სტუდენტი აუცილებლად მოვა და ფულსაც გადაიხდის სწავლაში, ეს ყველაზე მთავარია, რადგან ჩვენ გადავდივართ თვითდაფინანსების რელსებზე.

— მაგრამ, ფიზიკა, დღეს, როგორც მეცნიერება ძალიან აქტუალურია. არა ერთი საინტერესო ექსპერიმენტი ტარდება, რომელშიც უამრავი ფიზიკოსია ჩართული. ამ ინფორმაციით სტუდენტების დაინტერესება არ შეიძლება?

— გააჩნია სახელმწიფოს, გააჩნია ქვეყანას. ფიზიკოსები ძალიან საჭირონი არიან არა მარტო საქართველოში, არამედ ამერიკაშიც, მაგრამ ქართველებს იქაც პრობლემა აქვთ, იქაც, ძირითადად, უცხოელებით არის დაკომპლექტებული ინსტიტუტები და უნივერსიტეტები.

გვანცა ჭანტურია, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ტუტორი:

— რას ირჩევენ ახლადმოსული სტუდენტი — „ჰუმანიტარები ?

— უფრო მეტად ინგლისურ ფილოლოგიას. ძალიან იშვიათად, რომ რაიმე სხვა აირჩიონ.

— ეს უფრო მათი პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარეობს?

— დიახ, ინგლისური ჭირდებათ, მაგრამ იმდენს ვერ ხვდებიან, რომ ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის დაუფლებით, ფილოლოგი გამოდის, ხოლო ენის სწავლა ისედაც შეიძლება.

— ამას არ უხსნით?

— ჩვენ ვეუბნებით, რომ მთავარია, მიხედონ ძირითად სპეციალობას, რადგან შესაძლოა, საბოლოო ჯამში მიიღონ ჰუმანიტარის ზოგადი დიპლომი და არ ჰქონდეთ არჩეული კერძო სპეციალობა. თუმცა იმდენად მყარი გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, რომ, სამწუხაროდ, აზრს ვერ ვაცვლევინებ.

— თქვენ რა სპეციალობას აურჩევდით ჰუმანიტარებს?

— ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ვურჩევდი უფრო ტელე-კინო ხელოვნებას, ხელოვნებათმცოდნეობას, ისტორიას, ამერიკანისტიკას, არქეოლოგიას...

— აუდიტორიების პრობლემა თუ იქმნება, როდესაც რომელიმე სპეციალობაზე ბევრი სტუდენტი მოდის?

— პირველ კორპუსში აუდიტორიების პრობლემა არანაირად არ იქმნება. ზოგჯერ საათები ემთხვევა ერთმანეთს და, შესაბამისად, ხდება სტუდენტის მიერ არჩეული საგნის შეცვლა სხვა საგნით, ხოლო სასურველ საგანს მეორე სემესტრში აირჩევს და ისწავლის.

— საათების დამთხვევის გამო საგნის შეცვლით მისი ინტერესები არ ილახება?

— არანაირად. უბრალოდ, შეიძლება პირველ სემესტრში სასურველი საგანი ვერ გაიაროს. სამაგიეროდ, მას მეორე სემესტრში აირჩევს და გაივლის კიდეც.

შორენა დარჩიაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის ტუტორი:

— უფრო მეტად რას ირჩევენ?

— სტუდენტები, ძირითადად, სამკურნალო სპეციალობაზე მოდიან, უფრო ნაკლებად ოკუპაციურ თერაპიას ირჩევენ.

— რით არის ეს გამოწვეული?

— ოკუპაციური თერაპიის სპეციალობის შესახებ ჯერ სტუდენტები კარგად ინფორმირებულები არ არიან, ამიტომ ზოგს მოსწონს, ზოგს — არა. უმეტესობა ტრადიციულად სამკურნალო საქმეს ირჩევს.

მარიკა ლარცულიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტუტორი:

— თქვენთან საგნების ასარჩევად მოსულმა სტუდენტებმა წინასწარ იციან, რა სურთ?

— პირველკურსელებს სპეციალობებზე წარმოდგენა მაინც და მაინც არა აქვთ, მაგრამ, ძირითადად, საბანკო საქმე, ფინანსები და ინფორმატიკა აინტერესებთ. მოთხოვნის მიუხედავად, სამწუხაროდ, ეს სპეციალობა მაგისტრატურაში აღარ გვაქვს. ჩვენ ასარჩევ საგნებზე ვაძლევთ ინფორმაციას.

— მაგისტრატურიდან ამოღებული სასურველი საგნები უხერხულობას არ ქმნის?

ელენე გვენცაძე, იურიდიული ფაკულტეტი:

— სტუდენტებს საგნებს თქვენ ურჩევთ, თუ თავად იციან, რა სურთ?

— სავალდებულო საგნებს, ძირითადად, თავად ირჩევენ. არჩევითი საგნებიდან კი, უფრო კრიმინალისტიკას და საარბიტრაჟოს ანიჭებენ უპირატესობას.

სტუდენტს კონსულტაციას მისი მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში ვუწევთ. ისინი ცდილობენ, ამ ეტაპზე, ის საგნები აირჩიონ, რომელსაც მეტი კრედიტი აქვს.

საფოლკის უნივერსიტეტის სტრუქტურული მოწყობის მოდელი მისაღები აღმოჩნდა აშშ-ის ყველა უნივერსიტეტისთვის

ლექცია თსუ-ის ადმინისტრაციისთვის

16-20 სექტემბერს საქართველოს საფოლკის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მარგარეტ დენისი სტუმრობდა. საფოლკის უნივერსიტეტი ბოსტონში მდებარეობს, იგი 1906 წელს დაარსდა და აშშ-ის 366 საუკეთესო უნივერსიტეტთა სიაშია. უნივერსიტეტის ბაზაზე ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯი, ბიზნესისა და სამართლის სკოლები ფუნქციონირებს. საფოლკის უნივერიტეტის ფილიალები მსოფლიოს სამ კონტინენტზე მდებარეობს — როგორც ამერიკაში, ასევე ევროპასა (მადრიდი, ესპანეთი) და აფრიკაში (დაკარი, სენეგალი).

17 სექტემბერს მარგარეტ დენისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას შეხვდა და საკუთარი ვიზიტის დეტალებზე ისაუბრა. მარგარეტ დენისმა რექტორს მაგისტრანტი სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მართვაში სპეციალური კურსების (სრული სამაგისტრო კურსის ან საზაფხულო სკოლის სახით) დანერგვა შესთავაზა და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში საფოლკისა და თბილისის სახელმწფო უნივერსიტეტები პროფესორებისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებს განახორციელებენ.

„ქართველ სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ უმაღლესი განათლების მენეჯმენტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირება, გაიარონ მეცნიერების მენეჯმენტის სასწავლო კურსი. საფოლკის უნივერსიტეტთან ერთად დავნერგავთ სასწავლო კურსებს ადმინისტრაციულ პროგრამებში, რაშიც სათანადო დახმარებას გაგვიწევს ქალბატონ მარგარეტ დენისის წიგნი „საერთაშორისო უმაღლესი განათლების მიმართულებები“ — კლასიკური სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის დარგში“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ვიზიტის ფარგლებში მარგარეტ დენისი თსუ-ის ადმინისტრაციის ხალმძღვანელობას: გულნაზ გალდავას, შოთა მინდელს, მერაბ სვანაძეს, იაგორ კალანდაძეს, თეა გერგედავას, დეკანებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა. 18 სექტემბერს კი თსუ ადმინისტრაციისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე — „ამერიკული უნივერსიტეტის ადმინისტრირება და უნივერსიტეტის პრეზიდენტების წინაშე მდგარი გამოწვევები.“

„ორმოცი წელია, უმაღლესი განათლების ადმინისტრირებით ვარ დაკავებული. მსურს საკუთარი გამოცდილება ქართველ კოლეგებსაც გავუზიარო, გიამბობთ უნივერსიტეტის სტრუქტურული მოწყობის მოდელზე, რომელიც თავად მოვიფიქრე, ჩამოვაყალიბე და რომელიც მისაღები აღმოჩნდა აშშ-ის ყველა უნივერსიტეტისთვის. თუმცა, ჩემი მიზანი არ გახლავთ, სწორედ ეს მოდელი გახდეს თქვენთვის მოსაწონი“, — განაცხადა მარგარეტ დენისმა.

ფისკალური ჯანმრთელობა ქალბატონმა მარგარეტმა ამერიკული უნივერსიტეტებისთის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელა და აღნიშნა, რომ საფოლკის უნივერსიტეტის პრეზიდენტი საკუთარი დროის 70-80%-ს ფონდების მოზიდვის საქმეში ხარჯავს. თუმცა, არანაკლები კრიტიკულობით უდგებიან აკადემიური პროგრამებისა თუ პროფესორების მომზადების ხარისხს, ბაზარზე სტუდენტების შერჩევის საკითხს. დიდი ყურადღება ეთმობა მაღალი ტექნოლოგიების ინტეგრაციის თემას — უნივერსიტეტში სტუდენტების მაღალი ტექნოლოგიების საშუალებით მოზიდვას.

საფოლკის უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საკუთარ კურსდამთავრებულებთან სასწავლებლის იმიჯის ამაღლების მიზნით და ამ კუთხით, ყოველწლიურად, საკმაოდ მასშტაბურ ღონისძიებებს ატარებს.

„ჩვენი კურსდამთავრებული ერთგვარი პროდუქტია და ვცდილობთ, ისინი სათანადოდ წარვუდგინოთ ახალ სტუდენტებს, რათა დავანახოთ, როგორი შეიძლება იყოს მათი მომავალი“, — განაცხადა ქალბატონმა დენისმა.

19 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მარგარეტ დენისმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე — „საერთაშორისო უმაღლესი განათლების მიმართულებები“. საუბარი შრომით ბაზარს, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის კავშირებსაც შეეხო.

„საერთაშორისო უმაღლესი განათლება დიდი ბიზნესია — 300 მილიონ დოლარიანი ინდუსტრიაა და მას გლობალური ეკონომიკის 1% უჭირავს. დღეს მსოფლიოში 80 მილიონზე მეტი სტუდენტია, 3,5 მილიონი ადამიანი კი უმაღლესი განათლების სფეროშია დასაქმებული. 2003 წელს საერთაშორისო სტუდენტებმა ბანკებში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შეიტანეს: აშშ-მა — 9,3 მილიონი ევრო, დიდმა ბრიტანეთმა — 5,7 მილიონი ევრო, ავსტრალიამ — 1,5 მილიონი ევრო. ეს რიცხვები და ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ სტუდენტების გაცვლა ჩვენს მუდმივ საქმედ უნდა დავისახოთ“, — განაცხადა სტუმარმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტიც, რომ თსუ-ის ბოლონიის პროცესთან მიერთებით ქართველ სტუდენტებს გზა გაეხსნათ ევროპაში განათლების დასაუფლებლად. საზღვარგარეთ ქართველი სტუდენტების მიღება კი ერთგვარი შანსია, უფრო ცნობადი გახდეს ჩვენი ქვეყანა, გაიცნონ და შეისწავლონ მისი ისტორია, კულტურა და ენა. საფოლკის უნივერსიტეტის მესვეურთა უმთავრესი მისიაც ეს გახლავთ: ნებისმიერი ეროვნებისა და გამოცდილების სტუდენტი გლობალურ პროცესებში ჩასაბმელად მოამზადონ.

მაკა ლდოკონენი

ტრენინგი პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობაზე

24 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით თსუ-ის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამასთან დაკავშირებით ტრენინგი ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტზე ორიენტირებული პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავების ხელშეწყობას.

თსუ-ის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო სტრუქტურული (კურიკულუმის) განვითარების პროგრამების ექსპერტმა ლალი ბაქრაძემ იმ აუცილებელ ტენდენციებზე ისაუბრა, რომლებიც უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას არის გასათვალისწინებელი.

ლალი ბაქრაძის განმარტებით, პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამა დაკავშირებულია საბაკალავრო პროგრამასთან და, რეალურად, მის პროფესიულ გააზრებასა და შემუშავებას მოითხოვს. „ჩვენი მიზანია, ტრენინგის მონაწილეებს კარგად დავანახოთ, რა არის პროფესიული უმაღლესი განათლება, რათა ძირითადი პრინციპები ზუსტად აისახოს პროგრამებში და არ მოხდეს მისი საბაკალავრო პროგრამასთან აღრევა, დაკნინება, ან მისი როლის ზედმეტად გაზრდა,“ — აღნიშნა ექსპერტმა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს უწყობს პროგრამების შემუშავებას, გასცემს ინფორმაციას სიახლეების შესახებ, უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებისა და კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე პრინციპების ცოდნას. მისი დაწერა კი უმაღლესი განათლების დაწესებულებისა და შესაბამისი სტრუქტურების საქმეა.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ირინე დარჩიას განცხადებით, განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა-უნარებით აღჭურვილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებს ისეთი მოდელის პროგრამების შემუშავებას, როგორიც ბოლონიის პროცესის ფარგლებშია აპრობირებული.

ხათუნა ხატიაშვილი

ვიზიტი

თანამშრომლობის რა პერსპექტივები ჩამოიტანა თსუ-ის რექტორმა ბოლონიიდან

20-21 სექტემბერს იტალიის ქალაქ ბოლონიაში „უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის“ ე.წ. „მაგნა კარტას ობსერვატორიის“ კონფერენციაში, რომელიც ყოველწლიურად იმართება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა მონაწილეობდა, რომელიც უნივერსიტეტების ინტეგრაციას, საგანმანათლებლო სივრციდან კორუფციის აღმოფხვრასა და აკადემიური თავისუფლების სწორ გააზრებას ეხებოდა.

„მაგნა კარტას ობსერვატორია“ პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს 500-ზე მეტ უნივერსიტეტს აერთიანებს, უზენაესი საუნივერსიტეტო ფასეულობების გავრცელებას უწყობს ხელს და ობსერვატორიის წევრებს საერთაშორისო კავშირების დამყარებისა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების უნიკალურ შანსს აძლევს.

„მაგნა კარტას ობსერვატორიის“ ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. კერძოდ, გიორგი ხუბუამ ძველი მეგობრული ურთიერთობა განაახლა „მაგნა კარტას ობსერვატორიის“ კოლეგიისა და ბორდის წევრებთან. შეხვედრაზე ისინი შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში თსუ უმასპინძლებს მათ მორიგ საერთაშორისო სემინარს, რაც ჩვენს უნივერსიტეტს მსოფლიო საუნივერსიტეტო ცხოვრების ეპიცენტრში მოაქცევს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვევიან „მაგნა კარტას ობსერვატორიის“ კოლეგიის წევრი, პარიზი 12-ის ყოფილი რექტორი ჰელენ ლემიკი და „ობსერვატორიის“ საპატიო პრეზიდენტი ფაბიო როვერსი მონაკო. ისინი კონსულტაციას გაუწევენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მენეჯმენტის სრულყოფის საკითხებზე, ხოლო აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ლექცია-სემინარების ინტენსიურ კურსს წაუკითხავენ.

ვიზიტისას მიღწეულ იქნა შეთანხმება ევროპის პირველ და ერთერთ წამყვან — ბოლონიის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყრება ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და უცხო ენების განყოფილებების ბაზაზე. მოხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლა ერაზმუს-მუნდუსის და სხვა ევროპული პროგრამების ფარგლებში, განხორციელდება ერთობლივი კვლევითი პროექტები და მოხდება პერიოდული გამოცემების გაცვლა.

ბოლონიის უნივერსიტეტის იტალიანისტიკის დეპარტამენტის დირექტორმა, პროფესორმა ჯან მარიო ანსელმიმ უკვე იტვირთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იტალიური ფილოლოგიის პროგრამის აკადემიური ექსპერტიზა, ხოლო კლასიკური და შუა საუკუნეების ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ლორენცო პერონე ზაფხულის სემესტრში თბილისს ლექციების ინტენსიური კურსით ეწვევა.

გარდა ამისა, საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას არტურ გალაგერის ამერიკულ საკონსულტაციო კომპანიასთან — „უმაღლესი განათლების პრაქტიკა“ და მის პრეზიდენტ ლეტა ფინჩთან. ამერიკელი კოლეგები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მენეჯმენტის სრულყოფასა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაში დაეხმარებიან.

პროგლემა

ინგლისურის შემდეგ როგორ უნდა გახდეს გერმანული ენა პრიორიტეტული

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გერმანული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და მისი პრიორიტეტული მნიშვნელობის ასამაღლებლად ქართველი გერმანისტები გერმანელ კოლეგებთან ერთად ზრუნავენ.

გერმანული ენის გავრცელების ხელშეწყობასა და მისი დარგობრივი სწავლების გაღრმავებასთან დაკავშირებით თსუ-ში 12-15 სექტემბერს გერმანიის ყოფილ სტიპენდიანტთა საქართველოს კავშირის ეგიდით კონფერენცია „გერმანული — გზა ევროპისკენ“ გაიმართა, სადაც თსუ-ის, გოეთეს ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, თელავის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის უნივერსიტეტების გერმანული ენის სპეციალისტებმა მიუნსტერის, ზაარლანდის, იენის უნივერსიტეტების პროფესორებთან ერთად გერმანული ენის პრიორიტეტულ ენად ქცევის რეალურ გზებსა და რესურსებზე იმსჯელეს.

„კონფერენციის მიზანია, გავაუმჯობესოთ გერმანული ენის სწავლება საქართველოში, რადგან გერმანიაში სტაჟიორების, სტუდენტების, ქართველი მეცნიერების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. გერმანული ენის საფუძვლიანი ცოდნა — ეს, მართლაც, რეალური გზაა ევროპისკენ. ბევრისთვის გერმანული ენა მეორე დედაენაა ევროპაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გერმანულის, როგორც უცხო ენის სწავლების გაღრმავება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებში. ეს ეხება იურისტებს, ფსიქოლოგებს, ფილოლოგებს, მედიკოსებს და ა.შ., რადგან მათ გერმანიაში სასწავლებლად, ან მუშაობის დასაწყებად დარგობრივი ენის ცოდნა აუცილებლად დასჭირდებათ“, — განაცხადა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა, ენების ცენტრის ხელმძღვანელმა მანანა ქუთელიამ. მისი თქმით, საუნივერსიტეტო სწავლებაში ქართველ გერმანისტებს მიაჩნიათ და, ამავე დროს, საერთო ევროპული ჩარჩო-კონვენციის მიერაც აღიარებულია, რომ საუნივერსიტეტო სწავლება ორი სავალდებულო უცხო ენის შესწავლას გულისხმობს.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების ძირითადი ნაწილი შეეხო გერმანული სახელმძღვანელოების შედგენის თემას, ქართული ენის სპეციფიკისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით მათზე მუშაობას — თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს გერმანისტიკის სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც მიუნსტერის უნივერსიტეტის პროფესორმა კრის ჰაბერიმ კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლისას აღნიშნა, თუკი არაგერმანელი უცხო ენის შესწავლას გერმანულის — როგორც პირველადი ენის შესწავლით დაიწყებს, ამის შემდეგ მას გაცილებით გაუიოლდება სხვა უცხო ენის, იგივე, ინგლისურის სწავლა, რადგან გერმანული საკმაოდ რთული ენაა.

კონფერენციის შედეგად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად მომზადდა დასკვნითი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, როგორ წარმოუდგენიათ ქართველ გერმანისტებს და მათ უცხოელ კოლეგებს გერმანული ენის ბედი საქართველოში. დოკუმენტში, ასევე, აღწერილია ის რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ინგლისურის შემდეგ გერმანული ჩვენს პრიორიტეტულ ენად იქცეს.

კონფერენცია „გერმანული — გზა ევროპისკენ“ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), საქართველოში გერმანიის საელჩოს, გოეთეს ინსტიტუტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. როგორც მანანა ქუთელიამ აღნიშნა, სწორედ DAAD არის ის სპეციალური სამსახური, რომელიც სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების, პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირებასა და პროექტებზე სამუშაო მივლინებებს აფინანსებს გერმანიაში.

ხათუნა ხატიაშვილი

ვიდეოთვალმა უკვე დააფიქსირა „უსაფრთხო სკოლის“ იდეოლოგიის მთავარი გამოწვევები

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული, სხვა წინააღმდეგობებთან ერთად, იმითაც ხასიათდება, რომ პოლიტიკური და სოციალური ვნებათაღელვის ფონზე სახელმწიფოს მხედველობიდან გამორჩა ახალი მოქალაქის აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი — სკოლა. შედეგად მივიღეთ დაკნინებული აღმზრდელობითი დაწესებულება და სფერო, რომელიც ახალგაზრდისთვის ცოდნის მიცემის ნაცვლად, ნაწილობრივ „ქუჩური მენტალიტეტის“ თაობის სამჭედლოდ იქცა.

დღეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვალა — დაწყებულია საგანმანათლებლო რეფორმა, მიღებულია კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, შემუშავებულია მოსწავლისა და მასწავლებლის ქცევის კოდექსი. ხელისუფლების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი მიმართულია მიზნისკენ, რომლის მიხედვითაც ქვეყანამ უნდა მიიღოს თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი, კანონმორჩილი თაობა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და მსოფლიო თანამეგობრობაში დამკვიდრების პროცესს.

მიუხედავად დროის მოთხოვნისა და ხელისუფლების ნებისა, წინააღმდეგობები ამ სფეროში მოსალოდნელზე დიდია. განათლების რეფორმა და კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც, ხელისუფლების აზრით, ახალგაზრდობის აღზრდის მთავარი ინდიკატორია, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. განსაკუთრებით აქტუალურია მოსაზრება, რომ ზოგადი განათლების სფერო ზედმეტად გათავისუფლდა ეროვნულობისგან და მასწავლებლის როლი მოსწავლისთვის გარკვეული ცოდნის გადაცემით შემოიფარგლება.

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა. ჩვენ ამ ლოგიკითაც ავირჩიეთ დღეს სკოლაში არსებულ პრობლემატიკაზე საუბარი №1 საჯარო სკოლის დირექტორთან ***ლელა წიქარიშვილთან.***

მაია ტორაძე

თანამედროვე მასწავლებლის მიმართ მოთხოვნები უზომოდ გაზრდილია. მასწავლებელზე მთლიანად არის დამოკიდებული სასწავლო პროცესის ორგანიზება და სწავლების ტიპი, რომელსაც შედეგზე ორიენტირებული სწავლება ჰქვია. მან უნდა მოიძიოს არა მხოლოდ შინაარსობრივი მასალა, არამედ უნდა სრულყოს მიწოდების ფორმები და ტექნიკა.

„მოგეხსენებათ, აღარ არსებობს შინაარსობრივი პროგრამები. დღეს უკვე გვთავაზობენ ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო სტანდარტებს. სტანდარტი წარმოადგენს შედეგისა და ინდიკატორის ერთობლიობას — რა შედეგს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ მასწავლებლის ხელმძღვანელობით და რომელი ინდიკატორებით იზომება მიღებული ცოდნა. მასწავლებლისთვის უმთავრესი ხდება გაკვეთილის დაგეგმვა. ამაში შედის აქტივობების, მიზნების, რესურსების გააზრებული თანმიმდევრობა, რასაც მასწავლებელი შედეგამდე მიყავს.

„თუ მასწავლებელი ვერ ფლობს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნიკას, ყველაფერი ფუჭი და ამაო იქნება,“ — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ლელა წიქარიშვილმა.

პედაგოგთა და სახელმძღვანელოების ავტორთა გარკვეული ნაწილი პრეტენზიებს გამოთქვამს ინტეგრირებული სწავლების მეთოდზეც. მათი აზრით, რამდენიმე საგნის ერთ სახელმძღვანელოში მოქცევა და ტრიმესტრული სწავლების პრინციპი მოსწავლეს უხერხულობას უქმნის, რადგან თუ იგი პირველ ტრიმესტრში მხოლოდ ფიზიკას ისწავლის, მეორეში — ქიმიას და მესამეში — ბიოლოგიას, წლის ბოლოს მივიღებთ საბუნებისმეტყველო საგნებში არა კომპლექსურ, არამედ გაფანტულ ინფორმაციულ ცოდნას, რაც სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ცხადია, ეს სერიოზული არგუმენტია იმისთვის, რომ პედაგოგები და სწავლების ამ მეთოდის ავტორები კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ საკითხს, რომელზეც ჯერ თავად სკოლის მასწავლებლებიც მსჯელობენ. მართალია, საგანთა გაერთიანება მოხდა დარგობრივი სიახლოვის მიხედვით, მაგრამ, მეთოდის სიახლის გამო, საბოლოოდ არ დადგენილა, რა შედეგები მოჰყვება ინტეგრირებულ სწავლებას. ამ თემაზეც №1 საჯარო სკოლის დირექტორს თავისი პასუხი აქვს:

„ჯერჯერობით, ჩვენი საგნობრივი ჯგუფები, ანუ კათედრები არ არიან ისე მობილიზებულნი, რომ მთელი წლის მანძილზე მოახდინონ ზუსტი და დახვწილი მონიტორინგი — რა ისწავლეს ბავშვებმა ფიზიკაში პირველ ტრიმესტრში და რა ცოდნა დარჩათ მათ წლის ბოლოს, როცა ქიმიაც გაიარეს და ბიოლოგიაც ისწავლეს. ეს საკითხი სერიოზულად შესასწავლია. ვფიქრობ, სწავლებაში ინტეგრაციის ელემენტების შეტანა აუცილებელია, მაგრამ, რა ფორმით, ეს ჯერ კიდევ შესამუშავებელია. მასწავლებელი დღეს თავის საგანში ისეთი თავისუფალია, როგორც არასდროს. მას შეუძლია თავად უდირიჟოროს სწავლებას, რომ ეს პროცესი მისთვისაც საინტერესო იყოს“, — აღნიშნა ლელა წიქარიშვილმა.

მიუხედავად საზოგადოების არაერთგვაროვანი განწყობისა, საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებს პედაგოგები დადებითად აფასებენ, რადგან სკოლა გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გახდა. ის, რომ არსებობს თვითმმართველობა და სამეურვეო საბჭო, რომ მშობლები თავად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს იცავს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს ადმინისტრაციის თვითნებობისგან.

რაც შეეხება მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესაქმნელად ვებ-პროგრამას, პედაგოგთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ელექტრონულმა დოსიემ და შექმნილმა საქმემ შეიძლება ბავშვის მომავალზე ცუდად იმოქმედოს, ნაწილი კი ამტკიცებს, რომ პრევენციისთვის ამ მეთოდების გამოყენება კარგ შედეგს მოიტანს. მათივე აზრით, სკოლაში სახელმწიფო დაცვის პოლიციის ინსტიტუტის შესვლა მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის და განუკითხაობის ფაქტებს.

„პოლიციური რეჟიმი, ჩემი აზრით, სულაც არ არის ცუდი რეჟიმი. ამ ცნებაში შეიძლება ჩავდოთ როგორც უკიდურესად უარყოფითი, ასევე დადებითი მნიშვნელობაც. გააჩნია, როგორი პოლიცია გვეყოლება. ჩვენი მოსწავლეები არ არიან ვიდეო კამერების დერეფანში დამონტაჟების წინააღმდეგნი. ასე რომ, ვფიქრობ, ამ მეთოდს უფრო მეტი პოზიტიური შედეგები მოჰყვება, ვიდრე ნეგატიური, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ იქცევიან, ზოგჯერ, არა მარტო მოსწავლეები, არამედ, მათი მშობლებიც.

რაც შეეხება მოსწავლეების ფსიქიკას, რა თქმა უნდა, ზეწოლა იქნება და აქ თავისი სიტყვა ფსიქოლოგებმა უნდა თქვან. მე ველოდი ასეთ კვლევებს და მონაცემებს მათი მხრიდან, მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ ქალბატონი გუგული მაღრაძის შეფასებები მოვისმინე“. — აღნიშნა დირექტორმა.

ნეგატიური ქმედებებისაგან სკოლის დასაცავად ზემოთ აღნიშნული მეთოდი იქნებ მოგებიანიც იყოს, მაგრამ საზოგადოებას უჩნდება ლოგიკური კითხვა — რადგან სკოლა ე.წ. „ქუჩური გარჩევებისაგან“ გათავისუფლდება, ეს პროცესი ხომ არ გადაინაცვლებს ბაღებსა და სკვერებში? აქედან გამომდინარე, ვის ვზრდით ჩვენ — შინაგანად მოწესრიგებულ, კანონმორჩილ თაობას თუ მხოლოდ „პოლიციური რეჟიმის“ მოშიშ ახალგაზრდობას, რომელიც მოეფარება თუ არა პოლიციელის თვალს, ისევ გააგრძელებს ჩვეულ ქმედებას? ამ კითხვებზე ქალბატონ ლელას ცალსახა პასუხი აქვს — თუ ამ ორი ცუდი ვარიანტიდან ერთერთი უნდა ავირჩიოთ, მაშინ სჯობს ეს „გარჩევები“ ისევ სკვერებში მოხდეს და არა სკოლაში. ყველაზე კარგი კი ის იქნება, თუ ორივეს — სკოლასაც და სკვერსაც პატრონი ეყოლება.

„რასაკვირველია, ვიდეოაპარატურის ამოქმედება უნდა მოხდეს საკმაო ტაქტით და ყოველგვარი მუქარის გარეშე. მიმაჩნია, რომ ამით მოსწავლის დაშინება არასწორია. ამ პროექტში ეს საკითხი ძალიან მაფიქრებს.

დღეს ცნობიერება იცვლება. მასწავლებელი თავის თავში უნდა გაერკვეს, რა იდეალს უსახავს ის თავის მოსწავლეს. როცა კლასში შედის და ყველას გასაგონად აცხადებს მავანზე, რომ „კაი ტიპია“ ის, ვინც გუშინ სადღაც იჩხუბა და ვიღაც დაჭრა, ეცოდება არა დაზარალებული, არამედ მოძალადე, აქ უკვე არღვევს ღირებულებებს და შეცდომაში შეჰყავს აღსაზრდელები,“ — ასეთი პოზიცია აქვს სკოლის დირექტორს, რომელიც აღნიშნავს, რომ, ამ ეტაპზე, სკოლას ერთი ყველაზე დიდი პრობლემა აქვს — მასწავლებლის ანაზღაურების ზრდა, რასაც ქალბატონი ლელა წიქარიშვილი „პირობათა პირობას“ უწოდებს. მას მიაჩნია, რომ სხვა შემთხვევაში „სკოლა, უბრალოდ, დაინგრევა“. მისი ინფორმაციით, ანაზღაურების სიმცირის გამო სკოლა არაერთმა ახალგაზრდა და პერსპექტიულმა კადრმა დატოვა.

საგანმანათლებლო რეფორმა ჯერ არ დასრულებულა. თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის სწორად განისაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა. სხვა საქმეა, როგორ მიიღებენ საჯარო სკოლები ამ პოლიტიკას და როგორ ააგებენ სამუშაო გეგმებს, რადგან, გარდა ხელისუფლების მოთხოვნებისა, მათ წინაშე კიდევ ერთი ინდიკატორი დგას — კერძო სკოლა, რომელიც დღითი დღე ძლიერდება და ვითარდება. ლელა წიქარიშვილის აზრით, ჩვენ კერძო და საჯარო სკოლებს შორის სერიოზული კონკურენციის მომსწრენი გავხდებით. ამასთანავე, საჯარო სკოლას ყოველი ვაუჩერი მოსაპოვებელი ექნება, რაც, პირველ რიგში, სწავლების ხარისხზე და სკოლის შიგნით კოლეგიალურ და პარტნიორულ ატმოსფეროზე იქნება დამოკიდებული.

ღონისძიება

ილია ერთხელ „ვერ მოჰკლეს“, ნუ მოვკლავთ ახლა!

ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან 100 წლისთავი აღინიშნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტის გამომცემლობის ინიციატივით ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან 100 წლისთავი აღინიშნა. აქცია უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. არავითარი პათეტიკა, ყვავილები, ლექსები და ცრემლები... მხოლოდ ბილბორდი — მომღიმარე ილია და ვაჟას უკვდავი სიტყვები — „ვერ მოჰკლეს!“ — ამით უკვე ყველაფერია ნათქვამი!



შურთხია ბერეშვილი

აქციაზე სიტყვა მხოლოდ უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ წარმოთქვა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის იდეების ერთგულების მნიშვნელობაზე ისაუბრა. თუმცა ამით ყველაფერი ვერ ითქმებოდა, რადგან ამ ერთგულებას დღეს მხოლოდ ღვთისგან გამორჩეული ქართველები ახერხებენ და, სამწუხაროდ, დღეს ილიას იდეებისადმი პატივისცემაც კი რთული ამოცანის შესრულებად ითვლება. რომ არ წავიდეთ პოლიტიკისკენ, სოციალური პრობლემების ჭრილში რომ არ მოვექცეთ, გვიჯობს, ილიას მივუბრუნდეთ და დღეიდან მაინც დავიწყოთ იმაზე ფიქრი, რაც ვაჟას სწამდა.

„მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება... მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა... იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს. ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ გავუმასპინძლდით, წყლულები, ჩვენს მიერ დაჩნეული. მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ გააგებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი“, — წერდა ილიას მკვლელობით თავზარდაცემული ვაჟა-ფშაველა. ილიას თანამედროვე პროგრესულმა საზოგადოებამ იმთავითვე შეაფასა მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე და მას უკვდავება უწინასწარმეტყველა. დამთავრდა ეპოქა ილიასთან ერთად და დაიწყო ახალი ერა საქართველოს ისტორიაში — ბრძოლა ილიას იდეების შენარჩუნებისთვის და განხორციელებისთვის.

მას შემდეგ ასი წელი გავიდა. ქართველი ხალხის მიერ წმინდანად შერაცხული ილია მართალი თავის საყვარელ — პირველ ქართულ უნივერსიტეტში საუკუნის შემდეგ კვლავ გაიხსენეს. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ ვრცლად ისაუბრა ილია ჭავჭავაძის იდეების ერთგულების მნიშვნელობაზე.

გიორგი ხუბუა: — ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ ვისაუბრებთ ქართველების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სირცხვილზე, რომელიც ასი წლის წინ მოხდა. ილია ვერ მოკლეს მიუხედავად იმისა, რომ ამის მცდელობა ბევრჯერ იყო ამ ასი წლის განმავლობაში. ბევრჯერ შეეცადნენ მოეკლათ ილიას იდეები, საქართველოს წარსული, მოეკლათ იმედი ქართულ საზოგადოებაში, მოეკლათ ქართული ღირსება.. ამის მცდელობა იყო უნივერსიტეტშიც...

საქართველომ გადალახა უპერსპექტივობის განცდა. ვერავინ ვეღარ შეძლებს დაამკვიდროს აპოკალიფსური განწყობა. „ვერ მოჰკლეს!“ — ეს სიტყვები დღეს თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ. ილიას ოცნება იყო, ეხილა განათლებული საქართველო. საქართველოს მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ კავკასიაში პირველი ქართული უნივერსიტეტი მოწყდებოდა ევროპულ სივრცეს, გამარჯვებას ადვილად მოიპოვებდნენ. სამწუხაროდ, გარკვეულ პერიოდში მათ ეს შეძლეს. თვითონ ის ფაქტიც, რომ ივანე ჯავახიშვილი ორჯერ გააძევეს უნივერსიტეტიდან, ამის დასტურია. მართალია, მისთვის ტყვია არ უსვრიათ, მაგრამ, ალბათ, ამაზე უფრო დიდი სასჯელი პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლისთვის ძნელი წარმოსადგენია.

საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო პერიოდისთვის ყველაზე დამაიმედებელი საუნივერსიტეტო განათლების თემაა. მართალია, ვამაყობთ იმ დიდი ტრადიციებით, იმ სახელებით, მემკვიდრეობით, რაც ქართულმა მეცნიერებამ, ქართულმა საუნივერსიტეტო განათლებამ შექმნა, მაგრამ ჩვენი ხედვა ყოველთვის პროსპექტული უნდა იყოს. უნივერსიტეტი არ უნდა მოწყდეს იმ ორბიტას, რომელსაც ის რამდენიმე ათეული წლის წინ ხელოვნურად მოწყვიტეს. ჩვენი ხედვა არის მიმართული მომავლისკენ, ევროპული ღირებულებების და ფასეულობებისკენ, ჩვენ გვინდა თავისუფალი უნივერსიტეტი, განათლებული საზოგადოება, რომელიც იქნება ქართული სახელმწიფოს მთავარი საფუძველი.

„ვერ მოჰკლეს!...“ ეს სიტყვები დღეს იმედიანად განგვაწყობს. ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი ახალგაზრდობა. ვერასოდეს ვერავინ ვერ მოჰკლავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, თავისუფლების, ღირსების შეგრძნებას ქართველ ერში!

პარლამენტის კარი სტუდენტებს დასაქმებისთვის გაუღეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით, ოქტომბრიდან დაგეგმილია საპარლამენტო და საუნივერსიტეტო ერთობლივი პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც პროექტში მონაწილეობის მსურველ თითოეულ სტუდენტს საშუალება მიეცემა, საკუთარი ინტერესების მიხედვით გაეცნოს პარლამენტის მუშაობის სპეციფიკას, შექმნას შესაბამისი ნაშრომი პარლამენტის მიერ განხილულ საკითხებთან, ან მის საქმიანობასთან დაკავშირებით. სტაჟიორ სტუდენტთა შორის საუკეთესონი კონკურსის წესით გამოვლინდებიან და სიურპრიზად მიიღებენ იმას, რასაც პარლამენტისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა პროექტის დასრულებამდე კონფიდენციალურად ინახავს.

მე-9 გვერდზე

უახლოეს მომავალში თსუ სტუდენტებს გზამკვლევს შესთავაზებს

ახალი გზამკვლევი 2007-2008 სასწავლო წლებისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესზე მოგვითხრობს. აქვე შეგეძლებათ იხილოთ პასუხები სტუდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე, რომლებიც რეგისტრაციას, კრედიტების სისტემას, სტუდენტების ცოდნის შეფასებას, სტუდენტების მობილობასა თუ სტუდენტური სესხის პროგრამას ეხება. ცნობარი, ასევე, მოგაწვდით ტერმინთა განმარტებასა და თსუ-ის საკონტაქტო ტელეფონებს. იკითხეთ გზამკვლევი, ვისაც უნივერსიტეტში გზის გაკვალვა რეალურად გსურთ!

სტუდენტური Press კლუბი

რა უფრო "კმარა"?

საყოველთაო სტუდენტური აქცია

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!...“ გემი „ერთობა“ დაიძრა ჩვენი ქვეცნობიერი „ვნებების“ ასაშლელად. გაუთავებელი ლაპარაკი „აფხაზეთის ტკივილზე“ და ჯერ კიდევ შევარდნაძისდროინდელი მოწოდებები „გვახსოვდეს აფხაზეთი“ („მას რა დაგვავიწყებს“?!) ყოველდღიური, მოვალეობის მოხდისმაგვარი „გამარჯობასავით“ გაიცვითა. მოწოდებები აფხაზეთის დასაბრუნებლად თუკი იმ თვითშეგნებამდე არ მიგვიყვანს, რომ ეროვნული ფასეულობების გარშემო უნდა გაერთიანდეს ყველა — განურჩევლად პოლიტიკური მიმდინარეობისა, მაშინ ამ თემით საზოგადოების მუდმივად მანიპულირების ტრადიცია არ მოიშლება. ნუთუ არ უნდა დამთავრდეს მტრის წისქვილზე ჩვენი ცრემლებისა და სისხლის დასხმა, რაც ასე კარგად გამოგვდის ჩვენი უახლოესი წარსულიდან მოყოლებული დღემდე. აღარ დამთავრდა ხმის ჩახლეჩამდე ერთმანეთის შეგულიანების პოლიტიკა — ნუ გვეშინია!“. მას კი, ვისიც მართლა უნდა გვეშინოდეს, ყოველდღიურად ვაძლიერებთ და თავზე ვისვამთ. ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების იდეაც კი უკან მოგვრჩება, თუკი ქართული სახელმწიფოს სტაბილურობას ენგურის გამოღმაც საფრთხე დაემუქრება. კი, ეს კარგად იცის ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა, მაგრამ უსამართლობით გამწარებულ, სოციალურად დაუცველ და ვაზის აჩეხვამდე მისულ კაცს წონასწორობის დაცვის პრინციპზე ხელს ვეღარ მოაწერინებ, როცა მას გაუაზრებლად აზვირთებულ „ტალღაში“ ჩართავ. და მაშინ რა ვქნათ?

პოლიტიკაში ყველა პოლიტიკურ პარტიას შორის დღეს დამკვიდრებულ ბრძოლის წესებს „ხელისუფლების დამხობის“ მოწოდებით ვერავინ შეცვლის. ქართულ ოპოზიციურ დაჯგუფებებს თუკი დღემდე არ ეყო ის სულგრძელობა და „კეთილი გონი“, რომ კონკრეტულ გარემოებებში გაერთიანებულიყვნენ და ალტერნატიული, კონსტრუქციული, ხელისუფლების ქმედებების მარეგულირებელი ძალა შეექმნა, არის კი დღეიდან მოსალოდნელი მათი გაერთიანება იმ ღირებულებების გარშემო, რაზედაც მოდის დაკვეთა ჩვენი საზოგადოებისგან? ხელისუფლებასაც უჭირს თვითკონტროლი და ეს ყველა სახელმწიფოში ასე იქნებოდა, თუკი გათითოლიდერებული ოპოზიცია ვერ მოახერხებდა ქვეყანაში მართვის ბალანსის ეფექტის შემოტანას. შეუძლებელია, პირში წყალი ჩაიგუბო და არ გამოეხმაურო ქვეყანაში მიმდინარე დღევანდელ მოვლენებს, მაგრამ ისიც უნდა შეეკითხოთ საკუთარ თავს, რა უფრო „კმარა“? — იქნებ ეს არის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მთავარი თემა? ახლა იმ ტრადიციასაც თუ დავნერგავთ, რომ საზოგადოება სახელისუფლო არჩევნებამდე დარჩენილი ყოველი ერთი წელი რევოლუციური გამოსვლების შიშში ამყოფონ, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს — რის შიშს რა შიში შეცვლის? შიშს კი დიდი თვალები რომ ნამდვილად აქვს, ეს მშვენივრად იცის მან, ვინც „მსოფლიოს ნებას თავზე აზის“ და ჩვენ კი ტერიტორიული მთლიანობის იდეას „გვიფარჩაკებს“.

აფხაზეთის დაცემის დღეს უმჯობესია, ის ემოცია გავიხსენოთ, რაც, ალბათ, ყველას ერთად დაგვეუფლა მაშინ, როცა საქართველოს ყველა ტელევიზიამ ჩვენი „ჯიგარის“ სწორად წარმართვისთვის ერთსა და იმავე დროს ეთერში გაუშვა კლიპი — „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“.

„დრო ყველაფრის მკურნალია, იცოდე,
და შენამდე არცთუ ისე შორია...“

სტუდენტებს უნდათ, რომ ამის სწამდეთ! აფხაზეთის ომში ჩათრევაზე გაკეთებული ყოველი ბრალდება, ეს ვისი მისამართითაც არ უნდა ითქვას, განა, ასე იოლი სათქმელია? ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აფხაზეთის დაცემის დღეს აქციით ეხმაურებიან.

ნინო კაკულია

დროა, აფხაზეთის დასაბრუნებლად საერთაშორისო საზოგადოების შეფასებებს და რეკომენდაციებს კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვეს

შურთხია გეროშვილი

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართა აქცია, რომელშიც სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

აქციაზე სტუდენტებმა მიიღეს მიმართვა, რომელიც საქართველოში აკრედიტებულ ყველა დიპლომატიურ კორპუსს გაეგზავნა.

გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობის შემდეგ სტუდენტებმა გაეროს ოფისთან გადაინაცვლეს, სადაც მიმართვის ტექსტი ინგლისურად წაიკითხეს.

მიმართვაში ნათქვამია, რომ ქართველი ახალგაზრდებისთვის 27 სექტემბერი სოხუმის დაცემისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის დღეა.

„ჩვენ ვართ ის თაობა, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა აფხაზეთის ომი და დღეს მის შედეგებს ვიმკით. ჩვენ შეშფოთებულები ვართ იმ პროცესებით, რომელიც აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში მიმდინარეობს და მიგვაჩნია, რომ სეპარატისტული მთავრობის მიერ დღეს დაგეგმილი ღონისძიებები სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფის მცდელობა“, — ნათქვამია მიმართვაში.

მე-9 გვერდზე

რედაქტორის სვეტი

ნინო კაკულია

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება "უნივერსიტეტის ბაღში!"

„ჩემი სტუდენტობის დროს...“ — მოგონებათა ეს საერთო შესავალი ყველა იმ თაობის წარმომადგენელს ეკუთვნის, ვინც დღეს სტუდენტი აღარ არის და მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ძირი ყოველთვის მწარე იყო, მაინც ენატრება სტუდენტური ცხოვრების ტკბილი კერძი — ერთგვარი თავისუფლება. დრომ ბევრი რამ შეცვალა, გადააფასა, გადაალაგა... ყავარჯენზე დაყრდნობილი მოხუცებულის დამაჯერებელი საუბარი „საბჭოთა განათლების“ უპრეცედენტობაზე დღევანდელ ახალგაზრდას შედავების სურვილსაც კი არ უჩენს, რადგან მას „არაფრის მომცემი დავისთვის დრო არ აქვს“. ტესტები და გამოცდა „უნარებში“ წინამორბედი თაობისთვისაც იმდენად უცხო ხილია, რომ ნაკლებად სავარაუდოა მისი „ჩაკბეჩის“ და გემოს გაგების ხასიათზე მოვიდეს. თუმცა სტუდენტობა ყველას თანაბრად უნდა და ენატრება. ამიტომ ყველაზე ბიან გაუთავებლად თავგადასავლებს და ამბებს — მოგონილს, ქარის მოტანილს თუ „უნივერსიტეტის ბაღში“ სახელდახელოდ გამოძერწილს ოდესღაც...

„ჩემი სტუდენტობის დროს...“ — ეს შესავალი იმდენს იტევს, რამდენსაც სინანული, რომ სტუდენტი არ ხარ, მითუმეტეს დღეს, როცა „შენ ირჩევ და შენვე აფასებ!“ რას და ვისო? — იკითხავს წინამორბედი თაობა. რას და... ირჩევ, პირველ რიგში, შენი პროფესიის დასაუფლებლად აუცილებელ საგნებს, ისევე, როგორც შენთვის საინტერესო და საყვარელ სხვა საგნებსაც და, ფაქტობრივად, ნიშანს შენ უწერ ლექტორს!

დიახ, შეიცვალა დრო, ვითარება, გარემოება. 1 სექტემბერი კი არ „გაოქტომბრელდა“, როგორც ამას მუდმივმოქმედი „აგრესიონერები“ იტყოდნენ, არამედ აბსოლუტურად შეიცვალა საუნივერსიტეტო განათლების სისტემა და სწავლის გადავადებაც გარკვეულ პროცედურებთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. დღევანდელი ხელისუფლების ხისტი პოლიტიკა განათლების სფეროში „შოკური თერაპიის“ პრინციპს ეყრდნობა და საფუძველი ეყრება წლების მანძილზე ჩვენთვის სანატრელ თეზისს: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო!“. როგორ ვიპოვოთ გამოსავალი ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი? — მსგავს კითხვებზე პასუხმომარჯვებული ახალი თაობის საკეთებელი საქმე და იმედი მომავლის იმედია. ამდენად არის საინტერესო მათი იდეები, ინიციატივები, ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის, მოლოდინი ახალი თავგადასავლებისა...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „უნივერსიტეტის ბაღში!“ აქ ისეთი თავისუფლების, ისეთი სიყვარულისა და მეგობრობის ისტორიები და საკუთარი მრწამსისთვის ბრძოლის წესები დაწერილა, რომ ამ სამყაროში გაწევრიანებისთანავე იგრძნობთ გარდასულ იდუმალებათა ძალას. ეს ეხება, განსაკუთრებით, პირველკურსელებს, ვისთვისაც უნივერსიტეტი, პირველ რიგში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ამ არჩევანს ვინც გაგიწბილებთ, უბრალოდ ჩათვალეთ, რომ მას „უნივერსიტეტის ბაღის“ იდუმალებასთან ღირებულების ძაფები ისე არ გაუბია, როგორც ეს თქვენ შეძელით! თქვენი უფლებების დასაცავად, ათასგვარი ოცნებების ასასრულებლად და ჯანსაღი ამბიციების დასაკმაყოფილებლად კი სტუდენტურ თვითმმართველობას რომ უნდა მიმართოთ, ამის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი!

ჩემი სტუდენტობის დროს იყო ომი და სროლა რუსთაველზე! თქვენთვის „ჩაირთო“ ახალი დრო და არა „ქვიშის საათი“.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ბაზალეთის პატრიოტულ ბანაკში ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა ურთიერთობის "აკვანი" დაარწიეს

საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტის წლევანდელი სეზონი ოქტომბრის ბოლოს სტუდენტებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის უკანასკნელი ნაკადის გაცილების საზეიმო ცერემონიით დაიხურება. მომავალი წლისთვის პროგრამა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო რომ გახდეს, ამაზე ზრუნვა, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და მისი ფონდის მატერიალურ ბაზაზე დაარსებული საზაფხულო პროექტი წელს მესამედ ჩატარდა და, როგორც მისი მესვეურნი აცხადებენ, მოსწავლეთა და სტუდენტთა ურთიერთობების განმტკიცების ამ საუკეთესო ტრადიციას ალტერნატივა დიდხანს არ მოეძებნება.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტმა ბაზალეთის ბანაკი მოინახულა, სადაც მონაწილეებისა და მათი ხელმძღვანელების 300 წევრიანი კონტინგენტი დახვდა.

ხათუნა ხატიაშვილი

ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ზაფხულს სულ რვა „პატრიოტულმა“ ბანაკმა იმუშავა და თითოეულმა ასობით სტუდენტისა და სკოლების მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული ნაკადი მიიღო. წელს, დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის მოსაზღვრედ მდებარე პატრიოტული ბანაკის მორიგი ნაკადი გამორჩეული ბევრი ნიუანსის გამო აღმოჩნდა. ამ ნიუანსთაგან ერთერთი ის გახლდათ, რომ აქ სტუმრობა საინგილოში, ისტორიულ ჰერეთში მცხოვრებმა ქართველებმა ისურვეს.

ბაზალეთის ბანაკში ყოფნით აღფრთოვანებულმა კახის ქართული საშუალო სკოლის ერთერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან შექმნილი პრობლემების გამო, ბანაკში დასვენების მსურველთა სია შემცირდა და ადგილზე მხოლოდ 70 მოსწავლის ჩამოყვანა მოხერხდა.

ბაზალეთის პატრიოტული ბანაკის უფროსის ზურა ჩინჩილაკაშვილის განმარტებით, სეზონის ერთი ნაწილი საინტერესო იმითაც იყო, რომ ქართველ ახალგაზრდებთან გაცნობა-დაახლოების სურვილით, საინგილოს სტუმრებთან ერთად, ბანაკს საქართველოს მოქალაქე — ეროვნებით აზერბაიჯანელი და ახალქალაქის მკვიდრი — ეროვნებით სომეხი მოზარდებიც ერთდროულად ეწვივნენ.

„ისინი ერთ კოტეჯში ცხოვრობენ. საინგილოს წარმომადგენლებიდან ზოგიერთი პირველად ჩამოვიდა თავის ძირძველ სამშობლოში. აქ სტუდენტების გარდა, სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებიც არიან. თითოეული ნაკადის დახურვის ცერემონიაზე ჩვენთან ტრადიციულად თავს ბევრი სტუმარი იყრის, მათ შორის, განვლილი ნაკადების წარმატებული და წარჩინებული ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარი ბანაკის და ლიდერების მოსანახულებლად ხშირად მოდიან,“ — აღნიშნა ზურა ჩინჩილაკაშვილმა.

პროექტის მიზანი შესრულებულია — ახალგაზრდები, აქ ელემენტარულ დამოუკიდებლობას ეჩვევიან. პროექტში მონაწილეობის შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს შორის მეგობრობა აქედან იწყება და ბანაკიდან წასვლის შემდეგ გრძელდება.

„აქაურობა მოზარდებში პატრიოტულ სულისკვეთებასაც აღვივებს. როცა ყოველდღიურად თითოეული მათგანი ძალდატანების გარეშე თავის ჰიმნს და დროშას გულზე ხელის დადებით პატივს მიაგებს, ვრწმუნდები, რომ შეუძლებელია, სამშობლო არ უყვარდეს. დილის ხაზი საინფორმაციო ხასიათისაა, სადაც ლიდერები და მონაწილეები ერთად ვადგენთ დღის განმავლობაში ჩასატარებელი ღონისძიებების ნუსხას. ბანაკში უმოქმედო ადამიანი არ არსებობს,“ — აღნიშნავს ბაზალეთის ბანაკის უფროსი, რომელსაც ამგვარი სამსახურებრივი ფუნქციის დიდი გამოცდილება აქვს.

მას უამრავ ახალგაზრდასთან ურთიერთობაში ბევრი უსიამოვნო და უფრო მეტი სასიამოვნო მაგალითი ახსოვს, დაწყებული ახალგაზრდების ცუდი ცხოვრების წესის რადიკალურად შეცვლიდან, დამთავრებული ბანაკში ჩასახული ქალ-ვაჟური სიყვარულით, რომელთა ხელისმომკიდეობაც უწევს ხოლმე.

ბანაკის ცხოვრების წესს ყველა კატეგორიის მოზარდი და სტუდენტი ეგუება. აქ ყველას აქვს საკუთარი შინაგანი პოტენციისა და ნიჭის გამოვლენის საშუალება. სავალდებულო ტრენინგებით დატვირთული არავინ არის. რა თქმა უნდა, ლექციებისა და გაკვეთილების კურსი არ ტარდება. რაზმებს შორის სპორტული და ინტელექტუალური სახის შეჯიბრებები, პატარა სცენა და პოდიუმი — ეს არის ძირითადი სფერო, სადაც ახალგაზრდები ერთმანეთს საკონკურსო წესებით ეჯიბრებიან. ყველას ყველაფერი მეტ-ნაკლები წარმატებით გამოსდის, თუმცა ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბანაკში ინტერნეტით და ელექტრონული ბიბლიოთეკით დატვირთვა „ზედმეტი ფუფუნება“ იქნება და თავისუფლების ხარისხზე კარგად არ იმოქმედებს.

ბანაკის კონტინგენტის 30 ჯგუფად დაყოფილ თითოეულ რაზმს ორი ლიდერი გოგო და ბიჭი ჰყავს. ბანაკის ხელმძღვანელების ხელფასი სიმბოლურია და 24 საათიან სამუშაო რეჟიმში დახარჯული ენერგიის ადეკვატური სულაც არ არის, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლებიდან არჩეული ლიდერი სტუდენტებისთვის ანაზღაურებაზე უფრო მნიშვნელოვანი საინტერესო საქმის კეთებაა.

მკრტიჩ აკოფიანი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე:

— *ბაზალეთში ქართველებთან დამეგობრების მიზნით ჩამოვედი, რადგან იქ, სადაც ვცხოვრობ და ვსწავლობ, ქართველი მეგობრების დეფიციტს განვიცდი. ქართველებთან ათი დღე გავატარე და ახლა ქართული უკეთ მესმის. საქართველოს მოქალაქე ვარ, მაგრამ სომეხი მოსახლეობის გარემოცვაში არ ხერხდება ქართველებთან აქტიური ურთიერთობა. ამიტომ სულ სომხურ ენაზე ვსაუბრობ. სკოლაში ქართულ ენას სომეხი პედაგოგი მასწავლის.*

გიორგი ოთარაშვილი, ისტორიული ჰერეთის სოფელ კახის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე, 11 წლის:

— *საქართველოში არა, მაგრამ პატრიოტულ ბანაკში პირველად ვარ. ყველაფერი ძალიან მომეწონა, ყველა ძალიან მომენატრება. ვისთანაც დავმეგობრდი, ჩემს სოფელში დავპატიჟე და ალბათ, ჩამოვლენ.*

გიორგიმ ახლო წარსულში მუსიკალური მონაცემებით თავი უკვე გამოიჩინა და საზოგადოებას სატელევიზიო პროექტ „ანა-ბანაში მონაწილეობით გაეცნო. მისი მუსიკის პედაგოგი გულისტკივილით დასძენს, რომ გიორგის მსგავსად ძირძველ ქართულ მიწაზე ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომლებსაც ჯერ არავინ იცნობს: *„ცხოვრებისეულ პრობლემებზე საუბარი რთულია. არ გვავიწროვებენ, მაგრამ შემოქმედებითი შესაძლებლობების ფართოდ წარმოჩენის საშუალებასაც არ გვაძლევენ. კახის სკოლის მოსწავლეების გუნდი ბანაკში მე ჩამოვიყვანე და ეს დღეები „პატრიოტის“ რიგითი მონაწილის მსგავსად გავატარე. ყველაზე მეტად ბანაკის ხელმძღვანელების გულთბილი დახვედრა მომეწონა. აქ ჰერელებს დიდი სითბო გვაგრძნობინეს“.*

ჰერეთის სტუმრებმა ბანაკის კეთილმოწყობაში საკუთარი წვლილი შეიტანეს. ბანაკის ტერიტორიაზე, შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ხის კოტეჯები გამართეს და ლამაზი დეკორაციები მოაწყვეს.

ამ ფონზე, კახის ქართული საშუალო სკოლის პედაგოგმა ენრიკო ჯანაშვილმა „თავისი მარჯვე“ ხელებით ისეთი ფანტანი გააკეთა, რომ სტუმრებს თვალი ამ ფანტანისკენ გაურბით. „რომ არ ჩამოვსულიყავი, ბავშვებს ფანტანს ვინ გაუკეთებდაო?“ — იხუმრა ჰერელმა სტუმარმა და მორიდებული გულწრფელობით დასძინა, რომ მას, ყველაზე მეტად, ქართულ მიწაზე ფეხის დადგმა და იმ ბაზალეთის ტბის ნახვა აინტერესებდა, რომელიც სიცოცხლეში მხოლოდ სურათიდან უნახავს. „სკოლაში ნასწავლი ილიას ლექსი ამ ტბაში ჩაძირული ოქროს აკვანივით მახსოვს“, — აღნიშნა მან.

ბაზალეთში დამსვენებელ ახალგაზრდებს შორის უკვე დაოჯახებული სამი წყვილი ჩამოსულა, რომლებსაც ერთმანეთი ორი წლის წინ ვარციხის პატრიოტულ ბანაკში გაუცვნიათ. იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა დონეზე შეიძლება პატრიოტულ ბანაკებში ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, ახლო წარსულში რამდენიმე დანიშნული წყვილი სპეციალური პრიზებითაც დაუჯილდოვებიათ. როგორც შევიტყვეთ, ბანაკებში დაოჯახებულთა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ ზუსტი სტატისტიკის დასადგენად უკვე სპეციალური ჯგუფიც მუშაობს. საზოგადოება, ახლო მომავალში, მათ ვინაობას და სიყვარულის საინტერესო ისტორიებს სპეციალურ ღონისძიებაზე შეიტყობს.

ბაზალეთის პატრიოტულ ბანაკში

ტაბახმელაში

"ერთიანი ახალგაზრდული პოლიტიკის არარსებობამ ეროვნული ინტერესები დააზიანა" — ნათქვამია სტუდენტურ დეკლარაციაში

პირველი სტუდენტური ფორუმი

27-30 ივლისს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ტაბახმელას საუნივერსიტეტო რეზიდენციაში საქართველოს 18 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობების ლიდერების მონაწილეობით პირველი სტუდენტური ფორუმი გაიმართა. სტუდენტებმა მზადყოფნა გამოთქვეს, ყველა საშუალება გამოიყენონ იმისათვის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაერთონ პროცესებში, რაც განათლებას, სტუდენტურ ცხოვრებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებას ეხება.

ხათუნა ხატიაშვილი

„ჩვენ წარმოვადგენთ თაობას, რომელსაც უდიდესი პოტენციალი, შესაძლებლობები, მიზნები გააჩნია და რომელიც დამაკავშირებელ ხიდად უნდა იქცეს წარსულსა და მომავალს შორის. ვაცნობიერებთ მისიას, რაც ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკურმა პროცესებმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მომავალ თაობას დააკისრა... ვითვალისწინებთ ბოლო ათწლეულის გამოცდილებას, როცა სტუდენტების დაქსაქსულობამ და ერთიანი ახალგაზრდული პოლიტიკის არარსებობამ ადრე ზიანი მიაყენა ეროვნულ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტური თვითმმართველობები ვაცხადებთ, რომ მზად ვართ, ჩვენი გაერთიანებით ვემსახუროთ საქართველოს და მის აღმშენებლობა-გამთლიანებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ, დავიცვათ ეროვნული ფასეულობები და, ამასთან ერთად, დავამკვიდროთ დასავლური დემოკრატიული ღირებულებები. გვსურს, ხელი შევუწყოთ საქართველოში ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შესატყვის სასწავლო, სამეცნიერო და ინსტიტუციური სტანდარტების დამკვიდრებას, მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან სტუდენტის, როგორც მოქალაქის მოვალეობა, მხოლოდ სასწავლო პროცესში ჩართვით არ შემოიფარგლება!“ — ნათქვამია საქართველოს სტუდენტურ დეკლარაციაში, რომელიც ტაბახმელაში გამართული სტუდენტური ფორუმის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს.

ფორუმის ფარგლებში, ასევე, ჩატარდა საქართველოს სტუდენტთა კავშირის არჩევნები. (საქართველოს სტუდენტთა კავშირი მიმდინარე წელს გახდა ევროპის სტუდენტთა ეროვნული კავშირების საბჭოს ESIB-ის წევრი).

ფორუმის მონაწილეებს ლექციები და სემინარები ჩაუტარეს ცნობილმა პოლიტიკოსებმა, მათ შორის: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი არველაძემ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა, პარლამენტარმა დავით კირკიტაძემ, კულტურის მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ვარძელაშვილმა. სტუდენტების წინაშე მოხსენებებით გამოვიდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დავით კერესელიძე, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი არჩილ გეგეშიძე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი ნანა ჭიღლაძე. გაიმართა სამაგისტრო პროგრამის „ევროპამცოდნეობა“ („European Studies”) წარდგენა, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

პარლამენტის კარი სტუდენტებს დასაქმებისთვის გაუღეს

საპარლამენტო და საუნივერსიტეტო ერთობლივი პროექტის განხორციელება მალე დაიწყება

მე-7 გვერდიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა დარწმუნებულია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ადექვატურად შეხვდებიან პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივას და გამოიყენებენ შანსს, რათა ახალგაზრდული ენერგია და ინტელექტუალური შესაძლებლობები ღირსეულად წარმოაჩინონ ისეთ სერიოზულ წარმომადგენლობით ორგანოში, როგორიც საქართველოს პარლამენტია.

ყველა სფეროში მიმდინარე რეფორმების ფონზე დღეს არავინ დაობს, რომ საერთაშორისო მხარდაჭერასთან ერთად ქვეყანაში გადასაწყვეტ ყველა პრობლემას საკუთარი მოქალაქეების ძალისხმევა და კომპეტენცია სჭირდება.

„ფართო განათლება, პროფესიონალიზმი, კომპეტენცია — არის სწორედ ის ბერკეტი, რითაც შეგვიძლია კონკურენცია გავუწიოთ სხვა ქვეყნებს და საკუთარი ადგილი ღირსეულად დავიმკვიდროთ. მცირერიცხოვანი ქვეყნებიდან საქართველოს მსგავსად ძალიან ცოტა დაიკვეხნის იმ პოტენციალს, რითაც ჩვენი ახალგაზრდობა მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს. გვჯერა, რომ დღევანდელი სტუდენტობის სახით მოდის ღირსეული თაობა, რომელზეც დამოკიდებულია ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე. დარწმუნებული ვარ, სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში საქართველოს მომავალი ლიდერები არიან, რომელთა სხვადასხვა სფეროში ასპარეზზე გამოსვლას მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები მოჰყვება. მინდა, პარლამენტის კარი თქვენთვის ღია იყოს!“ — ეს არის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის **ნინო ბურჯანაძის** პოზიცია, რომელიც სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული პროფესიული განათლების რეალიზაციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად პრაქტიკის გავლას ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სთავაზობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **გიორგი ხუბუას** თქმით, პარლამენტის თავმჯდომარემ საკუთარი ინიციატივით ორმხრივად სასარგებლო აქცენტი გააკეთა.

„პარლამენტი გაიგებს, რა მოლოდინი არსებობს ხელისუფლების მხრიდან სტუდენტური თაობისადმი, როგორ ხედავს თავად ახალგაზრდობა პოლიტიკურ ცხოვრებას, იმას, რაც ხდება დღეს და რა ნაბიჯებიც იდგმება ქვეყნის მომავლისკენ, რადგან ყველაფერი, რაც ყოველდღიურად კეთდება, სწორედ ახალგაზრდობასთან ასოცირდება. პარლამენტსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის ასეთი ფორმა ახალგაზრდებს წარმატებული პროფესიული კარიერის საშუალებას მისცემს. ვფიქრობ, პარლამენტის ინიციატივა უნივერსიტეტისთვის სერიოზული გამოწვევაა. მას სტუდენტური პრაქტიკის დატვირთვაც ექნება, რადგან მათ უშუალო კონტაქტი ექნებათ ორგანოსთან, სადაც ყალიბდება პოლიტიკა და მიიღება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ. მისი განმარტებით, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე, უნივერსიტეტისა და პარლამენტის ხელმძღვანელობა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობასთან ერთად დეტალურად განიხილავს ორმხრივი თანამშრომლობისა და პროექტის დროულად განხორციელების საკითხს.

განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის **ნოდარ გრიგალაშვილის** განცხადებით, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები თუკი პარლამენტში გაივლიან სტაჟირებას, კომიტეტებში მუშაობის გზით პროფესიონალიზმს აიმაღლებენ, რაც, თავისთავად, მისასალმებელია.

„ადამიანს აქვს საკუთარი იარაღი: ეს არის მისი აზრი, ჭკუა და ენა. ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, მეორე ადამიანი დაიმეგობროს იმ თვალსაზრისით, რომ მათ ჰქონდეთ ერთნაირი აზრი, შეხედულება, რაც, გარკვეულწილად, სულიერ სიახლოვეს ნიშნავს“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ნოდარ გრიგალაშვილმა.

როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარე **ვახტანგ ლომჯარია** აღნიშნავს, მიმდინარე სასწავლო წელს სამთავრობო (მათ შორის საკანონმდებლო ორგანოსთან) და კერძო სტრუქტურებთან სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გარკვეული ტიპის თანამშრომლობის შეთავაზება, სტუდენტური თვითმმართველობისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურება-დასაქმების ცენტრის ერთობლივი გეგმის ნაწილია. ცენტრი აპირებს, სტუდენტებისთვის ჩაატაროს მასობრივი გამოცდები იმ საგნებში (სპეციალობა, უცხო ენა, მათემატიკური თუ არამათემატიკური უნარები), რომლებსაც ამა თუ იმ სახის შტატში სტუდენტთა დასაქმების დროს კონკრეტულ სტრუქტურათა კადრების განყოფილებები ყურადღებას აქცევენ.

„პარლამენტის თავმჯდომარემ დაგვასწრო და გარკვეული კუთხით პარლამენტში სტუდენტების დასაქმება თავად შემოგვთავაზა. ის ფაქტი, რომ სტუდენტთა პარლამენტში სტაჟირებას ეძლევა კონკურსის სახე, რის შემდეგაც, სტუდენტების ნაწილი, ალბათ, დასაქმდება, ან სხვა რაიმე სახით დამატებით სტიმულს მიიღებს, ძალიან სასიხარულოა,“ — აღნიშნა მან. ვახტანგ ლომჯარიას აზრით, ნინო ბურჯანაძის მხრიდან დაპირებული სიურპრიზის გახმაურებამდე, სტუდენტებისთვის ისედაც პრესტიჟულია, რომ დაწყებით სამუშაო გამოცდილებას ისინი ისეთ გამართულ ორგანოში მიიღებენ, როგორიც პარლამენტია. „ცხადია, დიდი მნიშვნელობა

ექნება იმას, რომ უნივერსიტეტმა ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საუკეთესო სტუდენტები შეარჩიოს, რათა თავად პარლამენტიც კმაყოფილი დარჩეს ნიჭიერი კადრებით, რომელთა სიმრავლითაც უნივერსიტეტი ნამდვილად გამორჩეულია,“ — აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

ამჟამად, საუკეთესო სტუდენტური კონტინგენტის პარლამენტში დასაქმების პროექტი დახვეწის სტადიაშია და მისი განხორციელება სულ მალე დაიწყება.

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სტუდენტური სტაჟირების ფორმატის გაღრმავებას პროფესიული ცოდნის ამაღლებასთან ერთად სხვა დადებითი შედეგიც რომ მოჰყვება, ამაში, რა თქმა უნდა, საკამათო არაფერია. მათ, ვინც ფიქრობს, რომ პარლამენტში სტუდენტური კონტინგენტის მიწვევა ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესებიდან მომდინარეობს და ახალგაზრდების ზედმეტად პოლიტიზირებას ისახავს მიზნად, უნდა გაითვალისწინონ, რომ არაპოლიტიზირებული ახალგაზრდები ნაკლებად არსებობენ.

არიან ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ საკუთარი პოზიცია და მას ხმამაღლა გამოხატავენ, ან აქვთ პოზიცია, მაგრამ მასზე ხმამაღლა არ საუბრობენ; არიან ისეთებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ პოზიცია და ყველანაირი საზოგადოებრივი მოვლენის მიმართ ინდიფერენტულნი არიან. რა თქმა უნდა, სტუდენტს უნდა ჰქონდეს პოზიცია, რადგან ის აზროვნებს.

სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში არ არსებობდეს პარტიები, არ იყვნენ იქ ემისრებად მივლინებული პოლიტიკოსები, რათა სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს და სტუდენტური არეალი ბატალიების ასპარეზად არ იქცეს.

ხათუნა ხატიაშვილი

სტუდენტების საჩივრებს ამიერიდან სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი განიხილავს

ეს შენი თვითმმართველობაა!

მითი ბედნიერი სტუდენტური ცხოვრების შესახებ საპნის ბუშტივით რომ არ გასკდეს, ამაზე სასწავლებლის ხელმძღვანელობის გარდა, თავად ახალგაზრდებმაც უნდა იზრუნონ. სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების საინტერესოდ წარმართვაზე სტუდენტური თვითმმართველობა ზრუნავს. ისინი აქტიურობით გამოირჩევიან და უკვე ცნობადი სახეები არიან. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი აღნიშნავს, რომ თვითმმართველობა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე სტუდენტებს მრავალ საინტერესო სიახლეს ჰპირდება.

— ჩვენი მთავარი მიზანია, სტუდენტებს მაქსიმალურად მოხერხებული მომსახურების სერვისი შევთავაზოთ, რათა მათი ნებისმიერი მოთხოვნა თუ სურვილი სათანადოდ დაკმაყოფილდეს. ამასთან, პირველკურსელები სტუდენტურ ცხოვრებაში თავიდანვე აქტიურად უნდა ჩავრთოთ. ჩვენი მუშაობის ძველი ტაქტიკა და სტრატეგია არ შეცვლილა, ჩვენი უშუალო მოვალეობაა, შევისწავლოთ მათი პრობლემატიკა, მეტი გულისხმიერება გამოვიჩინოთ მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნების მიმართ.

ოქტომბრიდან იგეგმება სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის შექმნა, რომლის უმთავრესი ფუნქცია სტუდენტების წინადადებებისა და საჩივრების განხილვა იქნება. ეს შეეხება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აღმოჩენილ ბრალდებებს თუ სხვა პრობლემას, რომელსაც სტუდენტი უნივერსიტეტის თანამშრომლებთან და აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობისას ხვდება. ყოველი კვირის ბოლოს შემოსულ განცხადებებს სათანადოდ შევისწავლით და რეაგირებას მოვახდენთ. ამ გზით ჩვენ მეტ-ნაკლებად დავიცავთ სტუდენტთა ინტერესებს. ოქტომბრის დასაწყისშივე შეიქმნება საიტი, რომელიც კიდევ ერთი დამატებითი მექანიზმი იქნება იმისთვის, რომ ნებისმიერი ინფორმაცია და სიახლე სტუდენტამდე დროულად მივიდეს. სტუდენტური თვითმმართველობის თითოეულმა დეპარტამენტმა საკუთარი სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა და უამრავი საინტერესო ღონისძიება დაგეგმა.

— სტუდენტური თვითმმართველობის ხელახალ არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო დარჩა. როგორ აპირებთ თქვენი პოზიციების გამყარებას? საუბრობენ იმაზეც, რომ თქვენ უკვე დაიწყეთ წინასაარჩევნო მზადება. როგორ გესახებათ თქვენი პერსპექტივა?

— არჩევნებამდე ერთი წელი დარჩა, მაგრამ, ამ ეტაპზე, არანაირ საარჩევნო კამპანიას არ ვგეგმავთ. ჩვენი ინდიკატორი ჩვენი მუშაობა და კმაყოფილი სტუდენტია. ჩვენი თხოვნაა, უფრო მეტი ინიციატივა წამოვიდეს მათგან. ჩვენ სტუდენტების წინაშე სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობა გვაკისრია.

— სტუდენტურ თვითმმართველობას, ზოგჯერ, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან ალიანსში ადანაშაულებენ. ქვეყანაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სიტუაცია, ალბათ, უფრო დაიძაბება. რა პოზიციას დაიკავებს სტუდენტობა და ჩაერევა თუ არა პოლიტიკურ პროცესებში?

— შეიძლება არსებობს სტუდენტთა მცირე ნაწილი, რომელიც ჩვენ საქმიანობას კრიტიკულად აფასებს და გარკვეულ ბრალდებებს გვიყენებს, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არის აპოლიტიკური ორგანიზაცია. თუ ვინმე ენგურის ხიდთან გამართულ აქციას პოლიტიკურად მიიჩნევს, ეს მისი პრობლემაა. ეს იყო ნებისმიერი სტუდენტის მოქალაქეობრივი მოვალეობა და პატრიოტული ნაბიჯი.

არც ის არის გამორიცხული, რომ არჩევნების პერიოდში ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ მოინდომოს სტუდენტებთან თანამშრომლობა და მათი პროცესებში ჩართვა. შეიძლება სტუდენტების გარკვეულმა ჯგუფმა შეასრულოს კიდეც რომელიმე პოლიტიკური პარტიის დაკვეთა, მაგრამ ჩვენ მომავალშიც შევინარჩუნებთ დამოუკიდებლობის ნიშას.

— სამომავლოდ რა სიახლეებს სთავაზობთ სტუდენტებს?

— თითოეული დეპარტამენტი ცდილობს სტუდენტების დაინტერესებას და ჩართვას მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში. სტუდენტებს, ალბათ, განსაკუთრებით გაახარებთ ახლახან დაფუძნებული მოგზაურთა კლუბის არსებობა. განახლდება თეატრალური დასი. იგეგმება სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციების გამართვა. კიდევ უფრო მეტად გააქტიურდება სპორტული ცხოვრება... სათქმელი და გასაკეთებელი ბევრია...

შურთხია გეროშვილი

დროა, აფხაზეთის დასაბრუნებლად საერთაშორისო საზოგადოების შეფასებებს და რეკომენდაციებს კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვეს

მე-7 გვერდიდან

თსუ სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ გიორგი ავალიანმა აღნიშნა, რომ კონფლიქტის მოგვარების საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. „ჩვენი ინფორმაციით, აფხაზეთში სეპარატისტები ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე დამოუკიდებლობას ზეიმობენ. სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას უნდა დაეკისროს. ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, საერთაშორისო საზოგადოება კიდევ უფრო გააქტიურდეს და, შესაბამისად, გამოიყენოს ყველა ბერკეტი კონფლიქტის სწრაფად და მოკლე დროში მოსაწესრიგებლად. დროა, მათ შეფასებებს და რეკომენდაციებს კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვეს“.

რუსეთის საელჩოსთან ხუთასამდე სტუდენტი ტრანსპარანტებით, საქართველოს და უნივერსიტეტის დროშებით მივიდა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მათი მიზანია, რუსეთმა და საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახოს ქართველი ახალგაზრდების ერთსულოვნება და შემართება და მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება.

თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის გაგა ხაბულიანის განცხადებით, ქართველებს და აფხაზებს გასაყოფი არაფერი აქვთ. „დროა, რუსეთმა შეწყვიტოს თავისი აგრესიული ქმედება, საქართველომ უკვე აირჩია თავისი გზა და დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს“.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული სტუდენტური აქცია საქართველოს ყველა ქალაქში გაიმართა.

"სახალხო ბანკის" წარმატებულ სტარტზე თსუ-ის სტუდენტები დგანან

ხათუნა ხატიაშვილი

13 სექტემბერს თსუ-ის I კორპუსში „სახალხო ბანკის“ სტუდენტური სესხის — „წარმატებული სტარტი“ პრეზენტაცია გაიმართა.

უნივერსიტეტში სწავლის დასაწყებად სავალდებულო ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე „სახალხო ბანკმა“ სტუდენტებს უპრეცედენტო და სტუდენტთა მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგებული პირობები შესთავაზა.

საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლისთვის სესხები გაიცემა როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების, ასევე, მოკლევადიანი სასწავლო კურსების დასაფინანსებლად. სესხის მოცულობა განისაზღვრება სწავლების ღირებულების და სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო სესხის მაქსიმალური თანხა შეუზღუდავია.

წარჩინებულ სტუდენტებს „სახალხო ბანკი“ განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს: მათ არ მოეთხოვებათ შემოსავლის წყარო, თანამსესხებელი ან თავდები პირი, ნებისმიერი სტუდენტური სესხის ტიპი სტუდენტზე გაიცემა წლიურ 12%-ად, ხოლო სესხის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის შევსებისთანავე.

პროექტი, ასევე, ითვალისწინებს დამატებით ბონუსებს. ბონუსის სახით სტუდენტს საჩუქრად გადაეცემა: „სტუდენტური პაკეტი“ მასში შემავალი საბანკო და სადაზღვევო შეღავათებით; ბანკი სამაგისტრო პროგრამის ეკონომიკური განხრის წარჩინებულ სტუდენტებს უფასოდ გაატარებს ტრენინგებს შემდგომი დასაქმების პერსპექტივით; თუ ბანკის მსესხებელი სტუდენტი გასული წლისგან განსხვავებით კურსს წარჩინებით დახურავს, მისი დამატებითი სწავლების დაფინანსების სესხი განიხილება წარჩინებული სტუდენტის საპროცენტო განაკვეთის პირობებით; სტუდენტური სესხით მოსარგებლე ნებისმიერ სტუდენტს არდადეგების პერიოდში ბანკი საშუალებას აძლევს დასაქმდეს „სახალხო ბანკში“, ან მის შვილობილ კომპანიებში: „სახალხო დაზღვევაში“, „სახალხო ფოსტაში“, გაყიდვების აგენტად.

„სახალხო ბანკის“ სტუდენტური სესხის კიდევ ერთი მთავარი უპირატესობაა სესხის ვადა და სტუდენტზე მორგებული სესხის დაფარვის გრაფიკი. სესხის ვადა შემდეგნაირად განისაზღვრება: საშეღავათო პერიოდი — სწავლების პერიოდს დამატებული 6 თვე (არა უმეტეს 5 წლისა), ხოლო სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა საშეღავათო პერიოდს დამატებული 5 წელია. სტუდენტს საშუალება ეძლევა, სწავლის პერიოდში და შემდეგ — დამატებით 6 თვე (მის დასაქმებამდე), არ იხადოს სესხის ყოველთვიური გადასახადი, ხოლო სამუშაოს მოძიების შემდეგ, მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში დაფაროს სესხი.

როგორც „სახალხო ბანკის“ დირექტორმა გიორგი გოგუაძემ თსუ-ში გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა: „ამ პროგრამით „სახალხო ბანკი“ სტუდენტებს მოტივირებულს ხდის, „აიღონ წარმატებული სტარტი“ და იყვნენ წარჩინებულნი სწავლაში. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ და წვლილი შევიტანოთ განათლებული და ღირსეული თაობების აღზრდაში“.

"მსოფლიო ბანკი" საქართველოში ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობას გეგმავს

— ამის შესახებ „მსოფლიო ბანკის“ წარმომადგენლებმა 13 სექტემბერს თსუ-ში თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობების პრეზიდენტების შეხვედრაზე განაცხადეს. „მსოფლიო ბანკი“ საქართველოში ახალგაზრდების ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადებას აპირებს. საქართველოს ყველა დიდ ქალაქში იგეგმება ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობა, რასაც „მსოფლიო ბანკი“ დააფინანსებს.

სტუდენტური თვითმმართველობების პრეზიდენტებთან შეხვედრა მიზნად ისახავდა ქართველი სტუდენტების პრობლემებისა და ინტერესების გაცნობას. როგორც „მსოფლიო ბანკის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პროექტის განხორციელებისას სტუდენტთა ინიციატივებს ისინი აუცილებლად გაითვალისწინებენ.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური



ჩვენ თქვენგან ვსწავლობთ!

ჩვენ თქვენ გბაძავთ!

ჩვენ გვინდა ვისაუბროთ თქვენს ენაზე!

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ მოგმართავთ თხოვნით, ითანამშრომლეთ ჩვენთან, რათა ვიყოთ უფრო თანამედროვე!

სტუდენტ-რეზერვისტთა 500-კაციანი ჯგუფი კოჯრის ბაზაზე გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა სარეზერვო სამსახურთან დაკავშირებით წარმატებით ხორციელდება. ხელისუფლებისთვის სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება ერთერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. საქართველო ახორციელებს თავდაცვის ფართომასშტაბიან რეფორმას. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია სამობილიზაციო სისტემის რეფორმირება და რეზერვისტთა სისტემის განვითარება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზერვისტთა მორიგი რეგისტრაცია ჩატარდა.

სასწავლო დეპარტამენტის თსუ სამხედრო საქმის მწარმოებელი ტარიელ კვიციანის განცხადებით, უნივერსიტეტის სტუდენტები, ამჯერად, კოჯრის მე-10 კადრირებულ ბრიგადაში ჩაირიცხებიან და იქ გაივლიან სამხედრო წვრთნას. რეზერვში გაწვეულია ყველა ფაკულტეტის სტუდენტი. ისინი საკმაოდ მოტივირებულები არიან და გაცნობიერებული აქვთ, რას ნიშნავს ქვეყნის სამსახური.

ვიცე-პოლკოვნიკმა ტელმან მესხიძემ სააქტო დარბაზში შეკრებილ სტუდენტებს 18-დღიანი ტაქტიკური მომზადების პროგრამა დეტალურად გააცნო და სარეზერვო სამსახურის პრიორიტეტებზეც ესაუბრა. „2007 წელს თავდაცვის სამინისტრო 25 000

რეზერვისტს მოამზადებს, რეზერვისტების ძირითადი ნაწილი სტუდენტებისგან დაკომპლექტდება. 18 დღის განმავლობაში ჯარისკაცები სხვადასხვა თავდაცვით ოპერაციებს შეისწავლიან, — განაცხადა ტელმან მესხიძემ.

23 სექტემბერს რეზერვისტთა 500 კაციანი ჯგუფი, რომელიც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში შეიკრიბა, 18 დღით კოჯრის ბაზაზე გაემგზავრა.

თსუ-ის კურსდამთავრებულები მონაწილეობას მიიღებენ ქადრაკში ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში

2-დან 10 ოქტომბრამდე ანტალიაში გაიმართება ევროპის საკლუბო თასის გათამაშება ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ქალთა ნაკრები „ინტერპლასტი“. ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები: ლელა ჯავახიშვილი, ქეთევან არახამია, მაია ლომინეიშვილი, თსუ-ის სტუდენტი სოფო გვეტაძე და ნანა ძაგნიძე.

საქართველოს ვაუთა და ქალთა საჭადრაკო ნაკრებები, ასევე, ემზადებიან ევროპის გუნდური ჩემპიონატისთვის, რომელიც 27 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე გაიმართება.

ნაკრებები წარდგენილნი იქნებიან შემდეგი შემადგენლობით:

ვაჟები: ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, ლევან გაგუნაშვილი, თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი;

ქალები: მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე.

ახლად შექმნილი ფეხბურთის ნაკრები უნივერსიტეტს გამარჯვებას მოუტანს

თსუ-ში ფეხბურთის ნაკრები ჩამოყალიბდა. ბოლო წლებში, ოფიციალურად, უნივერსიტეტს ფეხბურთელთა გუნდი არ ჰყოლია.

როგორც სტუდენტური თვითმმართველობის სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ხარჯავანიძე აცხადებს, ახლადშექმნილი ნაკრები არაერთ ტურნირში აპირებს მონაწილეობის მიღებას: კერძოდ, ოქტომბრის თვეში — სტუდენტურ უნივერსიადაში, საქართველოს ჩემპიონატსა და ზაზა ბენდელიანის თასის მოსაპოვებლად გამართულ ასპარეზობებში. „ჩვენ ახალი გუნდის ფორმირებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. ზაფხულის სეზონზე ახლად შექმნილმა ნაკრებმა შეკრება რაჭაში გაიარა, ვეთამაშეთ ყაზახეთის გუნდს — ამხანაგური მატჩი ჩვენი გამარჯვებით 4:3 დასრულდა. ოფიციალური ტურნირების დაწყებამდე უამრავი ამხანაგური მატჩის გამართვას ვაპირებთ — ჩვენი სპარინგ პარტნიორი საქართველოს მინი ფეხბურთის ნაკრები იქნება“, — აღნიშნა სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

თსუ-ის ნაკრების შექმნა ერთგვარი სტიმულია უნივერსიტეტის სტუდენტ ფეხბურთელთათვის. ისინი ეცდებიან, წარმატებაზე იყვნენ ორიენტირებულნი და გამარჯვებით გაახარონ უნივერსიტეტის გულშემატკივრები.

გერმანული კედლის ბზარის გაჩენამ მსოფლიოს ყური დააცქვეტინა

ინტერვიუ გერმანიის ელჩთან საქართველოში პატრიცია ფლორთან

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორად გაყოფილი გერმანია 1990 წელს გაერთიანდა. ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღიდან 17 წელი გავიდა. როგორც გერმანიის მოქალაქისთვის, რას ნიშნავს ეს თარიღი თქვენთვის?

— ჩემს ოჯახს ახლო ნათესავები ჰყავდა აღმოსავლეთ გერმანიაში და ბავშვობაში ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, თუ რატომ არ შეგვძლო ერთმანეთის მონახულება. დარწმუნებული ვარ, საქართველოში კარგად ესმით, რა არაბუნებრივია, როცა ისეთი ქალაქი, როგორიც ბერლინია და ისეთი ქვეყანა, როგორიც გერმანიაა, კედლით იყო გაყოფილი. ამის გამო, ხელოვნურად გაიხლიჩა ოჯახები, მეგობრები, დაიყო სოფლები, შეიცვალა ქვეყნის კონტურები. იმ დღეს, როდესაც კედელი დაეცა და გდრ-ის მოქალაქეებს დასავლეთ გერმანიაში პირველად გადმოსვლის შესაძლებლობა მიეცათ, მაშინ აღმოსავლეთ გერმანიაში სტუმრად ვიმყოფებოდი. თითოეული ჩვენგანისთვის ემოციურად მეტად შთამბეჭდავი იყო, რომ წლების შემდეგ, როგორც იქნა, ქვეყანა გამთლიანდა. სასიხარულო უფრო ის იყო, რომ ყველაფერი მშვიდობიანად მოხდა. ეს, პირველ რიგში, აღმოსავლეთ გერმანელების გამბედაობას უნდა მივაწეროთ, რომლებიც თვეების განმავლობაში ქუჩებში იყვნენ გამოსული და ამ გზით იბრძოდნენ საკუთარი თავისუფლების მოსაპოვებლად.

— დღეს გერმანია საერთო ევროპული სივრცის ერთერთი წამყვანი სახელმწიფო და საერთო ევროპული ფასეულობების მატარებელი ქვეყანაა. ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ მისი გაერთიანება გახდა უმთავრესი ფაქტორი იმისა, რაც გერმანიას ევროკავშირის საერთო არენაზე ცენტრალური ადგილის დამკვიდრებაში დაეხმარა?

დღესდღეობით მნიშვნელოვანია, რომ გერმანიას მყარი პოზიცია აქვს ევროკავშირში, რაც ნიშნავს, რომ დაძლეულია ის ძველი მტრობა, რომელიც ევროპაში გერმანიასა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის არსებობდა. ვცდილობთ, ევროპელ პარტნიორებთან ერთად გავატაროთ მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც ჩვენს მეზობლებს, მათ შორის, საქართველოსაც სთავაზობს ევროპასთან დაახლოების პერსპექტივებს და ეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ 2007 წელს ევროკავშირში გერმანიის პრეზიდენტობის პერიოდში.

— გერმანიის გაერთიანება მსოფლიოს დიდი ქვეყნების გავლენას უკავშირდება და მსოფლიოს მაშინდელი გლობალური პოლიტიკის ნაწილად აღიქმება. საერთაშორისო პოლიტიკური ექსპერტების ნაწილი დღემდე მიიჩნევს, რომ ამ მოვლენაში რუსეთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. ამ საკითხზე საუბრისას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წვლილზე მიუთითებენ, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას წარმოადგენდა და უშუალოდ მონაწილეობდა გერმანიის გაერთიანების პროცესში. ეთანხმებით თუ არა, რომ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე მისი გავლენა მართლაც გადამწყვეტი იყო?

— სავსებით ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა და მისმა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, შემდგომში საქართველოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ, გერმანიის კვლავ გაერთიანების საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კომუნისტურ მთავრობებში, მათ შორის, აღმოსავლეთ გერმანიაშიც შიდა სტაბილურობა არ არსებობდა. მათ გარედან მხარს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება უჭერდა. პოლიტიკური თვალსაზრისით, მხოლოდ გორბაჩოვის პერიოდში დაწყებულმა ცვლილებებმა გაკვალა ის გზა, რომელმაც გაერთიანებამდე მიგვიყვანა. მაშინდელმა პასუხისმგებელმა პირებმა მოსკოვიდან, კი არ შეაჩერეს გაერთიანებისაკენ მიმართული ბუნებრივი პროცესი, არამედ მწვანე შუქი მისცეს მას. თქვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამ პროცესზე დიდი გავლენა მოახდინა. ჩემთვის ცნობილია, რომ გერმანიის გაერთიანებას იგი მხარს დაბეჯითებით უჭერდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანება ოთხივე სახელმწიფოს, ე.ი. გერმანიის ყველა პარტნიორის, სწორედ აშშ-ის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის თანხმობით გახდა შესაძლებელი, რომლებმაც ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

— ამჟამად, თქვენ დიპლომატიურ საქმიანობას ახორციელებთ ქვეყანაში, რომელსაც სახელმწიფოებრივი განვითარების პრიორიტეტად ევროპასთან ინტეგრაცია აქვს არჩეული. თქვენი აზრით, რამდენად წარმატებული ნაბიჯები იდგმება ამ გზაზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან?

— საქართველოს ხელისუფლებამ ევროპასთან დაახლოების გზაზე საკმაოდ სერიოზული მიზნები დაისახა და ბევრს უკვე მიაღწია კიდეც. ამის საუკეთესო მაჩვენებელია 2006 წლის შემოდგომაზე ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სააქციო გეგმაზე ხელის მოწერა. ვფიქრობ, ბევრ სფეროში კონკრეტული შედეგები უკვე სახეზეა. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ევროპული სტანდარტებისაკენ მიმავალი გზა მარტივი არ არის. უნდა შეიცვალოს არაერთი ძველი სტრუქტურა. ამიტომ მინდა მოვუწოდო თითოეულ ქართველს, იქონიოს ნებისყოფა და მოთმინება, რათა ბოლოს მიაღწიოს იმ მიზანს, რასაც ევროპასთან დაახლოება ჰქვია. ამ კუთხით, ბუნებრივია, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ჩემი აზრით, 2008 წლის არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიის გზაზე. ამიტომ გერმანია, ასევე ევროკავშირი, ეუთო და სხვებიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის მზადების პროცესში საქართველოს მხარს აქტიურად უჭერენ.

1990 წლის 3 ოქტომბერი გერმანიის ხელახალი გაერთიანების დღეა. ამ თარიღის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში გადაუფასებელ მოვლენათა ნუსხაში კანონზომიერად ჩაიწერა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელოვნურად გაყოფილი სახელმწიფოს ბედი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ლოგიკურად შეიცვლებოდა, მაგრამ ორმაგად სამართლიანი აღმოჩნდა ისიც, რომ ბერლინის კედელი საკუთარი ხელით სწორედ ამ კედლის ამგებმა საბჭოთა იმპერიამ დაანგრია და ამით საკუთარი ძალმომრეობის უსუსურობის დემონსტრირება მოაწყო. გაერთიანებას მოწყურებულმა გერმანელმა ხალხმა მაშინ ამ უსიამოვნო ბერლინის კედლის ნამსხვრევები შთამომავლობისთვის გადასაცემად სახლებში წაიღო. გაცნობიერებულ წარსულზე გამოზრდილმა თაობამ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ სწორედ საერთო ინტერესები არის წარმატებული სახელმწიფოს აშენების გარანტი. დღეს გერმანია ცენტრალური ევროპის გავლენიანი სახელმწიფოა და მის გარეშე მსოფლიოში ამინდი ვერ იცვლება. ამ ქვეყნის ფასეულობები და პრიორიტეტები საოცნებო და მისაბაძია ბევრი ქვეყნისთვის, რომლებსაც ღირსეული გერმანელი ხალხი საკუთარ გამოცდილებას უანგაროდ სთავაზობს.

ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

— 1990 წელს ბერლინის კედელის დანგრევა მსოფლიოში სერიოზული ცვლილებების დასაწყისად იქცა. ევროპაში გაერთიანებული გერმანიის დღევანდელი გავლენის ფონზე, საინტერესოა, პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა რამდენად შეცვალეს ამ მოვლენასთან დაკავშირებული ის შეფასებები, რაც 17 წლის წინათ გაკეთდა?

— როგორც კი ბზარი შეეტყო გერმანულ კედელს, მაშინდელმა მსოფლიომ, რა თქმა უნდა, ყურები ცქვიტა, რადგან ეს ჯერ კიდევ ღონიერი საბჭოთა კავშირის ბზარს ნიშნავდა. მართლაც, გერმანიის გაერთიანებამ, პრაქტიკულად, დასაბამი მისცა იმ პროცესს, რომელიც საბჭოთა კავშირის დემონტაჟით დასრულდა. მსოფლიო ისტორიაში უკანასკნელი იმპერია დაიშალა და, ამ თვალსაზრისით, გერმანიის გაერთიანების ფაქტს კარდინალური მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიის შესაძლო გაერთიანება ევროპისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირების მოხსნის ნიშანიც იყო, რომელიც ცივი ომის ველს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირმა მაშინ გადადგმული ნაბიჯით ცენტრალურ ევროპას განვითარებისთვის პრაქტიკულად დაუბრუნა ის, რაც თავის დროზე ერთიანი გერმანიის სახით წაართვა.

— ყველა შემთხვევაში, გერმანიის გაერთიანება საბჭოთა კავშირის დაშლასთან პირდაპირ კავშირშია და შეუძლებელია, რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელობას ამაზე არ ეფიქრა. საინტერესოა, რა ხდებოდა მაშინ ისეთი, რამაც საბჭოთა კავშირს გერმანიის გაერთიანების ხარჯზე საკუთარი თავის დაშლა გადააწყვეტინა?

— რუსეთს კურსის შეცვლა რომ არ გადაეწყვიტა, საბჭოთა კავშირი ისე ნამდვილად არ დაიშლებოდა. ღიმილის მომგვრელი ვერსიაა ვიფიქროთ, თითქოს რუსეთი ისე დასუსტდა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის შესანარჩუნებლად მას ტანკები აღარ ეყო. ეკონომიკურ გაძლიერებაზე რუსეთი არასდროს ფიქრობდა, მას საკუთარი თავი ძალით გაჰქონდა და არა ეკონომიკით. ჩვეული მოტივი, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი თავისით, მიტოვებული სახლის მსგავსად დაიშალა, მეტისმეტად რომანტიკული მეჩვენება. პოლიტოლოგების წინაშე დიდი კითხვის ნიშანი დგას — რა მოხდა? ეს კითხვა დღემდე ამოწურული არ არის.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?

— ჩემი ვერსიით, იმის გარდა, რომ რუსეთს უწევდა საკუთარი ეკონომიკით, ყოველგვარი მოგების გარეშე ეკვება მთელი საბჭოთა ბანაკი, მის ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს დემოგრაფიული პრობლემაც თამაშობდა. დღეისთვის რუსეთი დემოგრაფიაზე მხოლოდ თავის სივრცეში ზრუნავს, მაშინ კი, საბჭოთა კავშირი აერთიანებდა მუსლიმანურ ქვეყნებსაც და რუსეთი დემოგრაფიულად ძალიან ნელა იზრდებოდა (10 მუსლიმანის სანაცვლოდ 1 რუსი ბავშვი იბადებოდა). კეთდებოდა პროგნოზი, რომ 90-იანი წლებისთვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი გენერალიტეტიც მუსლიმანური გახდებოდა. საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის გამუსლიმანების შემთხვევაში რუსეთი საბჭოთა კავშირის ჩვეულებრივ რესპუბლიკად, ანუ დიქტატორიდან მოსამსახურედ გადაიქცეოდა. მხოლოდ ამ ფაქტორის გამო, ნებისმიერი, ვინც არ უნდა ყოფილიყო რუსეთის ადგილზე, გადაწყვეტდა საბჭოთა კავშირის დაშლას, მხოლოდ ისე, რომ თურქულ საბჭოთა სივრცეზე გავლენა შეენარჩუნებინა.

— დღევანდელი გადმოსახედიდან, ხომ არ ფიქრობთ, რომ ედუარდ შევარდნაძის გავლენა აღნიშნულ პროცესებში გადაჭარბებულად შეფასდა და მას სულაც არ ქონდა გათვლილი, რომ გერმანიის გაერთიანება საბჭოთა კავშირის დანგრევას გამოიწვევდა?

— რუსეთმა დადგა ბრწყინვალე სცენარი, რომ თითქოს უსუსურობის გამო დაიშალა. მანამდე მოაწყო თბილისის, ბაქოს, ვილნიუსის სისხლისღვრები. იმ პერიოდში ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგების მიხედვით, საბჭოთა და, მათ შორის, საქართველოს საზოგადოების 70%-ს მიაჩნდა, რომ საქართველოსთვის საბჭოთა კავშირში ყოფნა უვნებელია და იქ უნდა დარჩეს. თუ რუსეთი თავად აპირებდა მის დაშლას, რა თქმა უნდა, ეს განწყობილება უნდა შეეცვალა. რუსეთის ამგვარი ამოცანა ოფიციალურად არსად არ ფიგურირებს. მხოლოდ რაღაც დონეზე არის საუბარი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პროექტი სუკ-ის კულუარებში შემუშავდა. სპეცსამსახურებს ჰქონდა თავისი ხაზი, რომელიც ყოველთვის არ ემთხვეოდა პოლიტიკურს. ის, რომ ედუარდ შევარდნაძეს ყოველთვის ჰქონდა სურვილი, ყოფილიყო ახლოს ევროპასთან, ვიდრე რუსეთთან, საეჭვო არ არის. შესაძლოა, ამ პროცესის ყველა ქვედა დინება და მოტივი მან არ იცოდა, მაგრამ ის, რომ ევროპაზე გასვლის იმპულსით ცხოვრობდა, კარგად ჩანს იმაშიც, რომ მეგობართა ჩამონათვალში დასავლეთის ლიდერთა სახელებს ყოველთვის ამაყად წარმოთქვამდა. ბორის ელცინი ჩემი მეგობარიაო, არასოდეს უთქვამს, იმის მიუხედავად, რომ რუსული რევოლუციის დროს ბრონირებულ მანქანაზე ელცინი თავად დააყენა. ვფიქრობ, პროცესის სტრატეგი, შევარდნაძე არ იყო.

მახსოვს, გერმანელმა ჟურნალისტმა შევარდნაძეს დაახლოებით თქვენნაირი შეკითხვა დუსვა, რაზეც მან უპასუხა: ჩვენ ისეთი ცვლილებების მოხდენა გვინდოდა, რომელიც დემონტაჟს რბილს გახდიდა, მაგრამ მისი უეცარი დანგრევა არ გვსურდაო. ასე რომ, მან არ იცოდა, რა კოცონს აჩაღებდა თავისი რომანტიკული ნაბიჯებით. რაც შეეხება პროცესების აღმასრულებელ მხარეს, იქ კი, ედუარდ შევარდნაძის დგომა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამერიკასთან ურთიერთობის დათბობისა და მოწესრიგების რეჟიმში გადასვლა, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა და სხვა ბევრი პროცესი შევარდნაძის სახელს უკავშირდება.

— დიდი კატაკლიზმების შედეგად გაერთიანებული გერმანია 17 წელიწადში, საკუთარი ძალისხმევით, ევროპაში ცენტრალური გავლენის მქონე სახელმწიფოდ იქცა. თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ გერმანულმა საზოგადოებამ უმტკივნეულოდ გადალახა ის ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ-სოციალური ბარიერები, რომლის დაძლევაც ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე ჩვენთვის გაცილებით ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა?

— გაერთიანების შემდგომი პროცესები გერმანელებისთვის უმტკივნეულო არ იყო, ის მტკივნეული დღესაც არის. ჩვენსა და გერმანიას შორის ხასიათისა და ეკონომიკური დონის უზარმაზარი სხვაობის მიუხედავად, თუ მათ მაგალითზე ვისწავლით და დასკვნებს საჩვენოდ გავაკეთებთ, ალბათ, ურიგო არ იქნება. კერძოდ, რა თქმა უნდა, ბერლინის კედლის დანგრევას მთელი გერმანია აღფრთოვანებული შეხვდა, მაგრამ შემდეგ ქვეყანა რეალობის წინაშე დადგა. აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ეპოქაში მუშაობისა და წარმოების უდიდესი კულტურის მქონე აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთთან გაერთიანების შემდეგ თითქმის უმუშევარი დარჩა. ანუ საბჭოური ცხოვრების მუშაობის წესის საუკეთესო ვარიანტიც კი, რომელიც იყო აღმოსავლეთ გერმანიაში, ვერ ქმნის ისეთ პროფესიონალს, როგორიც სჭირდება დასავლეთის საზოგადოებას. იმის გამო, რომ აღმოსავლეთს არ შეეძლო საჭირო დონის პროდუქციის შექმნა, ის მთლიანად დასავლეთის კმაყოფაზე გადავიდა. აღმოსავლეთ გერმანიაში დღემდე ძალიან გართულებულია ადგილობრივი მოქალაქეების ადაპტაცია დასავლური ცხოვრების წესთან. ძნელია ვთქვათ, რომ გერმანიაში მაშინ შექმნილი ყველა პრობლემა ბოლომდე გადაწყვეტილია. გაერთიანებულ გერმანიას გაუჭირდა ეკონომიკურად, გაიზარდა ფასები და ევროზე გადასვლის ერთერთი მოტივი, შესაძლოა, ესეც იყო. ევრო ხომ, ფაქტობრივად, გაერთიანებული გერმანიის ჯიუტი მოთხოვნით შეიქმნა. ევროზე გადასვლისას კი, ფასების ციფრები იგივე დარჩა და პროდუქცია, ფაქტობრივად, გაორმაგდა. დღემდე შეზღუდულია სოციალური პროგრამები, გერმანია უფასო სწავლებაზე უარის თქმას იწყებს და ა.შ. დასავლელი გერმანელების დიდ ნაწილში დღეს ის განწყობაც არის, რომ აღმოსავლეთთან შეერთება საჭირო არ იყო.

გერმანიის გაერთიანების მაგალითი იმას გვასწავლის, რომ ორი ნაწილის გაერთიანებისას, მთელი სიმძიმე რომელიღაცამ უნდა აიღოს და განსხვავება ორ ნაწილს შორის ერთის სასარგებლოდ უნდა გათანაბრდეს. ჩვენ გვაქვს ტერიტორიების გაერთიანების ამოცანა, რომელიც, ალბათ, მშვიდობიანად გადაწყდება. ამის შემდეგ იგივე საკითხი ჩვენს წინაშეც დადგება. აფხაზეთი ნახევრად დანგრეულია (პირდაპირი გაგებით), ცხინვალი „არაფრის მაქნისი“ არ არის ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრით. აქვს საქართველოს იმის ეკონომიკური პოტენციალი, რომ ეს კუთხეები ამოქაჩოს? გერმანიასთან შედარებით ჩვენს წინ უფრო რთული ამოცანა დგას. ის, რაც გერმანიას გაუჭირდა, რომელსაც ევროპაში, ლამის, ყველაზე ძლიერი ეკონომიკა ჰქონდა, წარმოიდგინეთ, ჩვენ რა გასაჭირის წინაშე დავდგებით, როდესაც ეს რეგიონები დანარჩენი ქვეყნის მსგავსად საქართველოს საპატრონო აღმოჩნდება.

გვერდი მოამზადა ხათუნა ხატიაშვილმა

საზოგადოების რეაქციამ აგრესიულ სეპარატიზმთან საბრძოლველად აშკარად დააგვიანა

14 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველების დამარცხებით დამთავრდა აფხაზეთის კონფლიქტი — „საქართველო-რუსეთის VI ომი“, რასაც შედეგად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა მოჰყვა. პოლიტოლოგები აფხაზეთის კრიზისის სამხედრო კონფლიქტში გადაზრდის ძირითად მიზეზად აგრესიულ სეპარატიზმს ასახელებენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და თსუ-ის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „აგრესიული სეპარატიზმი, როგორც დემოკრატიული ღირებულებების მარადიული საფრთხე“.

შურთხია გეროშვილი

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების რეაქციამ აგრესიულ სეპარატიზმთან საბრძოლველად აშკარად დააგვიანა. ამავე დროს სეპარატიზმის აღკვეთა შეუძლებელია ამ ფენომენის არსის გააზრების და მისი ისტორიული შესწავლის გარეშე. აგრესიული სეპარატიზმი, ასევე, ეწინააღმდეგება კავკასიის ხალხების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ მოხსენებაში: — „აგრესიული სეპარატიზმი, როგორც დემოკრატიული ღირებულებების მარადიული საფრთხე“, აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესები აფხაზეთის საზოგადოების გარეშე ყალიბდება და ვითარდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, მან სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი ამ პროცესებში. „კონფლიქტის დარეგულირებაში აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების რესურსი სრულყოფილად უნდა გამოვიყენოთ და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა გადახედოს იმ დიპლომატიურ შემადგენლობას, რომელთაც მუშაობა საქართველოს ფარგლებს გარეთ უწევთ. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს: — აშშ-ს, ევროპულ ქვეყნებს, მათთან ურთიერთობაში ჩვენი მიზნები და ამოცანები ნათლად უნდა გამოიკვეთოს. თემურ მჟავიამ აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ფაქტორზეც ისაუბრა: „საქართველოს ჰყავს ძალიან სერიოზული მოწინააღმდეგე. მთავარია, შევიმუშავოთ პრინციპული პოზიცია რუსეთთან მიმართებაში. სულ მალე ქალაქ რიგაში მასშტაბური აქციის გამართვა იგეგმება. აფხაზეთში გენოციდთან და ეთნოწმენდასთან დაკავშირებული ფოტოგამოფენა მოეწყობა. ჩვენ შევეცდებით, მაქსიმალურად წარმოვადგინოთ ის ფონი, რომელმაც გზა გაუხსნა ამ კატასტროფას და რომლის მსხვერპლიც ჩვენ ვართ. მსგავსი სახის ღონისძიებები ევროკავშირის სივრცის წარმომადგენელ ყველა ქალაქშია დაგეგმილი“, — განაცხადა თემურ მჟავიამ.

„აგრესიული სეპარატიზმის დესტრუქციული ხასიათი და ერთა თვითგამორკვევის საკითხები“, — ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა

თემურ მჟავია

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზი თვითგამორკვევის ობიექტია, მაგრამ მას არა აქვს გამოყოფის უფლება. „თვითგამორკვევის უფლების თვალსაზრისით აფხაზეთის თემა უნიკალურია იმ კუთხითაც, რომ რაც არ უნდა კონკრეტულ ფორმაზე შეთანხმდნენ ქართული და აფხაზური მხარეები, აფხაზი ყოველთვის დარჩება ეთნიკურ უმცირესობად. საქართველოსთვის დამღუპველია ისეთი პოლიტიკა, როდესაც რომელიმე ეთნოსის თვითგამორკვევის ფორმის მიმართ ამ ჯგუფს ექნება ისეთი განწყობა, რომ მოპოვებული უფლებები არის მხოლოდ მათი ბრძოლით მიღწეული. ამავე დროს, აფხაზებს შიშის სინდრომი უნდა გავუქარწყლოთ, მაშინ აფხაზეთის საზოგადოება უფრო სტრუქტუირებული გახდება“, — აღნიშნა რექტორმა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის დამზირ ჯოჯუას აზრით, სეპარატიზმი საქართველოს ისტორიაში, სამწუხაროდ, ორგანულ ტენდენციად ჩანს. „აგრესიული სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთი ეფექტური თეორიული ხერხია საკითხისადმი ცივილური მიდგომა. ამ მიზნით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მეცნიერული განყოფილება, სადაც გაერთიანდნენ ისტორიკოსები, ეთნოლოგები, პოლიტოლოგები. მათი მიზანია, იბერიულ-კავკასიური ცნობიერების აღორძინება და ახალი, „დიდი კავკასიის“ პროექტის შექმნა. ამგვარი პროექტების განხორციელება საშუალებას მოგვცემს ახლებურად შეეხედოთ რეგიონალურ-ისტორიულ პროცესს“, — აღნიშნა მან.

კონფერენციაზე წამოჭრილმა საკითხებმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რასაც დისკუსია მოჰყვა. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლის ზურაბ ჯგუბურიას აზრით, დღეს ევროპას აინტერესებს არა ისტორია, არამედ კონფლიქტის გადაჭრის მეთოდები. პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ეს მოსაზრება არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ კომპრომისი შეიძლება ხშირად მიუღებელიც იყოს. „ევროპას მხოლოდ ის აინტერესებს, რომ საქართველოში სისხლი არ დაიღვაროს, თორემ როდის დავიბრუნებთ აფხაზეთს, ეს აბსოლუტურად არ ადარდებს“.

აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ ისაუბრა მკვიდრ მოსახლეობასა და მკვიდრ ერს შორის განსხვავებაზე: „როცა ქვეყანაში უცხო ადამიანი მოდის, პირველად ის ხიზნად იწოდება, მაგრამ მისი მესამე თაობა უკვე მკვიდრი მოსახლეა. მკვიდრი მოსახლეობა სულაც არ ნიშნავს მკვიდრ ერს. XIX—XX საუკუნეებში აფხაზი, როგორც ერი, ჩამოყალიბდა და ეს გასათვალისწინებელია“.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ქართველმა მეცნიერებმა პოლიტიკური ცნობიერების განვითარებაში საკუთარი როლი და ადგილი უნდა დაიმკვიდრონ.

პრეზენტაცია

როგორ მოვშალოთ შლაგბაუმები საგანმანათლებლო პროგრამებით

ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

მაკა ლდოკონენი

ქართული კავკასიოლოგიური სკოლა იმთავითვე კავკასიოლოგიური კვლევების აღიარებული ცენტრი იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. თბილისი, დიდი ხნის განმავლობაში, კავკასიის პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრად ითვლებოდა, ხოლო როდესაც მან პოლიტიკური ფუნქცია დაკარგა, კულტურული ცენტრის სტატუსს მაინც ინარჩუნებდა. საქართველოს დღესაც გააჩნია საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ დაიბრუნოს კავკასიის შემსწავლელი ტრადიციული ცენტრის სახელი. ამ საქმეში კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წამყვანი პოზიცია უნდა დაიკავოს, ვინაიდან კავკასიური ენების შესწავლასა და კავკასიის პრობლემების კვლევას თსუ-ში ხანგრძლივი ისტორია აქვს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფი კავკასიელი ერების გაერთიანებისა და მათი ძველი ურთიერთობის აღდგენის საქმეში განათლებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. სწორედ ამიტომ, თსუ-ში ოსთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დანერგვა ერთერთი სამშვიდობო ნაბიჯი გახლავთ, რომელიც ქართველი და ოსი ერების გაერთიანებასა და მათი ძველი ურთიერთობის აღდგენას შეუწყობს ხელს.

თამარაშენში „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღეზე

თსუ-ში კავკასიოლოგიის მიმართულება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2006 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა. თავიდან მისი სტრუქტურა ლინგვისტური კავკასიოლოგიისა და კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის დეპარტამენტებით იყო წარმოდგენილი. სწავლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებიც ამ ორ პროფილს გულისხმობდა. 2007 წლის მარტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით კავკასიოლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა და კავკასიოლოგია, როგორც კომპლექსური დარგი, უფრო ფართოდ წარმოჩინდა.

27 ივლისს კი თსუ-ში ოსოლოგიის (ოსთმცოდნეობა) საბაკალავრო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა. ამ ახალი პროგრამის მიზანია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი ცოდნისა და უნარჩვევების მქონე ჰუმანიტარი ოსოლოგების აღზრდა, რომელთაც საშუალება ექნებათ მაგისტრატურაში ლინგვისტი ოსოლოგის ან ისტორიკოსი ოსოლოგის პროფილით განაგრძონ სწავლა.

ბაკალავრი გაძლიერებით შეისწავლის ოსურ ენას, შეეძლება ამ ენისა და ისტორიის კვლევის მეთოდიკის გამოყენება. ოსოლოგიის ძირითადი პროგრამის შესწავლის შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება მკაფიო წარმოდგენა კავკასიის — როგორც ერთიანი ისტორიულ-კულტურული ოლქის წარსულზე, უძველესი დროიდან, დღემდე, ასევე, კავკასიაში მცხოვრები ცალკეული ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფის როლზე ისტორიულ პროცესში. ეს ცოდნა მას დაეხმარება, უკეთ გაიგოს თანამედროვე ეთნო და გეოპოლიტიკური რეალიები.

პროგრამა იმითაც გახლავთ მნიშვნელოვანი, რომ იგი ხელს შეუწყობს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას თსუ-ის, ცხინვალისა და ვლადიკავკაზის უნივერსიტეტებს შორის. თსუ-ში აღდგება ოსური ენის კვლევისა და სწავლების ტრადიცია, რაც ოსური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეს უსათუოდ წაადგება. ოსოლოგიის პროგრამა იმ უცხოელ მეცნიერებსა და სტუდენტებსაც დააინტერესებთ, რომლებიც ლინგვისტიკასა და კავკასიოლოგიას სწავლობენ.

ამ ეტაპზე ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტიზა განიხილავს. შემდგომ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოზე დაამტკიცებენ და საბოლოოდ აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ. ამის გამო, ახალ სასწავლო წელს ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამა პირველი სემესტრის პროგრამების ჩამონათვალში არ შეუტანიათ. თუმცა, თუ სტუდენტს მომავალ სპეციალობად ოსოლოგიის არჩევა აქვს განზრახული და კრედიტების რაოდენობა ხელს უწყობს, კავკასიოლოგიის მიმართულების ერთ ან ორ ისეთ საგანს შესთავაზებენ, რომელთა შესწავლა ამ მიმართულების ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა. მეორე სემესტრიდან კი, როდესაც აღნიშნულ პროგრამაზე მიღება ოფიციალურად გამოცხადდება, ისინი კონკრეტულად ოსოლოგიის პროგრამით მომუშავე სტუდენტებად დარეგისტრირდებიან.

ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ცხინვალისა და ვლადიკავკაზის უნივერსიტეტების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლებიც დაინტერესდნენ. რამდენიმე მათგანი ზაფხულში პროგრამის პრეზენტაციასაც დაესწრო.

პროგრამის პრეზენტაცია – სამშვიდობო ნაბიჯი

„პირველ ქართულ უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი მეცნიერები წლების განმავლობაში შეისწავლიდნენ ოსურ ენასა და კულტურას. თსუ-ის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის სხდომის ოქმში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პირველმა ქართულმა უნივერსიტეტმა დაარსებიდან მესამე თვეს საგანგებო სხდომა დაუთმო კავკასიური ენების — გამორჩეულად კი ოსური ენის სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ დაარსების პირველ ეტაპზე უნივერსიტეტი უამრავი პრობლემის წინაშე იდგა (სხვა თუ არაფერი, მხოლოდ 18 პროფესორი ჰყავდა), მაინც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ უნივერსიტეტში ოსური ენისა და კულტურის შესწავლის საკითხს. დღევანდელი ღონისძიება და ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამა გვექნება წარმოდგენილი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თსუ-ში ამ მიმართულებით არსებული ტრადიციები აღდგება და უფრო განვითარდება“, — განაცხადა პრეზენტაციაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

რექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შლაგბაუმები და ბლოკპოსტები კი არ გვიცავს, არამედ ხელოვნურად გვყოფს როგორც ერთმანეთისგან, ასევე, თანამედროვე მსოფლიოსგან, თანამედროვე განათლების სისტემებისგან. განათლების გარეშე კი წარმატების მიღწევა შეუძლებელია, ვინაიდან, ცივილიზებული დიალოგი მხოლოდ განათლებულ ადამიანთან არის შესაძლებელი.

„საქართველოში ოსები წარმატებით მოღვაწეობენ ბიზნესის, პოლიტიკისა თუ კულტურის სფეროში, მაგრამ მათ ეს წარმატება ეთნიკური კუთვნილების ნიშნით როდი მოიპოვეს, მათი წარმატების მთავარი საიდუმლო კარგი განათლება გახლდათ. სიამოვნებით აღვნიშნავ იმ ფაქტსაც, რომ აქ გვესწრებიან სტუდენტები ვლადიკავკაზიდან და ცხინვალიდან, რაც დღევანდელ რთულ ვითარებაში განსაკუთებით მნიშვნელოვანია. ეს ახალგაზრდები ხომ უნდობლობის ატმოსფეროში გაიზარდნენ. მიუხედავად ამისა, მომავლის სწორი ხედვა აქვთ. მოგიწოდებთ, მივბაძოთ მათ, აღარ ვიყოთ წარსულზე ორიენტირებულნი, როგორც ღირსეულ კავკასიელებს, გვახსოვდეს, რომ პატიება სისუსტის ნიშანი როდია, არამედ ძლიერთა ხვედრია“, — აღნიშნა რექტორმა.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებსა და თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ წარუდგინა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ პროგრამის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში ოსი კოლეგებიც მიიღებენ მონაწილეობას და ისინი ქართველებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ.

ოსთმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ცირა ბარამიძემ პრეზენტაციაზე ოსური ენის თავისებურებებზე ისაუბრა და ქართულიდან ოსურ ენაზე მხატვრული ლიტერატურის თარგმნის ტრადიციებს შეეხო.

კავკასიოლოგიური სახლის ოსური სექტორის ხელმძღვანელმა ნაირა ბეპიევამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი სწორედ საგანმანათლებლო სფეროში უნდა გადაიდგას. „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძლიერია ქვეყანა, სადაც ძლიერია განათლების სისტემა. ახლო წარსულში ქართველებსა და ოსებს საურთიერთობო ენა არ უჭირდათ: არა მხოლოდ ოსები ფლობდნენ კარგად ქართულს, არამედ ქართველები სწავლობდნენ ოსურ ენას. 60-იან წლებში ოსურ ენას თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდნენ. კონფლიქტის შემდგომ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა კვლავ აღსადგენია, რაშიც არანაკლები წვლილი კავკასიოლოგიის ინსტიტუტმაც უნდა შეიტანოს. ამ საქმეს ოსოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც შეუწყობს ხელს“.

შეძლებენ თუ არა ფიზიკოსები ბოლო დროს აღმოჩენილი უცნაური ფენომენის – სამყაროს აჩქარების ახსნას

რა "სიურპრიზებს" შეიძლება ელოდოს კაცობრიობა ფიზიკოს გია დვალისგან?





მაია ტორაძე

ცნობილ ფიზიკოსს მაქს პლანკს, რომელმაც თავის დროზე თეორიულ ფიზიკაში მუშაობა გადაწყვიტა, მასწავლებელმა არჩევანი დაუწუნა: „ახალგაზრდავ, რად გინდა, რომ სიცოცხლეს იფუჭებ? თეორიული ფიზიკა, ძირითადად, დასრულდა და მასში აღმოსაჩენი არაფერია!“ ეს სიტყვები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ითქვა. მაშინ მისი ავტორი ვერაფრით მიხვდებოდა, რომ პლანკის მიერ მოძებნილ განსხვავებულ მიმართულებას მთელი XX საუკუნის ფიზიკა გაჰყვებოდა.

ანალოგიური დამოკიდებულება „ახალი ფიზიკის“ მიმართ XX საუკუნეშიც შეინიშნებოდა. მაგალითად, ინგლისელმა ფიზიკოსმა ლორდ კელვინმაც დასრულებულად ჩათვალა სამყაროს მოწყობის შესახებ ყოველგვარი კვლევა და განაცხადა: „ფიზიკის შენობა, ძირითადად, აშენებულია. ჰორიზონტზე მხოლოდ ორი პატარა ღრუბელია“. ვერც ის მიხვდა, რომ ამ ორი „პატარა“ შეუსწავლელი სფეროდან აღმოცენდებოდა ფარდობითობის თეორია და კვანტური მექანიკა.

დღეისათვის, როგორც მეცნიერები ამბობენ, ჩიხში ყოფნის დრო ამოიწურა. ზოგადად — ფიზიკა და კონკრეტულად — ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა ახალ რენესანსს განიცდის. ახალგაზრდა თაობა ხელახლა იკვლევს სამყაროს მოწყობის აქამდე დამტკიცებულად მიჩნეულ მოდელს და მსოფლიოს რადიკალურ იდეებს სთავაზობს. მათი ნაწილი სხვადასხვა თეორიებს შორის კავშირებს და დროისა და სივრცის ურთიერთმიმართებას სწავლობს, ნაწილი კი სივრცული დამატებითი განზომილებების არსებობის დამადასტურებელ კვალს ეძებს. მათ შორის, ერთერთი, ვისმა აღმოჩენებმაც შესაძლოა ახალ ფიზიკას დაუდოს სათავე, ქართველი მეცნიერი, ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი გია დვალიც არის.

ფიზიკოსები აცხადებენ, რომ თეორიები, რომლებსაც პროფესორი დვალი თავის კოლეგებთან ერთად ავითარებს, ექსპერიმენტულად დამტკიცების შემთხვევაში თანამედროვე ფიზიკაში ბევრ რამეს შეცვლის. მისი თამამი ჰიპოთეზები შეეხება სამყაროს მოწყობას, გრავიტაციის კვანტურ თეორიას და დამატებითი განზომილებების აღმოჩენას. მაგალითად, დღემდე ეჭვი არავის შეუტანია ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მართებულობაში, უფრო ზუსტად, ეს კანონი არც მცირე და არც დიდ მანძილებზე არავის გაუზომავს. დვალის (და მისი კოლეგების) თეორიის თანახმად, შეიძლება მოხდეს ამ კანონის მოდიფიცირება მცირე და დიდ მანძილებზე.

მნიშვნელოვანია მეცნიერთა მოსაზრებები დამატებითი განზომილებების თაობაზე. 1998 წელს ნიმ არკანი-ჰამედმა (N. Arkani-Hamed), სტენფორდის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა და მისმა კოლეგებმა — გია დვალმა და სავას დიმოპულოსმა (S. Dimopoulos) შეიმუშავეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც დამატებითი სივრცული განზომილებები შეიძლება აღმოჩნდეს მცირე მანძილებზე. ამჟამად ინტენსიურად ტარდება ცდები ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად. ამასთანავე, პროფესორმა დვალმა, თავის ქართველ კოლეგასთან, ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორ გიგა გაბადაძესთან ერთად, თავის ბოლოდროინდელ შრომებში გამოთქვა მოსაზრება, რომ დამატებითი განზომილებები შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთვე დიდ მანძილებზეც, რაც სამყაროს აჩქარებული გაფართოების ბოლო დროს აღმოჩენილი უცნაური ფენომენის ერთერთი ახსნა შეიძლება იყოს (მეორე შესაძლო ახსნა ბნელი ენერგიის ჰიპოთეზაა).

დამატებითი განზომილებების არსებობის დასადასტურებლად გია დვალი ჩართულია დიდ ექსპერიმენტებში, რომელიც ითვალისწინებს როგორც დედამიწაზე არსებულ ამაჩქარებლებზე ექსპერიმენტების ჩატარებას, ასევე მთვარის ორბიტაზე დაკვირვებას (დღემდე მთვარის ორბიტა განსაზღვრულია სანტიმეტრების სიზუსტით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და დამატებითი განზომილებების აღმოსაჩენად ის მილიმეტრების სიზუსტით უნდა გაიზომოს).

გია დვალის თეორიები დიდ ინტერესს იწვევს როგორც მის კოლეგებში, ასევე სტუდენტებში. ამის დადასტურება იყო ფიზიკოსთა სიმრავლე გია დვალისა და გიგა გაბადაძის ლექციებზე საზაფხულო სკოლაში, რომელიც 16-26 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

■ **გვაინტერესებს პასუხები კითხვებზე – რა იყო სამყაროსა და მატერიის სტრუქტურის პირველსაწყისი, როგორია სამყაროს ისტორია და რა არის მისი მომავალი, რატომ არის სამყარო ისეთი, როგორიც არის, ან რატომ ვხედავთ მარტო სამ სივრცულ განზომილებას და არა მეტს, სად არიან სხვა დამატებითი განზომილებები, რა არის გრავიტაციის კვანტური თეორია და ა.შ ჩვენი თეორიები ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა.**

ინტერვიუ

— ბატონო გია, იქნებ ძალიან მოკლედ ჩამოაყალიბოთ თქვენი თეორიის ძირითადი არსი?

— ჩვენი სპეციალობის მთავარი პრინციპი, უხეშად რომ ვთქვათ, ისაა, რომ გამუდმებით ვქმნით თეორიებს და მერე ვანადგურებთ მათ. ჩვენი მოღვაწეობის სფერო ძირითადად არის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, კოსმოლოგია და მათი თანაკვეთა, ანუ რასაც ფუნდამენტური ფიზიკა ჰქვია. ეს არის საკითხები სამყაროს აგებულების ყველაზე დიდ და ცნობილ სტრუქტურებზე და მასშტაბებზე, რაც კი ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს, ან ვერც წარმოიდგინოს.

გვაინტერესებს პასუხები კითხვებზე — რა იყო სამყაროსა და მატერიის სტრუქტურის პირველსაწყისი, როგორია სამყაროს ისტორია და რა არის მისი მომავალი, რატომ არის სამყარო ისეთი, როგორიც არის, ან რატომ ვხედავთ მარტო სამ სივრცულ განზომილებას და არა მეტს, სად არიან სხვა დამატებითი განზომილებები, რა არის გრავიტაციის კვანტური თეორია და ა.შ

ჩვენი თეორიები ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა.

— ხომ არ განიცადა ცვლილებები თქვენმა წარმოდგენებმა სამყაროს მოწყობის („წესრიგის“) შესახებ?

— ჩვენი დარგისთვის ამგვარი ცვლილებები მუდმივი პროცესია, იმიტომ, რომ ვმუშაობთ!

წარმოდგენები სამყაროზე მუდმივად განიცდის ცვლილებას და ეს პროცესი ბოლო დროს ძალიან დაჩქარდა. ის, რაც დავადგინეთ ათი წლის წინ, აღმოჩნდა, რომ საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას. დღეს ხდება პარადიგმების წარმოქმნა და რღვევა, რაც დინამიური პროცესია. ყოველ წუთს ველოდებით რაღაც ახალს. ზოგიერთმა საკითხმა, რაც მეტაფიზიკური და შედარებით არამეცნიერული კატეგორიიდან გვეგონა, სტატუსი შეიცვალა და დადგა გარკვეული კითხვების დასმის დრო.

— სად უფრო მალე ელოდებით დამატებითი განზომილებების აღმოჩენას — დიდ თუ მცირე მანძილებზე?

— დამატებითი განზომილებები ჯერ ჰიპოთეზაა. ისინი შეიძლება არც არსებობენ. შეიძლება არსებობენ, მაგრამ იმდენად პატარა მანძილებზე, რომ, სამწუხაროდ, დღეს ვერცერთმა ექსპერიმენტმა შეიძლება ვერ დაადგინოს.

არსებობს მოტივირებული თეორიები, რომელიც წინასწარმეტყველებს დამატებითი განზომილებების არსებობას დიდ მანძილებზეც. შესაძლოა, ეს დაკვირვებული იქნეს ექსპერიმენტებზე უახლოეს ხანში.

ექსპერიმენტების რამდენიმე კატეგორიაა — მაგალითად, კოსმოლოგიური კვლევები, რომელიც შეეხება დიდ მანძილებზე არსებულ განზომილებებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

არის ექსპერიმენტები, რომლებიც გრავიტაციის ცვლილებას უყურებენ მზის სისტემის შიგნით, მაგალითად, მთვარის ორბიტის ცვლილებას — ეს მთვარის პერიჰელიუმის პრეცესიაა, რომელიც, აგრეთვე, წინასწარმეტყველებს დამატებითი განზომილებების არსებობას.

არსებობს, ასევე, მთვარის ლაზერული ზონდირების ექსპერიმენტი, რომლის დროსაც მთვარის ზედაპირზე ლაზერული სხივის არეკვლა ხდება. ამ ექსპერიმენტებიდანაც დიდ შედეგებს ველოდებით.

ყველანაირი შედეგი, უარყოფითია თუ დადებითი, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმის თაობაზე, თუ სად არის ეს განზომილებები, საერთოდ, არის თუ არა და ა.შ.

რა თქმა უნდა, ექსპერიმენტების მნიშვნელოვანი კატეგორიაა CERN-ის ამაჩქარებელი. ATLAS-სა და აშშ-ს — კოლოსალური ბიუჯეტის მქონე და კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ექსპერიმენტებს, ფიზიკოსების მთელი არმია ამზადებს და ელოდება. ეს, იმედია, საშუალებას მოგვცემს, დამატებითი განზომილებები დავამზეროთ უფრო მოკლე მანძილებზე. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ნებისმიერი პასუხი სასურველი შედეგის მიღების გარეშეც პასუხია — უარყოფითიც დიდ ინფორმაციას გვაძლევს და დადებითიც.

პირველსაწყისის რელიგიური ინტერპრეტაცია და მეცნიერული ახსნა ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა მეცნიერული და რელიგიური მოსაზრებების დაპირისპირებაზე ვისაუბროთ? ზოგიერთი მოვლენის, მაგალითად, „დიდი აფეთქების“ მეცნიერული ახსნა ხომ არ ემთხვევა რელიგიურს...

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სათანადო კვალიფიკაცია არ მაქვს, მაგრამ, მიმაჩნია, რომ კითხვები, რომელზეც ჩვენ, მეცნიერებს, პასუხი არ გვექნება, ყოველთვის დაისმება. ეს გარდაუვალია, რადგან სრულ ჭეშმარიტებას სამყაროზე, ჩვენს წარმოშობასა და ყოფაზე ვერასოდეს მივაგნებთ. შესაბამისად, ყოველთვის იარსებებს კითხვები მეცნიერების ცოდნის მიღმა. ამ კითხვებს კი ყოველთვის ექნებათ სხვანაირი, მაგალითად, რელიგიაზე დაფუძნებული ახსნა.

მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართება არ არის ურთიერთგამომრიცხავი პროცესი, ეს მხოლოდ პარალელური პროცესია. ისინი არ უნდა განვიხილოთ ერთმანეთთან დაპირისპირებაში. ჩვენ მეცნიერულად ვაკვირდებით ისეთ მოვლენებს, რისი დამტკიცებაც ექსპერიმენტულად შეგვიძლია. ისეთი მოვლენები, რაც არ შეგვიძლია ცდებით გავიმეოროთ და დავამტკიცოთ, ყოველთვის იარსებებს. მაგალითად, ჩვენ ხომ არ შეგვიძლია თავიდან დავაბრუნოთ დრო, გავიმეოროთ ახალი დიდი აფეთქება და ის განმეორებადი გავხადოთ? შესაბამისად, იარსებებს კითხვები, რომელზეც პასუხი არ გვექნება ან სხვაგან დავიწყებთ პასუხის ძიებას. ეს ბუნებრივია, თუმცა იმას არ ნიშნავს, რომ რა კითხვაზეც პასუხი არ გვექნება, მას აუცილებლად რელიგიური ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს.

არსებობს ფუნდამენტური კითხვები, რომელიც ნებისმიერ ადამიანს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად აწუხებს — საიდან ვართ ჩვენ, რა დანიშნულება გვაქვს, როგორ წარმოვიშვით, რაიმე განსაკუთრებული მისია გვაკისრია თუ სამყაროს ერთი პატარა ნაწილი ვართ? ლოგიკურია თუ შემთხვევითი, რომ ჩვენი ადგილი ამ სამყაროშია? ბევრ ასეთ კითხვაზე მეცნიერული პასუხის გაცემა შეუძლებელია დღესაც და შეუძლებელი იქნება რაღაც დროის განმავლობაში. პირველსაწყისის რელიგიური ინტერპრეტაცია და მეცნიერული ახსნა ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ. არის ნორმები, რაც შეიძლება მეცნიერულად შეისწავლო და არის ისეთი რამ, რაც მეცნიერულად, ტექნიკურად მიუწვდომელია.

— ვინ არის თქვენი კერპი მეცნიერებაში?

— მეცნიერებს კერპები არ გვყავს, ჩვენ გვყავს გმირები, რომლებსაც პატივს ვცემთ, რადგან მათ განავითარეს მეცნიერება. თუმცა, გამოვდივართ მოსაზრებიდან, რომ ყველა უნდა შემოწმდეს, რადგან შეიძლება შეცდომა დაუშვან — ეს არის მეცნიერების მთელი არსი. როგორც კი კერპები შეიქმნება, მაშინვე დამთავრდება მეცნიერება.

— რომელმა ქართველმა მეცნიერმა იქონია გავლენა თქვენი სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებაზე?

— ძირითადად, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებსაც არ ჩამოვთვლი. ეს ის ხალხი იყო, რომლებიც ცოდნას გვაძლევდნენ.

შემდეგ ეტაპზე უდიდესი გავლენა იქონია მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა და იმ დემოკრატიულმა და ურთიერთპატივისცემის გამომხატველმა გარემომ, რომელიც ჯერ კიდევ IV კურსის სტუდენტს იქ დამხვდა. ჩემი მაშინდელი წარმატება სწორედ ამ კოლექტივმა განაპირობა. ასევე უნდა აღვნიშნო უცხოელი კოლეგები, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს ჩემი სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებასა და აზროვნების სტილზე.

— ვიცით, რომ მფარველობთ ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს. რამდენიმე მათგანი თქვენთან მუშაობს. რამდენად კმაყოფილი ხართ მათი მიღწევებით და აპირებთ თუ არა გააღრმავოთ ამ კუთხით ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან?

— მფარველობა რა არის? სტუდენტს ისეთი პირობები შეუქმნა, რომ განათლება მიიღოს და, შესაბამისად, არჩევანი გააკეთოს. ეს ეხება ქართველებსაც და არაქართველებსაც, მე მათ არ განვასხვავებ. ვმფარველობ ნებისმიერ ნიჭიერ სტუდენტს, ვისი მფარველობაც შემიძლია და მიმაჩნია, რომ ეს ჩემი ვალია. ამის მერე ისინი თავიანთ ცხოვრებას თავად წარმართავენ. რაც შეეხება უნივერსიტეტთან ჩემს თანამშრომლობას, ჩემი აზრით, ლექციების წაკითხვა უკვე ურთიერთობაა. ჩვენი მოვალეობაა, ერთი მხრივ, მეცნიერული კვლევა ვაწარმოოთ და, მეორე მხრივ, სტუდენტებს ვასწავლოთ. თუ ამ ორი მიმართულებით საქართველოში რაიმე ვარიანტი ჩნდება და არის მეცნიერულ კვლევებში თანამშრომლობის პერსპექტივა — საზაფხულო სკოლა ან სწავლება, ჩამოვდივართ და ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. სხვათაშორის, საზაფხულო სკოლა ძალზე ეფექტურია, რადგან ხდება ლოკალიზაცია ძალიან მაღალკვალიფიციური პროფესორების, ვინც დაინტერესებულ სტუდენტებს აცნობს მეცნიერულ კვლევებსა და სიახლეებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ფორმით ლექციების წასაკითხად ყოველთვის მზად ვარ, მაგრამ თუ სხვა ფორმაც გამოინახება, რა თქმა უნდა, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, მასში მონაწილეობისთვისაც გამოვნახავ დროს!

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები, რა „სიურპრიზებს“ შეიძლება ელოდოს კაცობრიობა გია დვალისგან?

— ფიზიკა დისციპლინარული დარგია და ბევრი სხვადასხვა მიმართულებით გვიწევს ფიქრი — უამრავი საინტერესო ამოცანაა კოსმოლოგიაში, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, ამ ორი დარგის გზაჯვარედინზე. ამჯერად დაინტერესებული ვარ შავი ხვრელების ფიზიკის გარკვეული ასპექტებით და, თავისთავად, დამატებითი განზომილებებით... რომელი იქნება სიურპრიზი და რომელი — არა, არ ვიცი... დრო გამოაჩენს.

ახალი სამაგისტრო პროგრამები

„ევროპამცოდნეობა“ საქართველოში ახალ ევროპელებს გაზრდის

1 ოქტომბერს თსუ-ში ახალი სამაგისტრო პროგრამის „ევროპამცოდნეობის“ წარდგენის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სხვადასხვა უნივერსიტეტების რექტორები, ევროკომისიის ელჩი საქართველოსა და სომხეთში, ევროკავშირის ქვეყნების ელჩები, ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართული ქვეყნების ელჩები, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

თსუ-ში 2006 წლის მაისიდან ხორციელდება ევროკომისიის პროექტი: „ევროპული კვლევების ინსტიტუტი“, რომლის მიზანი ახალი სამაგისტრო პროგრამის „ევროპამცოდნეობა“ (in European Studies) შექმნა გახლდათ. პროექტს ევროკავშირი აფინანსებს და პიერ მონდეს ფრანს უნივერსიტეტის (UPFM, გრენობლი, საფრანგეთი) კონსორციუმი ახორციელებს. პროექტის დირექტორია პროფესორი ივან სამსონი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორ-ემერეტუსი ალბან რიშარი, ხოლო პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი ცირა ჩიკვაიძე.

სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაციაზე თსუ რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, რომ „ევროპამცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ ერთი ნაბიჯია პირველი ქართული უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისკენ. „ამ სამაგისტრო პროგრამის შემდგომი გავრცობა ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამების განხორციელებას, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე გაცილებით უფრო დაუახლოვდა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს“, — განაცხადა მან.

ევროკომისიის ელჩმა საქართველოსა და სომხეთში პერ ეკლუნდმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ევროპამცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოიტანს ცოდნას ევროკავშირის შიდა სისტემებსა და მოვლენებზე, სწავლებას შეუხამებს ახალ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას, იწარმოებს ისეთი დარგებისა და დისციპლინების კომბინირებული სწავლება, როგორიცაა ეკონომიკა, კანონმცოდნეობა, ისტორია, სოციალური თუ პოლიტიკური მეცნიერებები და ახალ ელემენტს შემოიტანს ქართული უმაღლესი განათლების რეფორმაში.

საქართველოს სახელმწიფო მიმისტრის მოადგილემ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, თამარ ბერუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ინტერდისციპლინარული სწავლების ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იქნება საუნივერსიტეტო განათლებაში და სტუდენტები სახელმწიფო მინისტრის აპარატში პროფესიონალური პრაქტიკის გასავლელად მიიწვია.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ მეცნიერებისა და განთლების მინისტრის მოადგილე ქალბატონი ბელა წიფურია და პროგრამის „ევროპამცოდნეობა“ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორ-ემერეტუსი ალბან რიშარი. მათ ხაზი გაუსვეს პროექტის მნიშვნელობას საქართველოსთვის.

ევროპული კვლევების ინსტიტუტი — ახალი ფაკულტეტთაშორისი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული ოთხი ფაკულტეტის (ჰუმანიტარული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიული) ბაზაზე ჩამოყალიბდა. ფაკულტეტებს ახალი სამაგისტრო პროგრამა — „ევროპამცოდნეობა“ გააერთიანებს. კურსდამთავრებულები მიიღებენ თსუ-ის მაგისტრის ხარისხს „ევროპამცოდნეობაში“.

„ევროპამცოდნეობა“ შედარებით ახალი აკადემიური დარგია და საქართველოში, ჯერჯერობით, სპეციალიზირებული პედაგოგები არ გვყავს. ამიტომ ამ სასწავლო წელს ლექციებს გრენობლის (საფრანგეთი), ინსბრუკის (ავსტრია) და პანთეონის (საბერძნეთი) უნივერსიტეტების პროფესორები წაიკითხავენ.

„გერმანული სამართალი“ – კიოლნის სამაგისტრო პროგრამა თსუ-ში

სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების მსურველებს საშუალება ეძლევათ არჩევანი თსუ-ში არსებულ 85 სამაგისტრო პროგრამას შორის გააკეთონ. სამაგისტრო პროგრამებს გერმანულენოვანი პროგრამა — გერმანული სამართალი დაემატა.

გერმანული სამართალი კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამაა. თსუ-ში გერმანელი პროფესორები თავიანთი სამაგისტრო პროგრამით ჩამოდიან. კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სრულ სალექციო კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანელი პროფესორები წაიკითხავენ. ამ პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულებს კიოლნის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი მიენიჭებათ. აქედან, საუკეთესო შედეგების მქონე მაგისტრები კი, სწავლას კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში გააგრძელებენ.

მსგავსი სამაგისტრო პროგრამების არსებობა კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა მობილობას და დააჩქარებს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესს.

4 ოქტომბერს დაგეგმილია გერმანული სამართლის პროგრამის გახსნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები, პროგრამის დამფინანსებელი მხარეა — DAAD, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ბიზნესმენები.

ესტონეთისა და საქართველოს ერთი ისტორიული ბედი და უმაღლესი განათლების საერთო პრობლემა

ტარტუს უნივერსიტეტი 375 წლისთავს აღნიშნავს

24-26 სექტემბერს თბილისს ტარტუს უნივერიტეტის დელეგაცია ესტუმრა. ტარტუს უნივერსიტეტი 1632 წელს დაარსდა და დღეისათვის ევროპაში ერთერთი წარმატებული და მაღალრეიტინგული უმაღლესი სასწავლებელია. მას ეკუთვნის უამრავი სასწავლო კორპუსი, სამეცნიერო კვლევითი თუ სამედიცინო პროფილაქტიკური ცენტრები, კარგად აღჭურვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, იგი თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, მჭიდრო ურთიერთობები აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც.

მაკა ლდოკონენი

პირველი ცნობები საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ ესტონეთში XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. მაშინ საქართველოს არაერთი ესტონელი მწერალი და ხელოვნების მოღვაწე ესტუმრა. ტარტუს უნივერსიტეტში განათლება მიიღეს ქართული კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა. კონტაქტები წარსულის ნაკვალევზე დღესაც აქტიურად ვითარდება. 2007 წლის 8 მაისს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს ესტონეთის პრეზიდენტმა ტოომას ჰენდრიკ ილვესმა ხაზი გაუსვა თსუ-ისა და ტარტუს უნივერსიტეტებს შორის არსებულ კონტაქტებს, რაც უკანასკნელ ხანს საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის ინიციატივით აღდგა.

სექტემბერში ტარტუს უნივერსიტეტი დაარსებიდან 375 წლისთავს აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისში მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ტარტუს უნივერსიტეტიდან ჩამოსული დელეგაცია და ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში ჯანდაცვის სამინისტროც იყო ჩართული. შეხვედრა გაიმართა კარდიოქირურგიული კლინიკის „ღია გული“ შემსრულებელ დირექტორთან დავით მიქელაძესთან (ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული). ქირურგიის ინსტიტუტის შენობა ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის — კონსტანტინე ერისთავის სახელს ატარებს.

მოეწყო მეგობრული სპორტული შეხვედრები (ფეხბურთში, კალათბურთში ფრენბურთში) ესტონელ და ქართველ ახალგაზრდებს შორის. დელეგაციის წევრებმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოინახულეს ანტიკური კულტურის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის გრიგოლ წერეთლის ნამუშევრები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კი ნაციონალურ პარკ სათაფლიას დამაარსებლის, პეტრე თაბუკაშვილის მემკვიდრეობას გაეცნენ. სადღესასწაულო საღამო კინომსახიობთა თეატრში გაიმართა, რომლის დირექტორი მაია ჯორჯაძე ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. აქვე მოეწყო ნახატების გამოფენა. სიტყვით გამოვიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც სტუდენტობა ტარტუს უნივერსიტეტში გაატარეს.

24 სექტემბერს ტარტუს უნივერსიტეტის დელეგაციის წევრები თსუ-ის რექტორს, ბატონ გიორგი ხუბუას შეხვდნენ და მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს. ტარტუს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა ბირუტ კლაასმა სინანულით აღნიშნა, რომ ტარტუს უნივერსიტეტის რექტორმა ჩამოსვლა ვერ შეძლო, მან თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა ტარტუს უნივერსიტეტის დაარსებიდან 375 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიიწვია.

„საქართველოსა და ესტონეთს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ერთი ისტორიული ბედი აქვთ. მათ ერთნაირი პრობლემები გამოიარეს და, შესაბამისად, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა დინამიურად განვითარდა. დღეისათვის თსუ-ის ყველაზე ინტენსიური სტუდენტური გაცვლითი პროგრამები სწორედ ტარტუს უნივერსიტეტთან აქვს და ვიმედოვნებთ, რომ ეს კონტაქტები კვლავაც გაგრძელდება როგორც ფაკულტეტებს, ასევე, პროფესორ-მასწავლებელთა შორის,“ - განაცხადა გიორგი ხუბუამ.

თსუ-ის რექტორმა სტუმრებს კონკრეტულ სფეროებში თანამშრომლობისკენ მოუწოდა, განსაკუთრებით კი სოციალური მეცნიერებების და მედიცინის სფეროები გამოყო. მან ინტერესი გამოთქვა, ასევე, ტარტუს უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და ადმინისტრირების თავისებურებებზე და ამ მიმართულებით ერთობლივი სემინარების ჩატარების წინადადებაც წამოაყენა.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ცისკარიძემ ისაუბრა ტარტუს სამედიცინო ფაკულტეტის განვითარებაზე, რომელიც სსრკ-ში ერთერთი უძლიერესი იყო. მისი ბევრი კურსდამთავრებული საქართველოში ახლაც მოღვაწეობს. მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში, სამუშაო ვითარებაში, ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის წარმომადგენლები იდეებსა და გამოცდილებას ქართველ კოლეგებსაც გაუზიარებენ.

შეხვედრას ესწრებოდა პროფესორი რისმაგ გორდეზიანი. იგი კლასიკური ფილოსოფიის სფეროში არსებულ პრობლემებს შეეხო და აღნიშნა, რომ სტუდენტების ინტერესი ამ დარგისადმი საგრძნობლად გაიზარდა.

„სამყაროში, სადაც წინა პლანზე პრაგმატულობაა წამოწეული, კლასიკური ფილოსოფიისადმი ინტერესის გაზრდა ჯანსაღი ფასეულობების აღდგენაზე მიგვითითებს,“ - აღნიშნა მან.

საუბარი ესტონურ-ქართულ ენებზე თარგმანების სიმცირესაც შეეხო. ქართველები არ იცნობენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ესტონელები კი — ქართულს. ამ მიზნით, მისასალმებელი იქნება, თუ ესტონელი სტუდენტები ქართულ, ხოლო ქართველი სტუდენტები ესტონურ ენას შეისწავლიან.

ტარტუს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ბირუტ კლაასი ესტონეთში უმაღლესი განათლების პრობლემებსაც შეეხო. მან აღნიშნა, რომ დღეისათვის ესტონეთში მომრავლდა კომერციული სასწავლებლები, რომლებიც თავიანთ თავს, მართალია, უნივერსიტეტს უწოდებენ, მაგრამ იქ სწავლების ხარისხი თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ამ სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებით, მომავალი 5-6 წელი ესტონეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის ინტენსიური კონკურენციის წლები იქნება. ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში 68 000 სტუდენტი სწავლობს. ესტონეთის დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, 2009 წელს ესტონეთის უმაღლეს სასწავლებლებს 25%-ით ნაკლები სტუდენტი ეყოლებათ, ხოლო 10 წელიწადში ეს ციფრი 50%-ით მოიკლებს.

„ჩვენი დადებითი პროგნოზის მიხედვით, ტარტუს უნივერსიტეტი ამ პროცესში უსათუოდ შეინარჩუნებს საკუთარ პრიორიტეტს და კონკურენციის პირობებს ღირსეულად გაუძლებს,“ — თქვა ბირუტ კლაასმა.

დასასრულს, დელეგაციის წარმომადგენლებმა საკუთარ კურსდამთავრებულებთან აქტიურ ურთიერთობებზე ისაუბრეს. მათ სურთ, შექმნან ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კლუბი, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ დღევანდელი წარმატებები ტარტუს უნივერსიტეტში სწავლების მაღალი ხარისხის მანიშნებელია.

უნივერსიტეტში

თსუ-ში „თურქული კუთხე“ გაიხსნა

17 სექტემბერს თსუ-ის მეორე კორპუსში „თურქული კუთხის“ გახსნის ცერემონიალი გაიმართა. „თურქული კუთხე“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თურქეთის საელჩოსა და თურქეთის განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სააგენტოს ინიციატივით გაიხსნა.

თსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუას თქმით, თსუ-ში „თურქული კუთხის“ გახსნა ქართველ სტუდენტებს შორის თურქული კულტურის პოპულარიზაციასა და ქართველ და თურქ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

„თურქულ უნივერსიტეტებთან და თურქეთის საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით ქართველ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ შეისწავლონ თურქული ენა, კულტურა, თურქეთის ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა... ანუ თურქოლოგიური მიმართულებით მაღალი სტანდარტის განათლება მიიღონ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში თურქეთის სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები და ინვესტიციები იზრდება. გარდა ამისა, თურქეთის საელჩოსა თუ წარმატებულ თურქულ კომპანიებში დღეს, ძირითადად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ „თურქული კუთხის“ დაარსება მნიშვნელოვნად გაზრდის ქართველი სტუდენტების ინტერესს თურქული ენის, ზოგადად, თურქეთის მიმართ“, — განაცხადა რექტორმა.

თურქეთის საელჩოს განათლების ატაშემ მელიქ იაიანმ ხაზგასმით ისაუბრა საქართველოსა და თურქეთის საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე.

„მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თურქებსა და ქართველებს შორის მრავალი მიმართულებით განმტკიცდა კავშირები. ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა და წინსვლაც გვაქვს, თუმცა, ჩვენს ქვეყნებს გაცილებით დიდი ენერგია და მეტი სურვილები გააჩნიათ — საჭიროა, სათანადოდ გამოვიყენოთ არსებული პოტენციალი“. როგორც ჩვენთან საუბარში გიორგი ხუბუამ განაცხადა, დღევანდელი საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის სტაბილურობა ყველაზე პრიორიტეტული საკითხებია.

„ჩვენი ერთობლივი ძალისხმევაც ამას ემსახურება: თუ ჩვენს მეზობელთან წესრიგი და სიმშვიდე იქნება, თავს, რა თქმა უნდა, უკეთესად ვიგრძნობთ“, — განაცხადა მელიქ იაიანმ.

„თურქული კუთხის“ გახსნის ცერემონიალს თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ერთან თეზგორი ესწრებოდა. შეხვედრის დასასრულს თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ და თურქეთის საელჩოს განათლების ატაშემ მელიქ იაიანმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისში თურქეთის საელჩოს განათლების სამდივნოს შორის თანამშრომლობის შესახებ.

ბიბლიური ტექსტის პირველადი სახის აღდგენაზე მეცნიერები მუშაობენ

კონფერენცია თემაზე: "ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა"

შურთხია ბერეშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორდღიანი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა“.

კონფერეციის მონაწილეებს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა, რომელმაც

ისაუბრა საქართველოში ბიბლიის მეცნიერულად შესწავლის ტრადიციებზე და იმედი გამოთქვა, რომ ამ მიმართულებით კვლევები ქართველ და უცხოელ მკვლევართა ძალისხმევით კვლავ წარმატებულად გაგრძელდება.

მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი გიორგი გამრეკელი და ლაბორატორია „ორიონის“ ხელმძღვანელი აკადემიკოსი მზექალა შანიძე.

ქალბატონი მზექალა შანიძის აზრით, თანამედროვე საზოგადოებისთვის ბიბლიური ტექსტების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. მან აღნიშნა, რომ ამგვარ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებზე მუშაობა ჯერ კიდევ ცნობილი ქართველი ბიბლიოგრაფის ზურაბ სარჯველაძის სიცოცხლეში დაიწყო და დღესაც წარმატებით გრძელდება. „ქართულმა ბიბლიურმა ტექსტმა ყურადღება მიიპყრო არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. თავის დროზე ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა რობერტ ბლეიკმა შენიშნა, რომ ქართულ ბიბლიაში ყოველ წიგნს თავისი საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ისტორია აქვს და ამიტომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე შესწავლას საჭიროებს. ამ აზრს იზიარებდა აკადემიკოსი აკაკი შანიძეც, რომლის ხელმძღვანელობით რამდენიმე წიგნი გამოიცა. მან პირველმა გამოიყენა იშხნის, ანუ ათონის ბიბლია და ცალკე წიგნად გამოსცა“. მზექალა შანიძის თქმით, პროექტი — „ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა“, ოთხთავისა და ფსალმუნთა თანამედროვე კვლევები — თეორიულად გულისხმობს ბიბლიური ტექსტის პირველადი სახის აღდგენას, რასაც სპეციალისტების დიდი შრომა სჭირდება.

პროტოპრესვიტერი მამა გიორგი გამრეკელის განცხადებით, საპატრიარქო მიესალმება ამგვარ პროექტებს და სიამოვნებით გაიზიარებს მეცნიერების მოსაზრებებს. ,,ჩვენთვის საინტერესოა ეს კონფერენცია, ბიბლიის გამოცემაზე საპატრიარქოს ჯგუფიც მუშაობს. გამოვეცით მათეს და მარკოზის სახარება. გამოსაცემად მომზადებულია ლუკას სახარება. ჩვენი სპეციალისტებისთვისაც საინტერესოა ქართული და უცხოელი მეცნიერების თვალსაზრისი და დასკვნები.“

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად ფრანგი, ბრიტანელი, ესპანელი და გერმანელი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. კოლეგებმა თავიანთი კვლევები ცნობილ ბიბლიოგრაფებს: ზურაბ სარჯველაძისა და ნევილ ბერძოლის ხსოვნას მიუძღვნეს.

„ბოროტების ღერძი“ სამყაროზე ჩვენს წარმოდგენებს შეცვლის

სენსაციური აღმოჩენები ფიზიკაში

უკანასკნელ ხანს ფიზიკოსები მიუბრუნდნენ ფუნდამენტურ ცნებებს, რასაც ემყარება ჩვენი წარმოდგენები სამყაროსა და ბუნების შესახებ. თანამედროვე აპარატურის პირობებში შესაძლებელი გახდა, ზუსტად გაიზომოს ისეთი სიდიდეები, როგორიც არის, მაგალითად, სინათლის სიჩქარე (XIX საუკუნეში მაიკელსონმა და მორლმა აღმოაჩინეს, რომ სინათლის სიჩქარე ინვარიანტულია. ამ აღმოჩენას დაეყრდნო ფარდობითობის თეორია — თუ სინათლის სიჩქარე არ იცვლება ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლისას, მაშინ საჭიროა შეიცვალოს დრო და სივრცე. ეს არის ეინშტეინის ფარდობითობის თეორიის ფუნდამენტი).

ბოლო დროს ფიზიკოსებმა დაიწყეს სინათლის სიჩქარის გაზომვა. ერთი თვის წინ გამოქვეყნდა სენსაციური ინფორმაცია, რომ სინათლის მოძრაობა შესაძლებელია სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარით. აღმოჩენის სისწორე, ამ ეტაპზე, უკვე ორმა მკვლევარმა — ანედიო რანფანმა (რომელმაც მონაცემები გამოაქვეყნა ჟურნალში "Physical Review Letters") და პრინსტონის ინსტიტუტის მკვლევარმა ლიუნ ვანგმა შეამოწმა და დაადასტურა, თუმცა ეს მონაცემები ჯერ კიდევ ბევრჯერ გადამოწმდება.

ბოლო პერიოდის კიდევ ერთი სენსაციური აღმოჩენით დადასტურდა, რომ სამყარო არ არის ისეთი ერთგვაროვანი, როგორიც გვეგონა, ანუ არსებობს ადგილები, სადაც სიმკვრივე მომატებულია და ამ ადგილებს „ბოროტების ღერძს“ უწოდებენ.

ეს აღმოჩენები მიუთითებენ, რომ ჩვენი წარმოდგენები სამყაროს შესახებ შეიცვლება და აქამდე ცნობილმა სტანდარტულმა მოდელმა, შეიძლება, აღარ იმუშაოს, რის გამოც ფიზიკოსებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევთ.

მაია ტორაძე

ფრანგული ოდოროთეკა დამნაშავეთა კვალდაკვალ

2003 წლიდან საფრანგეთში, ქალაქ ლიონის შემოგარენში კრიმინალური ოდოროლოგიის ცენტრი ფუნქციონირებს. ოდოროლოგია გახლავთ მეცნიერება სხვადასხვა სუნის შესახებ და მისი მეთოდიკა უნგრეთშია შემუშავებული. დანაშაულის ადგილზე დეტექტივები სუნის სინჯებს სხვადასხვა ნივთებიდან იღებენ. ამ მიზნით ნივთს

შეახებენ მცირე ზომის ქსოვილის ნაჭერს, რომელიც სპეციალური ხსნარით (მისი შემადგენლობა უნგრელი მეცნიერების საიდუმლოა) არის გაჯერებული. სინჯს ალუმინის ფოლგაში ახვევენ, ჰერმეტულად დახურულ ქილაში ათავსებენ, ბეჭდავენ და სუნების საცავში ოდოროთეკაში გზავნიან.

ოდოროთეკის თაროებზე დანაშაულის ადგილზე შეგროვებული სუნის მრავალი ნიმუში ინახება. თუ ეჭვმიტანილი დანაშაულიდან თუნდაც რამდენიმე წელიწადში გამოჩნდება, ანალოგიურ ქსოვილს ხელით ასრესინებენ. ქსოვილს ოდოროთეკაში გზავნიან, იქ „მუშაობას“ უნგრეთიდან ჩამოყვანილი, შესაბამისად გაწვრთნილი ძაღლები აგრძელებენ: ოდოროთეკის თაროდან ხუთ ქილას არჩევენ, რომელთაგან ერთში ეჭვმიტანილის სუნი ინახება და მათ ძაღლის წინ, იატაკზე აწყობენ. ძაღლი სწორედ იმ ქილას ირჩევს, რომელშიც საძიებელი სუნით გაჟღენთილი ქსოვილია მოთავსებული. შედეგის სიზუსტისთვის ცდას კიდევ ერთ ძაღლზე ატარებენ და მთელ პროცედურას ვიდეოკამერით იღებენ.

ბიოლოგების შეფასებით, ძაღლის ყნოსვა ადამიანის ყნოსვაზე 50-ჯერ მახვილია. ყნოსვის ეპითელიუმის ფართობი გერმანული ნაგაზის ცხვირში 150-200 კვადრატულ სანტიმეტრს შეადგენს, ადამიანის ცხვირში კი 4 კვადრატულ სანტიმეტრს არ აღემატება. ძაღლს შესაბამის ფართობზე 150 მილიონი ყნოსვის უჯრედი აქვს განლაგებული, ადამიანს კი მხოლოდ 5 მილიონი.

საბრალდებო დასკვნის შედგენის პროცესში ძაღლების დახმარებით მიღებული მტკიცება გადამწყვეტი არ გახლავთ, თუმცა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აღსანიშნავია, რომ სუნების კოლექციამ უკვე 100-მდე დანაშაულის გახსნას შეუწყო ხელი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ეჭვმიტანილს არ აქვს უფლება უარი თქვას საკუთარი სუნის ჩაბარებაზე. ამგვარი წინააღმდეგობა კანონით ისჯება: ურჩობისთვის დაკავებულს 1500-ევროიანი ჯარიმა და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, რაც საკმარისი ვადაა იმისათვის, რომ პოლიციელებმა მისგან სუნის სინჯი აიღონ.

მაკა ლდოკონენი

ზაარლანდის საზაფხულო სკოლა – „ენობრივი პოლიტიკა – კულტურული კონტაქტები სასაზღვრო რეგიონების მაგალითზე“

გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახურის (DAAD) ორგანიზებით, 22 ივლისიდან 10 აგვისტომდე გერმანიის ქალაქ ზაარბრიუკენში მდებარე ზაარლანდის უნივერსიტეტში „საზაფხულო სკოლა“ გაიმართა თემაზე: „ენობრივი პოლიტიკა— კულტურული კონტაქტები სასაზღვრო რეგიონების მაგალითზე“, სადაც 15 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა.

გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახურის სტიპენდიანტთა რანგში საზაფხულო სკოლის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, გერმანისტი მზექალა აჭაიძე მონაწილეობდა, რომელიც აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით საქართველოს და კავკასიის რეგიონის მაგალითზე მოხსენებით გამოვიდა.

მზექალა აჭაიძის განცხადებით, საზაფხულო სკოლაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა მოხსენებები საკუთარი ქვეყნისა და რეგიონის სპეციფიკაზე იყო აგებული. ზაარლანდის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის მონაწილენი მოგზაურობდნენ საფრანგეთში, ლუქსემბურგში, რომლებიც ევროპაში სწორედ ასეთ სასაზღვრო ქვეყნებს წარმოადგენენ. „ამ ქვეყნებში მრავალეთნიკური საზოგადოებებია და ასეთ რეგიონებში სწორი ენობრივი პოლიტიკის წარმოება უმნიშვნელოვანესია“, — აღნიშნა მზექალა აჭაიძემ.

გერმანისტი მზექალა აჭაიძე გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახურის სტიპენდიანტი წელს მესამედ გახდა. საზაფხულო სკოლის სტიპენდიანტობამდე ის სადოქტორო სტიპენდიის მფლობელი იყო.

ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიკაციის ამაღლების შანსი ეძლევათ

პროექტი — "Erasmus Mundus"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ევროპის 7 ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ევროკავშირის გრანტით გაემგზავრებიან.

როგორც თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსმა თეა გერგედავამ გვაცნობა, რამდენიმე წელი ევროკავშირის დაფინანსებით საბერძნეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ლატვიასა და ბულგარეთში ხორციელდება პროექტი, რომელიც სტუდენტებისა და პროფესორების ამ ქვეყნებში მობილობას ითვალისწინებს. პროექტს მიმდინარე წლიდან კავკასიის ქვეყნებიც შეუერთდნენ.

პროექტში — "Erasmus Mundus"-ის გაფართოებული თანამშრომლობის ფანჯარა“ 10 ქვეყნის 48 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს.

წელს 134 ქართველ სტუდენტსა და 16 აკადემიურ პერსონალს საშუალება ექნება, აღნიშნული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში გაემგზავროს და კვალიფიკაცია აიმაღლოს. ამ მიზნით, ევროკავშირი წელს 2 მილიონ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს.

თეა გერგედავას თქმით, პროექტში მონაწილეობისთვის სააპლიკაციო ფორმების შესავსებად ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მსურველებმა უნდა შეავსონ განაცხადი და გააგზავნონ იმ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სწავლა ან მუშაობა სურთ. არჩევანს თავად უმაღლესი სასწავლებელი გააკეთებს.

სააპლიკაციო ფორმები სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და ბაკალავრებმა 15 ოქტომბრამდე უნდა ჩააბარონ, მაგისტრანტებმა, დოქტორანტებმა და პოსტ-დოქტორანტებმა კი — 30 ოქტომბრამდე.

პროექტში თსუ-ის გარდა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტებიც მონაწილეობენ. უცხოელი პროფესორები და სტუდენტები საქართველოს აღნიშნულ სამ სასწავლებელშიც ჩამოვლენ. მონაწილეთა საგრანტო ვადები 1-დან 24 თვემდეა.

კვიპროსის ელჩის წიგნის პრეზენტაცია

2007 წლის 2 ოქტომბერს თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში საქართველოში აკრედიტირებული კვიპროსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ლეონიდას პანტელიდისის წიგნის — „ევდემოსი. მეორე სიზმარი (ანუ დროის შესახებ)“ პრეზენტაცია შედგა.

წიგნი ქართულად თარგმნა ირინე დარჩიამ.

პრეზენტაციაზე თსუ რექტორმა გიორგი ხუბუამ და კვიპროსის უნივერსიტეტის სახელით, ამ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა იოანის ტაიფაკოსმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კვიპროსის უნივერსიტეტს შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი კვლევების წარმოებას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებს, ადმინისტრაციულ საკითხებში თანამშრომლობას და ერთობლივი ლექცია-სემინარების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას.

მნიშვნელოვანი თარიღები

■ 1 ოქტომბერი მუსიკის საერთაშორისო დღეა. მისი დაარსების ერთერთი ინიციატორი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი გახლდათ. 1975 წლის 1 ოქტომბერს იუნესკოს გადაწყვეტილებით ეს დღესასწაული ოფიციალურად დაწესდა და მას შემდეგ მთელ მსოფლიოში მასშტაბური საკონცერტო პროგრამებით აღინიშნება. სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობას საუკეთესო შემსრულებლები და შემოქმედებითი კოლექტივები იღებენ, ჟღერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შესული მუსიკალური ნაწარმოებები.

■ 1990 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით 1 ოქტომბერი მოხუცი ადამიანთა დღედ გამოცხადდა. ამ ინიციატივის მიზანია, საზოგადოების ყურადღება მიაპყროს დემოგრაფიული დაბერების პრობლემებს, მოხუცი ადამიანების ინდივიდუალურ და სოციალურ მოთხოვნებს, წარმოაჩინოს მათი წვლილი საზოგადოების განვითარებაში. გაეროს მონაცემებით, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე სიცოცხლის ხანგრძლივობა 20 წლით გაიზარდა. 2008 წლისთვის კი 1,2 მილიარდი ადამიანი 60 წლიან ზღვარს გადააბიჯებს.

■ 1906 წლის 3 ოქტომბერს — „SOS“ — უბედურების სერთაშორისო სიგნალად დააწესეს.

■ 1994 წელს იუნესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღედ დაწესდა. სტატისტიკური მონაცემებით, სკოლაში სამუშაოდ მოსული ადამიანების მხოლოდ ორ მესამედს შეადგენს იმ პედაგოგების რიცხვი, ვისთვისაც მასწავლებლის პროფესია ცხოვრების წესია.

■ 1992 წლიდან ფსიქიური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით 10 ოქტომბერი ფსიქიური ჯანმრთელობის დღედ გამოცხადდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, დღეს პლანეტაზე 450 მლნ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი ცხოვრობს.

■ 12 ოქტომბერი სტიქიურ უბედურებათა შემცირების საერთაშორისო დღეა.

■ 1972 წლის 13 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენციას, რომელსაც „თეთრი სახლი“ შეარქვეს. ოფიციალურად ეს სახელწოდება 1902 წელს დაკანონდა. „თეთრი სახლის“ პირველი მოსახლე პრეზიდენტი ჯონ ადამსი და მისი მეუღლე აბიგეილი გახლდნენ.

■ 1884 წლის 13 ოქტომბერს გრინვიჩი ნულოვან მერიდიანად დაკანონდა.

დაავადებების გამომწვევი მიკრობების გასანადგურებლად ამერიკელები წვიმის წყლის გაფილტვრას დაიწყებენ

2008 წლიდან „გარემოს დაცვის ამერიკული სააგენტო“ დასახლებულ პუნქტებში, სადაც 10 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, წვიმის წყლის გაფილტვრას დაიწყებს. ქუჩებიდან და გზებიდან ბუნებრივ წყალსაცავებში ჩამდინარე წვიმის წყალი ავტომობილებიდან გამონაბოლქვი სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტით ბინძურდება. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად ფირმა „AbTech Industries“ წვიმის წყლის ფილტრების გამოშვებას იწყებს. ფილტრებს ანტიმიკრობული საშუალებით გაჯერებული პოლიმერული ღრუბლისგან დაამზადებენ და ქუჩის სანიაღვრეებში ჩაამონტაჟებენ. ანტიმიკრობული საშუალება დაავადების გამომწვევი იმ მიკრობების 75%-ს გაანადგურებს, რომლებიც მდინარეების, ტბებისა და ზღვების პლაჟებზე წვიმის წყლიდან ხვდება. ფილტრებს წელიწადში ერთხელ გამოცვლიან.

პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას გვთავაზობენ ავსტრიელი გამომგონებლები. მათ მიაჩნიათ, რომ ქუჩები უნდა მოიკირწყლოს ფორებიანი ბეტონის ფილებით, რომლებშიც რკინის ჰიდროჟანგი და გააქტიურებული ნახშირი იქნება დამატებული. რკინის ჰიდროჟანგი წვიმის მძიმე მეტალებს დააკავებს, გააქტიურებული ნახშირი კი — ორგანულ დამაბინძურებლებს. ამგვარი გამწმენდი ფორების გავლის შემდეგ, წვიმის წყალი შეგვეძლება „მშვიდად“ გავუშვათ დედამიწის წყლის შემცველი ჰორიზონტებისკენ.

„ბიგლი 2009“ დარვინის მარშრუტს ზუსტად გაიმეორებს

2009 წელს ინგლისში ჩარლზ დარვინის 200 წლისთავის აღსანიშნად, გემის — სახელწოდებით „ბიგლი“ ზუსტ ასლს ააგებენ. დარვინმა სწორედ „ბიგლით“ ორწლიანი მოგზაურობის შემდეგ დაწერა თავისი ნაშრომი „სახეობათა წარმოქმნის შესახებ.“ ახალი „ბიგლი“ ნავიგაციის, კავშირ-გაბმულობისა და უსაფთხოების თანამედროვე სისტემებით იქნება აღჭურვილი. ექსპედიციაში 30 სწავლული და მეზღვაური მიიღებს მონაწილეობას. „ბიგლი“ დარვინის მარშრუტს ზუსტად გაიმეორებს და, ვინაიდან, პირველი მოგზაურობის დროს შეგროვებული ყველა სამეცნიერო მონაცემი დღემდე დაცულია, მეცნიერებს საშუალება ექნებათ პარალელი გაავლონ ნაშრომში გამოკვლეული შესაბამისი კუნძულების თანამედროვე აღწერილობასთან.

3 500 ტონა ნაგავი პლაჟებიდან

ოკეანეების დაბინძურებასთან ბრძოლის ეკოლოგიური ორგანიზაცია ყოველი წლის სექტემბერში პლაჟებიდან ნაგვის შეგროვების გლობალურ ოპერაციას ატარებს. უკანასკნელად ამ აქციაში 91 ქვეყნიდან 450 000 ადამიანი მონაწილეობდა და მათ 3 500 ტონა ნაგავი შეაგროვეს. მათ შორის:

29,5% — სიგარეტის ნამწვავი;
9,7% — საკვები პროდუქტის შესაფუთი საშუალებები;
8,ს% — ბოთლების საცობები და ქილების თავსახურები;
6,7% — პლასტმასის ბოთლები;
4,9% — ერთჯერადი ჭურჭელი;
5% — მინის ბოთლები;
4,8% — კონსერვის ქილები;
4,2% — წვენის საწრუპავი ჩხირები;
2% — სიგარეტის ცარიელი ყუთები.

გვერდი მოამზადა მაკა ლდოკონენმა

უნივერსიტეტის სტუმარი

საქართველოს კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 2007 წლის პირველ ნახევარში საქართველოს 403953 ტურისტი ეწვია. განსაკუთრებით შეიმჩნევა ევროპელ ტურისტთა ინტერესი. 2007 წლის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპიდან 11714 ტურისტი ჩამოვიდა, რაც 22%-ით მეტია ამავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელზე. სტატისტიკური მონაცემებით, მათ შორის ყველაზე მეტი (5466) გერმანელი ტურისტი გახლდათ, ყველაზე ცოტა (1 ტურისტი) კი — ლიხტენშტეინიდან.

2007 წლის პირველ ნახევარში საქართველოს 403 953 ტურისტი ეწვია

მაკა ლდოკონენი

უცხოელი ექსპერტები, რომლებიც ამჟამად მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციაში — „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ტურიზმში კომუნიკაციის სტრატეგიის განვითარების მიმართულებებზე“ (“TURCOM“), აღნიშნავენ, რომ საქართველოში ტურისტულ სექტორს მაღალი პოტენციალი აქვს.

“TURCOM“ მსგავსი კონფერენციების ჩატარება ხელს უწყობს საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციულობის დონის ზრდას. მომავალში, ჩვენ, დიდი ძალისხმევა უნდა მივმართოთ იმისკენ, რათა საქართველოს შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად ბევრ ქვეყანასა და რეგიონს მივაწოდოთ,“ — აღნიშნა საერთაშორისო ტურიზმის სექტორის ექსპერტმა, კომპანიის “Breaking Travel News“ წარმომადგენელმა ნიკა იზენმა.

„უკანასკნელ ხანს საქართველოში არაერთი სასარგებლო რეფორმა განხორციელდა, რამაც ქვეყნის სტაბილურობა გაამყარა. საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ტურიზმი უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, ეს სექტორი საგრძნობლად უნდა განვითარდეს. მნიშვნელოვანია, მიაგნოთ ნოვაციურ წინადადებებს საჰაერო გადაყვანის საკითხებში, რათა მეტი ტურისტი მიიზიდოთ ქვეყანაში,“ - განაცხადა კონფერენციაზე “UNWTO“ გენერალურმა მდივანმა ჯეფრი ლიპმანმა.

ადამ პლანეტამ ჩვენი უნივერსიტეტი შეათვალიერა

მარია ზლონკევიჩი და ადამ პლანეტა რა თქმა უნდა, ამ ადამიანების სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ, მაგრამ ეს ორი სახელოვანი მოგზაური უკვე მეორედ ეწვია ჩვენს ქვეყანას და ყოველგვარი შეცდომებისა თუ აქცენტის გარეშე წარმოთქვამენ საქართველოს იმ ქალაქებისა თუ ისტორიული ძეგლების სახელს, ფეხით რომ შემოუვლიათ: მცხეთა, ყაზბეგი, გორი, უფლისციხე, ვარძია.

მათ, ამჯერად, თურქეთის, უკრაინის, რუმინეთისა და ბულგარეთის შემდეგ შვიდი დღე საქართველოში დაჰყვეს.

ცნობისმოყვარე მოგზაურები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის ფოტო-ობიექტივმა აღმოაჩინა, სადაც შემთხვევით კადრში მოხვდნენ. შემთხვევითი ნაცნობობის მიუხედავად ისინი ჩვენთან საუბარში საკმაოდ გულწრფელები იყვნენ. ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლავთ, რომ ჩვენი მოგზაურები გიდის გარეშე „დახეტიალობენ“ და უნივერსიტეტის შენობის შეთვალიერებითაც დაინტერესდნენ.

„თბილისში შარშანაც ვიყავით, ძალიან მოგვწონს თქვენი დედაქალაქი. უნივერსიტეტის შენობამ მაშინაც მოგვხიბლა, მაგრამ დათვალიერება ვერ მოვახერხეთ, დღეს თქვენი რედაქტორი დაგვეხმარა და შემოგვიპატიჟა,“ — ამბობს მარია და თავის მეგობართან ერთად ათვალიერებს ფოიეს და სამახსოვრო სურათებს იღებენ.

ადამი და მარია ბევრს მოგზაურობენ. მოგზაურობის წყალობით მსოფლიოც კარგად გაიცნეს და ერთმანეთიც, მალე დაოჯახებას აპირებენ, აღმოაჩინეს, რომ ბევრი საერთო აქვთ — რაც ყველაზე მთავარია, ტურიზმით არიან გატაცებულნი.

მარია ზლონკევიჩი ვარშავის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და კულტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, ამჟამად კი ფიზიკური სწავლების აკადემიაში ტურიზმს სწავლობს. ადამ პლანეტა საკონსულტაციო ფირმაში მუშაობს, პროფესიით ფიზიკოსია.

მოუსვენარ ტურისტებს მეორე დღეს სვეტიცხოველში შევხვდით. გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ვარშავაში სამახსოვროდ მიაქვთ და ეამაყებათ, რომ ახალი სასწავლო წლის პირველსავე ნომერში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მათი ფოტოებიც მოხვდა.

ციფრები და ფაქტები

■ გაზომვებმა აჩვენა, რომ ჰაერი პარიზის მეტროში 6-ჯერ უფრო გაჯერებულია მიკროსკოპული მტვრის ნაწილაკებით, ვიდრე ქალაქის ქუჩებში. ამის მიზეზი რელსებზე მატარებლის ბორბლების ხახუნის შედეგად წარმოქმნილი რკინის, მარგანეცის, ალუმინისა და ნიკელის ნაწილაკების ჭარბი შემცველობაა. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა აპირებს გააძლიეროს ვენტილაცია სადგურებზე და ხშირად გაატაროს მტვერსასრუტებით აღჭურვილი სპეც-ვაგონები.

■ იტალიაში, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა აკრძალეს, 11%-ით შემცირდა ინფარქტების რიცხვი არამწეველებში, ხოლო გულით დაავადებულ მწეველთა რიცხვი მხოლოდ 7%-ით. ანუ ამგვარმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო არამწეველთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, რომლებიც თავისი სურვილის მიუხედავად სხვისი სიგარეტის კვამლით გაჯერებულ ჰაერს სუნთქავდა.

■ ვიოლინოების წარმოების ცენტრი საუკუნეების მანძილზე კონცენტრირებული გახლდათ იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში - ამჟამად კი ჩინეთში გადაინაცვლა. ჩინეთის მხოლოდ ერთ ქალაქ სიციაოში ვიოლინოს 400 სახელოსნოა განლაგებული. სიციაოს ერთერთი უმსხვილესი კომპანია წელიწადში 300 000-მდე ვიოლინოს, ალტს, ვიოლონჩელოს, კონტრაბასსა და სხვა ხემიან ინსტრუმენტს ამზადებს. მრავალი ჩინელი ხელოსანი კრემონშიც კი გადის პრაქტიკას, მიუხედავად ამისა, ექსპერტები ჩინური ნაკეთობის ხარისხს მაღალ შეფასებას არ აძლევენ.

■ 2007 წლის იანვარი იყო ყველაზე თბილი იანვარი დედამიწაზე მას შემდეგ, რაც 1880 წლიდან მეტეოროლოგებმა საშუალო ტემპერატურის გამოანგარიშება დაიწყეს.

■ პეკინში სამხედრო ჰოსპიტალთან გაიხსნა 260-ადგილიანი ცენტრი, რომელშიც ინტერნეტზე არაჯანსაღი დამოკიდებულების მქონე ადამიანები მკურნალობენ.

■ რიო-დე-ჟანეიროს ცნობილ რაიონში, ფაველში, სადაც ღარიბები და უმუშევრები ცხოვრობენ, ყოველი მეხუთე სახლი კონდენციონერით არის აღჭურვილი.

■ მსოფლიოში წარმოებულ ფანქრების ნახევარზე მეტი ჩინეთში მზადდება — ერთ წელიწადში დაახლოებით 10 მილიარდი ცალი.

■ ევროპაში დამზადებული ჩიფსების ნახევარს ინგლისელები მიირთმევენ.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34